

საზოგადოებრივი

ექსპერტიზა

#3 / 2022



საზოგადოებრივი ელკოქაუსი

ISSN 2667-9639

#3 / 2022

სარედაქციო საბჭოს ხელმძღვანელი
რაშლენ კუპრაშვილი

რედაქტორი
ბიძინა მაყაშვილი

რედაქტორის მოადგილე
ნინო ჩუბკარაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გობა დავითიანი

ნომერზე მუშაობდნენ:

მარიამ კვიციანი

ზაზა ჯღარკაძე

მარიამ ბერიძე

თამარ სიმონია

ქეთევან ჯაყელი

მარიამ ბურკაძე

ალექსანდრე სხულუხია

თორნიკე ტურაბალიძე



**იურიდიული
დახმარების
სამსახური**

თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 140 ა
ტელ: 032 293 20 90 / 032 398 84 93
www.legalaid.ge

სარჩევი

- 3 რედაქტორის სვეტი
- 4 პარაღებები
- 10 აუშ-ს ელჩის სტუმრობა
- 12 ჭარბვალიანობა
- 16 შშმ პირთა უფლებები
- 18 იურიდიული დახმარების
სამსახურის სასწავლო ცენტრი
- 20 შპს-ს სამართალი
- 26 მელიაძია
- 34 სამართალი
- 40 ფსიქოლოგია
- 46 საერთაშორისო სამართალი
- 58 დღოდვილთა უფლებები
- 64 რა ემუქრება კუთხის?
- 68 უახლესი ისტორია
- 72 მადლიერება
- 74 დაგვიკავშირდით



რედაქტორის სვეტი

დღესდღეობით, საქართველო იმ საკმაოდ რთულ და გამონვევებით სავსე გზას გადის, რომელსაც ევროპეიზაციამდე მიყვავართ. ეს პროცესი, თავისთავად, დროსა და უაღრესად დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

ბოლო დროს, მსოფლიოში განვითარებული მოვლენების შემხედველი, ადამიანში შიში ისადგურებს. შიში იმისა, რომ ხვალ შესაძლოა, ჩვენი პატარა ქვეყანაც ისეთი უსამართლობის წინაშე დადგეს, როგორიც რუსეთის მიერ უკრაინის ჩაგვრაა. ასეთ დროს მოსახლეობის პრიორიტეტს არა თუ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და დემოკრატიული სახელმწიფოს შენება, არამედ საკუთარი სიცოცხლის გადარჩენა, ოჯახისა და სამშობლოს შენარჩუნება წარმოადგენს. ქართველი ერისთვის, ჩვენი ისტორიის გათვალისწინებით, ეს ვითარება ძალიან ნაცნობია.

როგორი მეთოდებითაც არ უნდა ცდილობდნენ დიდი ქვეყნები პატარა ერების დაჩაგვრას, უსამართლობის ხედავაში ადამიანებმა არ უნდა დაგვარგოთ მომავლის რწმენა და ყოველდღიურად უნდა გადავდგათ ქმედითი ნაბიჯები, ჩვენი ქვეყნის ევროპულ და დემოკრატიულ სტანდარტებზე ფუნქციონირებად სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესში. ამ ბრძოლაში ჩვენი წილი ვალი თითოეულმა უნდა მოვიხადოთ.

სახელმწიფოს მთავარი მამოძრავებელი ძალა, მისი სიმტკიცე, ადამიანებშია. სწორედ ამიტომ, თითოეული დღე ჩვენთვის ახალი შესაძლებლობაა და ეს შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ იმისთვის, რომ ქვეყანაში მეტი დემოკრატიული ინსტიტუტი დაგვჩვენოთ, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა უმთავრეს პრიორიტეტად ვაქციოთ და ძლიერი მოქალაქეების მეშვეობით შევქმნათ ძლიერი სახელმწიფო.

რამონ კვარაცხილი
იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი



პარალელები – ახალი პროექტი



ბოლო წლების სტატისტიკის მიხედვით საქართველოში უფრო მეტი და მეტი ადამიანი მიმართავს სასამართლოს სადაო საკითხების გადასაწყვეტად. მარტო 2020 წელს მოსამართლეებს 116 ათას 310 საქმის განხილვა მოუწიათ. შარშან კი ეს მაჩვენებელი 4 ათასით გაიზარდა. ადამიანების გადაწყვეტილება, „ქუჩის“ ნაცვლად სასამართლოში, კანონით მოაგვარონ პრობლემები და დაიცვან საკუთარი სიმართლე, მისასალმებელი ფაქტია, თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს ციფრები მაინც ნაწილია იმ რეალობისა, რაც ჩვენ გარშემო ხდება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ძალადობა კვლავ რჩება ჩვენი ყოველდღიურობის მთავარ გამოწვევად. ბევრმა ჩვენმა თანამოქალაქემ არ იცის საკუთარი უფლებები, აქედან გამომდინარე, არ იცის, რა თქმა უნდა, არც მისი დაცვა.

სწორედ ამიტომ, იურიდიული დახმარების სამსახურმა წამოიწყო ახალი პროექტი



გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ძალადობა კვლავ რჩება ჩვენი ყოველდღიურობის მთავარ გამოწვევად.

„პარალელები“. ეს პროექტი ერთგვარი გაგრძელებაა პროექტისა, „ვაქციოთ კანონი ყველასთვის ხელმისაწვდომი“, რომლის ფარგლებში ქვეყნის 43 მუნიციპალიტეტში უკვე გაიხსნა იურიდიული დახმარების სამსახურის ფილიალები. მიუხედავად იმისა, რომ ორივე პროექტი ერთ მიზანს ემსახურება – იყოს რაც შეიძლება მეტი ჩვენი თანამოქალაქე კანონით დაცული – პროექტი „პარალელები“ მაინც განსხვავებულია და ის უფრო მეტად ადამიანე-

ბის იურიდიულ განათლებაზე კონცენტრირებული.

პარალელური ინგლისური სიტყვაა და სიტყვასიტყვით იურისტის დამხმარეს ნიშნავს, რომელსაც არ გააჩნია უმაღლესი იურიდიული განათლება. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ადამიანი, რომელსაც შეუძლია გადაუდებელი იურიდიული დახმარების განევა, დაახლოებით ისეთის, მაგალითად, როგორც კრიტიკულ ვითარებაში, ექიმების გამოჩენამდე. ამ დროს პირველი მშველელი სწორედ ის ადამიანია, რომელიც არ არის ექიმი, მაგრამ იცის, როგორ უნდა აღმოუჩინოს დაზარალებულს პირველადი სამედიცინო დახმარება. ჩვენში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კურსების არსებობა სიახლეს არ წარმოადგენს. ამ კურსებით დაინტერესებულ ადამიანებს შეუძლიათ მიიღონ ცოდნა, თუ როგორ უნდა გაუწიონ ადამიანებს პირველადი სამედიცინო დახმარება.

ასეთი შინაარსის იურიდიულ კურსს წარმოადგენს პროექტი „პარალელელები“. ამ კურსის გავლის შემდეგ ადამიანებს შეეძლება პირველადი იურიდიული დახმარებები აღმოუჩინონ თავის თანამოქალაქეებს ან სულაც თავის თანასოფლელებს. ერთი შეხედვით, პირველად სამედიცინო დახმარებასა და პირველად იურიდიულ დახმარებას შორის ტოლობის ნიშნის დასმა შეუსაბამოა, თუმცა, ეს მართლ ერთი შეხედვით.

დღემდე ჩვენს გარშემო უამრავი ადამიანია სხვადასხვა თაღლითური სქემის მსხვერპლი, ბევრი მათგანი უსახლკაროდაა დარჩენილი, ზოგიერთმა თვითმკვლელობითაც კი დაასრულა სიცოცხლე. ხელმისაწვდომი იურიდიული კონსულტაციის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ისინი არ დაკარგავდნენ ქონებას, არ აღმოჩნდებოდნენ ქუჩაში და ბევრი მათგანი დღეს ცოცხალიც იქნებოდა.

ქვეყნისთვის ამ სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, იურიდიული დახმარების სამსახურის ახალი პროექტი „პარალელელები“ ერთობ აქტუალურია. 2022 წლის 3 თებერვალს სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა სასტუმრო „ბილტმორში“ მოწვეულ სტუმრებს ახალი პროექტის დეტალები გააცნო.



რაჟდენ კუპრაშვილი – ჩვენ გვინდა შევქმნათ რეესტრი რეგიონების მიხედვით, სადაც შერჩეული იქნებიან ადამიანები. ეს ადამიანები ჩვენი სამსახურისა და ჩვენი პარტნიორების ჩართულობით გადამზადდებიან სხვადასხვა იურიდიული მიმართულებებით, რათა შემდგომ ამ ადამიანებმა ადგილებზე შეძლონ მოქალაქეებისთვის პირველადი იურიდიული დახმარების განევა. იმედი მაქვს, რომ ამ პროექტს ჩვენი პარტნიორების დახმარებით წარმატებით განვახორციელებთ, რაც ფუნდამენტურად შეცვლის ჩვენი მოქალაქეების იურიდიული განათლების მასშტაბებს და ხელს შეუწყობს სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას.

როგორც წარდგენაზე გახდა ცნობილი, USAID, UNICEF, COE, OHCHR, UNHCR, UNICEF, UN WOMAN და სხვა დონორი ორგანიზაციების



ხელშეწყობით, პროექტ „პარალეგალების“ ფარგლებში ნებისმიერ ადამიანს უსასყიდლოდ შეეძლება პირველადი იურიდიული განათლების მიღება და სამომავლოდ, ასევე უსასყიდლოდ, სხვა ადამიანებისთვის პირველადი იურიდიული დახმარების განწევა.



გიორგი ჩხეიძე

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ხელმძღვანელი – პარალეგალების პრაქტიკის დანერგვა ძალიან საინტერესოა და ამ კუთხით ჩვენ ვხედავთ თანამშრომლობის სივრცეს სახელმწიფოსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. ჩვენი პროგრამისთვის პარალეგალების პროექტს აქვს ერთი განსაკუთრებული მნიშვნელობის ელემენტი, რომელიც ქალთა უფლებების, ბავშვის საუკეთესო ინტერესების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დაცვას და ამ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ეხება.



თეონა კუჭავა

გაეროს ბავშვთა ფონდის UNICEF პროექტის კოორდინატორი – ცხადია, ჩვენი ინტერესის სფეროა ბავშვების უფლებები, რომელიც ერთის მხრივ გულისხმობს ასევე არსებული მექანიზმების ადაპტირებას და ახალი მექანიზმების შექმნას, მეორე მხრივ კი მართლმსაჯულებაზე წვდომის გაზრდას. ვფიქრობ, რომ პროექტი „პარალეგალები“ ამ მიმართულებასაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.



ქეთევან ცხაღაძე

უნივერსიტეტ ალტეს სამართლის სკოლის დეკანი – იურიდიული დახმარების სამსახური არის ის აქტიური საჯარო დაწესებულება, რომელიც სწორედ მომავალ იურისტებს ეხმარება პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაში. ჩვენი სტუდენტები მართლა იღებენ მთელი სემეს-



ტრის განმავლობაში იმ მნიშვნელოვან, ასე ვთქვათ, სამართლებრივ პრაქტიკულ უნარ-ჩვევას, რომელიც მათ მომავალშიც დაეხმარებათ. ჩვენი თანამშრომლობიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, რომ „პარალეგალები“ იურიდიული დახმარების სამსახურის კიდევ ერთი წარმატებული პროექტი იქნება.

იურიდიული დახმარების სამსახურის ახალ პროექტს არა მარტო დონორმა ორგანიზაციებმა, არამედ სახელმწიფო სტრუქტურებმაც დიდი ენთუზიაზმით დაუჭირეს მხარი და საჯაროდ განაცხადეს პროექტში მონაწილეობაზე თანხმობა.



ანრი ოხანაშვილი

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე – იურიდიული დახმარების სამსახურის მუდმივი აქტივობები ჩვენი მოქალაქეების იურიდიული დახმარების მიმართულებით უკვე შემდგარი ფაქტია და დადასტურებულია უამრავი ანგარიშებით თუ პრესრელიზებით. პირადად ჩემთვის, ამ პროცესში ყველაზე სასიხარულოა ის ფაქტი, რომ, როცა ჩვენი მოქალაქეები დახმარებისთვის მიმართავენ ამ სამსახურს, მათ უწევს არა მარტო იურიდიულ კონსულტაციებს, არამედ ბრუნავენ ამ მოქალაქეების სამართლებრივი ცნობიერების გაზრდაზეც. ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო მზად არის სხვადასხვა უწყებებთან ერთად, მჭიდრო კოორდინაციით წვლილი შეიტანოს ჩვენი თანამოქალაქეების სამართლებრივი ცნობიერებისა და კულტურის დახვეწაში.



ნათია მერეხაშვილი

გენერალური პროკურორის მოადგილე – ძალიან მოგვწონს და მხარს ვუჭერთ იურიდიული დახმარების სამსახურის ყველა ინიციატივას და წამოწყებას. ამ მხრივ გამონაკლისი არც „პარალეგალების“ პროექტი იქნება, რადგან ვხედავთ, რომ პროექტი მოიცავს მთლიანად საქართველოს და მოიცავს ყველა ასაკობრივ სეგმენტს. საქართველოს პროკურატურის სახელით მინდა გითხრათ, რომ მზად ვართ თანამშრომლობისთვის.



ბექა ძამაშვილი

იუსტიციის მინისტრის მოადგილე – ფაქტობრივად, ყველა სახელმწიფო უწყების ვალდებულებაა, იზრუნოს თავისი მოქალაქეების იურიდიული ცნობიერების ამაღლებაზე. იურიდიული დახმარების სამსახური ამის კარგი მაგალითია, რომელიც ამ მოვალეობას ასულებს უფრო აქტიურად და რაც მთავარია, ყოვლისმომცველად.



ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი – იურიდიული დახმარების სამსახურის აქტივობები ჩვენი მოქალაქეების ინფორმირების და იურიდიული ცნობიერების ამაღლების მიმართულებით ყველასთვის ცნობილია. სახალხო დამცველის სამსახურს მუდმივი კომუნიკაცია აქვს ამ სამსახურთან და კიდევ ერთხელ ვადასტურებთ მხარდაჭერას და მზად ვართ, ვითანამშრომლოთ ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით, ასევე საინფორმაციო კამპანიების თუ მოსახლეობასთან შეხვედრების ორგანიზების კუთხით.



თეა ჭიჭვილი

იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე – იურიდიული დახმარების სამსახური მონოდებულია, მოქალაქეებს გაუწიოს არა მარტო უბრალო იურიდიული დახმარება, არამედ, რაც მთავარია, აღმოუჩინოს რაც შეიძლება ხარისხიანი დახმარება და ეს არის, რა თქმა უნდა, მთავარი.

პროექტ „პარალეგალებს“ მართლაც შეუძლია მოახდინოს რეგოლაციური გარღვევა ჩვენი თანამოქალაქეების ცხოვრებაში, რაც ნიშნავს კიდევ უფრო მეტ დაცულ ოჯახს, იურიდიულ საკითხებში კიდევ უფრო მეტ გარკვეულ ადამიანს და კიდევ უფრო მეტ კანონიერებას.



დავით ასათიანი

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე – „პარალეგალების“ პროექტი საშუალებას აძლევს ყველა იმ უწყებას საქართველოში, რომელიც მონოდებულია ადამიანის უფლებებზე, ჩვენი მოქალაქეების სამართლებრივ დაცვაზე, მოახდინოს კონსოლიდირებული ძალისხმევა, ჩვენი მოქალაქეების იურიდიული ცნობიერების ასამაღლებლად.



გადმოწერეთ მობილური აპლიკაცია **LAS GEORGIA**



უფასო სამართლებრივ დახმარებაზე სწრაფი ხელმისაწვდომობის მიზნით, იურიდიული დახმარების სამსახურმა მობილური აპლიკაცია LAS Georgia აამოქმედა.

როგორ გადმოვტვირთოთ აპლიკაცია?

- Google Play-ს ან App Store-ის საძიებო ველში წერთ LAS Georgia და ჩამოტვირთავთ აპლიკაციას;
- აუცილებლად გავცანით აპლიკაციის გამოყენების წესებსა და პირობებს;
- არ გჭირდებათ რეგისტრაციის გავლა;
- ანონიმურობა დაცულია;
- მინერეთ თქვენთვის საინტერესო კითხვა იურისტს და დაელოდეთ პასუხს.



კონსულტანტი მალე გიპასუხებთ.

აპლიკაცია უფასოა.

არ არის საჭირო რეგისტრაციის გავლა, შესაბამისად თქვენი ანონიმურობა დაცულია.

აპლიკაციაში ასევე შეგიძლიათ გავცნოთ იურიდიული დახმარების სამსახურის სიახლეებს, სხვა სამართლებრივ საკითხებს, საკონტაქტო ინფორმაციას.

გაქვთ სამართლებრივი შეკითხვა?
იურიდიული დახმარება გჭირდებათ?
გამოიყენეთ აპლიკაცია LAS Georgia!



აშშ-ს ედრი ბათუმის ბიუროში



ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში, მისი აღმატებულება კელი დეგნანი, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-კავკასიის დემოკრატიისა და მმართველობის ოფისის კანონის უზენაესობის პროექტის დირექტორი ლია კაპლანი, ამავე პროექტის მენეჯერი რუსუდან ტაბატაძე და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები 2021 წლის 9 ნოემბერს, იურიდიული დახმარების სამსახურის ბათუმის ბიუროს ეწვივნენ.

საპატიო სტუმრებს სამსახურის რამდენიმე პროექტი წარუდგინა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის პირველმა მოადგილე ნინო მელაძემ. წარდგენა მოიცავდა იმ პროექტებს, რომელიც იურიდიული დახმარების სამსახურში აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის მხარდაჭერით ხორციელდება. კონკრეტულ შედეგებზე, რომელიც აღნიშნული პროექტების საშუალებით იქნა

მიღწეული, ისაუბრეს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილემ სულხან გველესიანმა და ანალიტიკური სამსახურის უფროსმა დავით სიმონიამ.


ბათუმის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსმა იამზე ზანდარაძემ სტუმრებს გააცნო რეგიონში არსებული მდგომარეობა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით, მიაწოდა სტატისტიკური მონაცემები ბიუროს მიერ ნაწარმოები საქმეებისა და უფასო სამართლებრივი დახმარებით მოსარგებლე ბენეფიციართა შესახებ.

ბათუმის იურიდიული დახმარების ბიუროში გამართული შეხვედრა საქმიან და თბილ გარემოში ჩატარდა. მოგვიანებით, 2021 წლის 24 ნოემბერს, იურიდიული დახმარების სამსახურმა მიიღო მადლობის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის, მისი აღმატებულება კელი დეგნანისაგან:

“

სასიამოვნო იყო თქვენთან შეხვედრა ბათუმში ჩემი ბოლო ვიზიტის დროს. საინტერესო იყო იურიდიული დახმარების სამსახურის მუშაობის გაცნობა საქართველოს მასშტაბით, უფრო კონკრეტულად კი აჭარის რეგიონში. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სამართლიანობისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით გამოვლენილმა ენერჯიამ და დამოკიდებულებამ საქართველოს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისადმი. მოუთმენლად ველი თქვენთან შეხვედრას მომავალში ჩვენი დისკუსიების გასაგრძელებლად.

შევრთებული შტატები განაგრძობს ერთგულ თანამშრომლობას იურიდიული დახმარების სამსახურთან, რათა მომავალშიც მხარი დაუჭიროთ საქართველოს მოქალაქეებისთვის იურიდიული დახმარების სერვისებზე ხელმისაწვდომობას.“



ჭარბვადიანობის მიზანები და მისი აღმოფხვრის გზა



ირაკლი კიკნაძე

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი.

დღესდღეობით, ჩვენი საზოგადოებისა და ჩვენი ქვეყნის უდიდეს გამოწვევას ჭარბვადიანობა წარმოადგენს. უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში მზარდია იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც ვადამოსულ ფინანსურ ვალდებულებებს ვერ ასრულებენ. განსაკუთრებით, თუკი გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სესხებზე მოთხოვნა და მათზე ხელმისაწვდომობა საგრძნობლად გაზრდილია. გარდა ამისა, სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად, ამკარაა, რომ საკრედიტო დაწესებულებები ბოროტად იყენებენ თავიანთ „დომინანტურ“ მდგომარეობას სასესხო ურთიერთობებში და მომხმარებელს, რომელიც ამ მოცემულობაში „სუსტ“ მხარედ არის წარმოდგენილი, ხელშეკრულების არახელსაყრელ პირობებზე ითანხმებენ და მას მძიმე მდგომარეობაში აყენებენ. აქ ერთ მხარეს წარმოდგენილია ფიზიკური პირი, რომელსაც თანხა ესაჭიროება და მეორე მხარეს – საბანკო დაწესებულება ან მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რომელიც მომხმარებელთან შედარებით „დომინანტურ“ და „ძლიერ“ მხარედ გვევლინება. იგი მეტად



**საკრედიტო დაწესებულებები
ბოროტად იყენებენ
თავიანთ „დომინანტურ“
მდგომარეობას სასესხო
ურთიერთობებში**

ინფორმირებულია, ისეთ მარკეტინგულ პოლიტიკას ატარებს, რომელიც რეკლამირების აგრესიულ ხერხს მოიცავს და ორიენტირებულია მომხმარებლის მოზიდვაზე.

გარდა ამისა, ჭარბვალთანობის მაპროვოცირებელ გარემოებას შერბილებული საკრედიტო პირობები და საკრედიტო დაწესებულებების მიერ სესხების გაცემის დროს მსესხებლის შემოსავლებისა და გადამხდელუნარიანობის არასათანადოდ შესწავლის პრაქტიკა წარმოადგენდა. ბოლო წლების განმავლობაში, სესხებზე მოთხოვნა და მათზე ხელმისაწვდომობა საგრძნობლად იყო გაზრდილი. ეროვნულმა ბანკმა 2019 წელს ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების მიღებით, პასუხისმგებლობიანი დაკრედიტების სისტემა ჩამოაყალიბა, რამაც „მტაცებლური“ დაკრედიტების გან დასაცავად ეფექტური მექანიზმები შექმნა. მისი ამოქმედების შემდეგ ფიზიკური პირების ვალის ტვირთის ზრდა შენეულა. მართალია, ამ მიმართულებით საზედამხედველო ჩარჩოს გაუმჯობესება და მარეგულირებელი ნორმების გამკაცრება პროგრესული ნაბიჯი იყო, რამაც „შემოსავლების დადასტურების გარეშე“ გა-

ცემული ე.წ სწრაფი სესხები შეზღუდა, თუმცა, საშუალოდ წლის განმავლობაში დაახლოებით 2.5 მლნ ერთეული საცალო სესხი გაიცემა, რაც მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით, სესხებზე ხელმისაწვდომობის მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს.*1

თავისთავად, გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტს, რომ COVID 19 პანდემიის შედეგებმა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე დამანგრეველი გავლენა იქონია, რამაც ვალის ტვირთი ქვეყანაში კიდევ უფრო გაზარდა.

ამ პირობებში, მსესხებელთა მნიშვნელოვან ნაწილს უფიქსირდება ვადაგადაცილება არსებულ ვალდებულებებზე. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, მოვალეს ეზღუდება წვდომა საბანკო ანგარიშებზე, შეუსაბამოდ მაღალი პროცენტებისა და პირგასამტეხლოების დარიცხვის გამო კი, იგი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ვარდება, რაც შეუძლებელს ხდის მის ნორმალურ სოციალურ პირობებში დაბრუნებას.

მიუხედავად განხორციელებული რეფორმებისა, ამკარაა, რომ ფიზიკური პირების ჭარბვალთანობა დღესაც მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. არსებულ რეალობაში, ჭარბვალთანობისა და სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთადერთი გამოსავალი, ფიზიკური პირების გადახდისუნარობის რეჟიმის შემოღებაა.

ვინაიდან, დღესდღეობით, ჩვენს კანონმდებლობაში გადახდისუნარო მოვალის ფინანსური რეაბილიტაციისათვის შესაბამისი რეგულირება არ არსებობს, ადამიანი, მაღალპროცენტიანი, არახელსაყრელი პირობების მქონე უზარმაზარი ფულადი ვალდებულებების

*1 საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის 2021 წლის ანგარიში



**ჭარბვალთანობისა და
სიღარიბის წინააღმდეგ
ბრძოლაში ერთადერთი
გამოსავალი, ფიზიკური
პირების გადახდისუნარობის
რეჟიმის შემოღებაა.**





წინაშე, ფაქტობრივად, უღონო მდგომარეობაში რჩება.

საქართველოში მოვალეთა სპეციალური რეჟიმის რეგულირების პირველი აქტი 1996 წელს ამოქმედდა. ეს იყო საქართველოს კანონი „გაკოტრების შესახებ“, რომელიც საშუალებას აძლევდა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს გააკოტრების რეჟიმით ესარგებლათ. განხორციელებული რეფორმის შედეგად, 2007 წელს ჩამოყალიბდა კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, რომელიც სპეციალური რეჟიმის გავრცელების შესაძლებლობას მხოლოდ იურიდიულ პირებსა და ინდივიდუალურ მენარმეებზე ითვალისწინებდა. დღეს მოქმედი, 2020 წლის 18 სექტემბერს მიღებული „რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის თანახმად, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესაძლებლობა მხოლოდ იურიდიულ პირებს დარჩათ. შესაბამისად, ყურადღების მიღმა აღმოჩნდნენ ინდივიდუალური მენარმეები და ფიზიკური პირები.

რეალურად, დღესდღეობით არ არსებობს ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის ცნება და, მიუხედავად ქვეყანაში მწვავე პრობლემის არსებობისა, გადახდისუუნარო მოვალეებს არანაირი შესაძლებლობა არ გააჩნიათ, გათავისუფლდნენ ფულადი ვალდებულებებისგან, ფინანსური ცხოვრება თავიდან დაიწყონ და ნორმალურ სოციალურ პირობებს დაუბრუნდნენ.



კანონპროექტის მიზანს სწორედ გადახდისუუნარო მოვალის მდგომარეობის შემსუბუქება წარმოადგენს

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო არ არის ის ფაქტი, რომ ჭარბვალიანობის საკითხი უდიდეს პრობლემას წარმოადგენს დღეს და მისი აღმოფხვრის ერთ-ერთი რეღეგვანტური გზა შესაბამისი საკანონმდებლო რეგულირების ჩამოყალიბებაში მდგომარეობს.

დღეს არაერთ ქვეყანაში მოქმედებს ფიზიკური და იურიდიული პირების გადახდისუუნარობის სპეციალური რეჟიმი. ამ მიმართულებით, გამოკვეთილია ორი ძირითადი მიდგომა. კონტინენტური ევროპის ქვეყნები „დამსახურებული ახალი დასაწყისის“ სახელით ცნობილ სისტემას ემხრობიან. ეს სისტემა ითვალისწინებს, რომ გადახდისუუნარობის პროცესი მხოლოდ პასუხისმგებლობიან მოვალეებზე ვრცელდება, რომლებიც გამოუვალ მდგომარეობაში სხვისი შეცდომების გამო აღმოჩნდებიან. რაც შეეხება საერთო სამართლის ქვეყნებს, როგორც არის აშშ და დიდი ბრიტანეთი, ისინი ე.წ. „სუფთა დასაწყისის“ მიდგომას ანიჭებენ უპირატესობას.*²

იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ, ჭარბვალიანობის კუთხით დღეს არსებული მდგომარეობის შესწავლის, ამერიკული და ევროპული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის გაანალიზების შედეგად, შეიქმნა კანონპროექტი ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის შესახებ, რომელშიც დეტალურად არის მოწესრიგებული ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის საფუძვლები, გადახდისუუნარობის დაწყებისა და წარმართვის პროცედურები.

კანონპროექტი წარმოადგენს ერთგვარ ხსნას ჭარბვალიანობისგან თავის დასაღწევად. ეს არის ეფექტური შესაძლებლობა გადახდისუუნარო მოვალეებისათვის, გათავისუფლდნენ

იმ მძიმე მდგომარეობისგან, რომელშიც დღეს, მოსახლეობის შემაშფოთებლად დიდი ნაწილია. კანონპროექტით გათვალისწინებული, მოვალის ინტერესებზე მაქსიმალურად მორგებული პროცედურა არის მათთვის ნორმალურ სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში დაბრუნების შანსი.

კანონპროექტის მიზანს სწორედ გადახდისუნარო მოვალის მდგომარეობის შემსუბუქება წარმოადგენს და მასში დეტალურად არის განვირეილი გადახდისუნარობის პროცედურის მიმდინარეობა. კანონპროექტი ითვალისწინებს გადახდისუნარიანობის აღდგენის საქმეზე ადმინისტრატორის დანიშვნას, რომელიც შეისწავლის მოვალის ყველა ვალდებულებას, მის შემოსავლებს, ქონებას და ამ ყველაფრის გაანალიზების საფუძველზე ადგენს გადახდისუნარიანობის აღდგენის გეგმას. რაც ყველაზე მთავარია, გეგმა მორგებულია მოვალის ინტერესებზე და გადახდის გრაფიკი ისეა შედგენილი, რომ მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში არ აყენებს. მას რჩება საარსებო მინიმუმის განკარგვის შესაძლებლობა.

ფიზიკური პირების გაკოტრების შესახებ კანონპროექტის მიხედვით, გადახდისუნარიანობის აღდგენის გეგმით შედგენილი კრედიტების დაფარვის გრაფიკი, მაქსიმუმ 3 წელზე უნდა იყოს გადანაწილებული. თუკი მოვალე კეთილსინდისიერად შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, ვადის გასვლის შემდგომ იგი გათავისუფლდება ვალებისგან, ანუ დარჩენილი ფულადი ვალდებულებების ჩამოწერა მოხდება. გარდა ამისა, კანონპროექტი ორიენტირებული არ არის მოვალის ქონების რეალიზა-

ციაზე, პირიქით, მაქსიმალურად მიმართულია ქონების შენარჩუნებაზე, მაგრამ, თავისთავად, რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, აუცილებელი გახდეს ქონების რეალიზაცია სესხების დაფარვის მიზნით, თუმცა აქაც კანონპროექტი ითვალისწინებს მოვალის ინტერესებს და ადგენს გარკვეულ შეზღუდვებს. მაგალითად, დაუშვებელია საცხოვრებელი სახლის რეალიზაცია კრედიტორების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, თუკი ამ სახლის ღირებულება 50 000 ლარის ღირებულების არის და ეს არის ერთადერთი საცხოვრებელი ადგილი მოვალის არასრულწლოვანი ან რჩენაზე მყოფი პირებისათვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, კანონპროექტში განვირეილი პროცედურა ჩამოყალიბებულია სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის შეჯერების საფუძველზე და მორგებულია დღეს არსებულ მდგომარეობას, იმ მოცემულობას, რომელიც დღეს ჩვენს ქვეყანაში დგას.

ამრიგად, ფიზიკური პირებისათვის გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესაძლებლობის მიცემა, იმ რეალობაში, როცა საზოგადოების ამდენად დიდ ნაწილს უფიქსირდება ვადაგადაცილება სესხებზე, არის ერთადერთი ხსნა ჭარბვალიანობის შესამცირებლად, იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ შექმნილი კანონპროექტის მიღება კი – ამ მიმართულებით გადადგმული უდიდესი ნაბიჯი.

*2 Arvydas, Paškevičius, Neringa, Jurgaitis, Bankruptcy of Natural Persons in Lithuania: Reasons and Problems, Procedia - Social and Behavioral Sciences, Vol. 213, December 1, 2015, pp. 521-526.



კანონპროექტში განვირეილი პროცედურა ჩამოყალიბებულია სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის შეჯერების საფუძველზე



როგორ სრულდება კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“

2021 წლის 1 აპრილიდან ძალაში შევიდა კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, რომელმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა შშმ პირთა უფლებრივი გარანტიები ეროვნულ დონეზე. აღნიშნული კანონით მოწესრიგდა შშმ პირთა სამართლებრივი მდგომარეობა, შეიქმნა საკანონმდებლო გარანტიები მათი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, და საქართველოს კანონმდებლობაში მკაფიოდ აისახა „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის ძირითადი პრინციპები და ღირებულებები.

კანონმდებლობის თანახმად, შშმ პირთა უფლებადამცველ ერთ-ერთ მთავარ ორგანიზაციად განსაზღვრულია იურიდიული დახმარების სამსახური. ჯერ კიდევ 2021 წლის გაზაფხულზე, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის (OHCHR) ოფისის მხარდაჭერით, გაიმართა შეხვედრები შშმ პირთა უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ბათუმში, ქუთაისსა და თბილისში. შედგა სამოქმედო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იყო ყველა საკითხი, რაც შეხვედრებზე გამართულ აქტიურ დისკუსიებში გამოიკვეთა.

2022 წელს იურიდიული დახმარების სამსახურმა, კვლავ გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის საქართველოს ოფისის (OHCHR) დახმარებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დასაცავად ახალი გეგმა წარმოადგინა. კონფერენციები 22 მარტს ბათუმში, ხოლო 11 მაისს – თბილისში ჩატარდა.

იურიდიული დახმარების სამსახურის დი-

“
შშმ პირთა უფლებადამცველ ერთ-ერთ მთავარ ორგანიზაციად განსაზღვრულია იურიდიული დახმარების სამსახური.

რექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა დისკუსიაში ჩართო შეზღუდული შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლები. თბილისის კონფერენციაზე პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ მიხეილ სარჯველაძემ, მისმა მოადგილემ ალუდა ლუდუშაურმა, პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში ნიკო თათულაშვილმა, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის უფროსმა მრჩეველმა სამხრეთ კავკასიაში ვლადიმერ შკოლნიკოვმა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შშმ პირთა უფლებების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ირინე ობოლაძემ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ განხორციელებული აქტივობები უაღრესად დადებითი შედეგის მომტანია და იგი შეიძლება არაერთი სხვა ორგანიზაციისათვის მისაბაძ მაგალითად იქცეს. სასურველია, გაგრძელდეს მუშაობა ამ მიმართულებით.

2021წლის 1 აპრილიდან 2022 წლის 5 ივნისის ჩათვლით, იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისებით ისარგებლა 3505-მა შშმ პირმა.



შპმ პირებს შესაძლებლობა აქვთ უფასოდ ისარგებლონ იურიდიული დახმარების სამსახურის შიმდევი სერვისებით:

- სამსახურის ქოლ ცენტრის მეშვეობით (1485);
- უშუალო ვიზიტით ბიუროებსა და საკონსულტაციო ცენტრებში;
- მობილური აპლიკაციით LAS GEORGIA (კონფიდენციალურობა დაცულია);
- იურიდიული დახმარების სამსახურის ადაპტირებული ვებ-გვერდით www.legalaid.ge;
- [facebook:legalaid.ge](https://www.facebook.com/legalaid.ge)
- შპმ პირებზე ადაპტირებულია იურიდიული დახმარების ბიუროების ოფისები ზესტაფონში, ახალციხეში ფოთსა და რუსთავში; ასევე, ადმინისტრაციულ შენობებში განთავსებული არაერთი საკონსულტაციო ცენტრი.
- თითქმის უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს საზოგადოებრივი ადვოკატებისა და კონსულტანტების გადამზადება, პროფესიული ტრენინგები შპმ პირთა უფლებების საკანონმდებლო ბაზასა და მათთან კომუნიკაციის საკითხებზე;

“ 2021წლის 1 აპრილიდან 2022 წლის 5 ივნისის ჩათვლით, იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისებით ისარგებლა 3505-მა შპმ პირმა.

სენსორული დარღვევის მქონე პირები თუ:

- სენსორული დარღვევა გამოხატულია მხედველობის შეზღუდვით და პირველადი კონსულტაციის შედეგად გამოიკვეთა, რომ აუცილებელია სამართლებრივი დოკუმენტის მომზადება, რომელიც საჭიროებს მის უშუალო ჩართულობას;
- მხარეა სასამართლო პროცესში და მისი დაცვის უფლების განხორციელება ადვოკატის გარეშე შეუძლებელია ან/და წამგებიან პოზიციაში ჩააყენებს მას, გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს.

შპმ პირები სარგებლობენ მობილური ჯგუფის სერვისით:

ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირები თუ:

- პირველადი კონსულტაციის შედეგად გამოიკვეთა, რომ აუცილებელია საადვოკატო მომსახურების განევა ან სამართლებრივი დოკუმენტის მომზადება, რომელიც საჭიროებს პირის უშუალო ჩართულობას;
- შპმ პირი მხარეა სასამართლო პროცესში და მისი დაცვის უფლების განხორციელება ადვოკატის გარეშე შეუძლებელია ან/და წამგებიან პოზიციაში ჩააყენებს მას, გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს.





მარიამ ბურაკიძე

სასწავლო ცენტრის უფროსი



იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრი

იურიდიული დახმარების საბჭოს 2019 წლის 2 დეკემბრის #69 გადაწყვეტილებით იურიდიული დახმარების სამსახურში შეიქმნა იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრი.

სასწავლო ცენტრის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს თანამშრომელთა (საზოგადოებრივი ადვოკატების, კონსულტანტების, აპარატის თანამშრომლების, მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატების და სხვა თანამშრომელთა) პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული განვითარების პოლიტიკის შემუშავება, ორგანიზება და მართვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასწავლო ცენტრი აქტიურად სთავაზობს თანამშრომლებს სხვადასხვა ტრენინგებს. 2021 წელს, სამსახურის თანამშრომლებისთვის სამსახურის სასწავლო ცენტრის ორგანიზებითა და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით ჩატარდა 51 ტრენინგი.

ტრენინგ-მოდულები შეირჩა ბენეფიციართა მომართვიანობის მაჩვენებლის, ადვოკატთა გამოკითხვის შედეგებისა და დონორი ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული ტრენინგების მიხედვით.


ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის თანამ-

შრომლებმა, კონსულტანტებმა, საზოგადოებრივმა და რეესტრის ადვოკატებმა (გენდერული ბალანსი: 55,67%- ქალი, 44,33%- კაცი).

მნიშვნელოვანია აღნიშნოს, რომ 2021 წლიდან აქტიურად მიმდინარეობს საზოგადოებრივი ადვოკატებისთვის ტრენინგთა ტრენინგების განხორციელება, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს სამსახურის რესურსით ტრენინგთა კორპუსის ჩამოყალიბებას. ამ ეტაპზე სამართლის სხვადასხვა მიმართულებით 4 ტრენინგთა ტრენინგია ჩატარებული.

იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებისთვის განხორციელებული ტრენინგები

(3 წლის სტატისტიკა)





იურიდიული კლინიკა

სასწავლო ცენტრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს იურიდიული კლინიკის მართვა.

იურიდიული დახმარების სამსახურში ფუნქციონირებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობის შედეგად შექმნილი და მოქმედი სასწავლო პროგრამის პრაქტიკული კურსი - იურიდიული კლინიკა, სადაც სტუდენტებს საშუალება აქვთ გაიღრმავონ თეორიული ცოდნა. ისინი პრაქტიკოს ადვოკატებთან ერთად რეალურ საქმეებზე მუშაობის შედეგად გამოიმუშავენ ადვოკატისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს და ახდენენ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზებას, რაც მათ სამომავლო საქმიანობის განხორციელებაში ხელს შეუწყობს.


2021 წელს, COVID პანდემიიდან გამომდლო-

ნარე, უნივერსიტეტებში სწავლება მიმდინარეობდა დისტანციურ რეჟიმში, შესაბამისად იურიდიულმა დამხარების სასმასურმა სტუდენტებს შესთავაზა სტაჟირების ჰიბრიდული მოდელი. კლინიკის ფარგლებში მათ შეეძლოთ, როგორც დისტანციურად, ისე ჩვეულ ფორმატში მიეღოთ მონაწილეობა კლინიკის პროგრამაში. ხოლო 2022 წლიდან იურიდიული კლინიკა ჩვეული ფორმატით განაგრძობს ფუნქციონირებას.

იურიდიული დახმარების სამსახურის კლინიკა ხელმისაწვდომია საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების დამამთავრებელი და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის.

2021 წელს, იურიდიული კლინიკის ფარგლებში იურიდიული დახმარების სამსახურში სტაჟირება გაიარა 4 უმაღლესი სასწავლებლის 67-მა სტუდენტმა.

იურიდიული კლინიკა 2020-2021 წლის მონაცემები





ცვლილებები შპს-ის სამართალში

ზოგადი მიმოხილვა

აღნიშნული სტატია ბაზირებულია: ბურდული, საკორპორაციო სამართლის რეფორმა საქართველოში (ძირითადი ტენდენციები), საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალი „ჩემი ადვოკატი“ 5/2021, 84-106.

1 შესავალი

წინამდებარე წერილი იძლევა ინფორმაციას 2021 წლის გაფხულში ძალაში შესული „მენარმეთა შესახებ“ კანონის იმ ცვლილებათა შესახებ, რომელიც შპს-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას შეეხება. 2022 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული კანონი „მენარმეთა შესახებ“ არსებითად შეცვლის კორპორაციულ-ორგანიზაციული ეკონომიკის ლანდშაფტს ქვეყანაში და მრავალ აქამდე არსებულ სადავო საკითხს მოაწესრიგებს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოში, ტრადიციულად, შპს-ის სამართლებრივი ფორმა დომინანტია ყველა დანარჩენ ბიზნეს სუბიექტთა შორის, რაც მის მიმართ კანონმდებლის (და არა მხოლოდ) განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. სრული დე-



ირაკლი ბურდული

თსუ-ის პროფესორი, სამართლის დოქტორი, სამართლისა და ეკონომიკის ცენტრის აკადემიური დირექტორი

რეგულირებითი „მონესრიგებიდან“^{*1} რეგულირებად მოდელზე გადასვლა, რაც შპს-ის მიმართ კანონმდებლის მიერ განსაკუთრებულ გულისხმიერებაში გამოიხატა, ნიშნავს მრავალსაკანონმდებლო ნორმის შემოტანას. ამით, უპირველეს ყოვლისა, ის შიდაკორპორაციული ხარვეზები აღმოიფხვრება, რომელიც ხშირ შემთხვევაში თავად საწარმოს საქმიანობის „გაყინვასაც“ იწვევდა და მეტად არასასურველ შედეგამდე მიჰყავდა კორპორაციული სუბიექტი. ამისაგან თავის „დაღწევის“ ერთ-ერთი ძირითადი შესაძლებლობა საზოგადოების ლიკვიდაცია იყო. არადა, ფინანსურად მომგებიანი და ბაზარზე წარმატებით ოპერირებადი საწარმო, რომელიც გადასახადის გადამხდელი იყო, რომელსაც მოსამსახურე პერსონალი ჰყავდა დასაქმებული, სოციალურ-ეკონომიკური თალსაზრისით მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ამით კი ზიანდებოდა საწარმოც და თავად სახელმწიფოც. შესაბამისად, კარგად ჩამოყალიბებული სისტემა კანონისა, მსგავსი არასახარბიელო შედეგის განეიტრალებას ემსახურება, რაც, ეჭვგარეშე, ეკონომიკური სარგებლის მომტანია.

2 ცვლილების ნორმატიული შემხებალობა

როგორც შესავალში ითქვა (2022 წლამდე), ყველაზე მეტი ცვლილება „მენარმეთა შესახებ“ კანონს 2008 წლის 14 მარტის რეფორმით სწორედ შპს-ის ნაწილში შეეხო. აღნიშნული იურიდიული კონსტრუქცია, რომელიც სამენარმეო საქმიანობის განხორციელების ყველაზე მეტად გავრცელებულ სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს საქართველოში, საერთოდ საკანონმდებლო მონესრიგების გარეშე დარჩა.^{*2} ამან სერიოზული სამართლებრივ-ეკონომიკური ხარვეზები შექმნა ქვეყანაში,^{*3} არადა კორპორაციული ეკონომიკის თითქმის 95%-იანი ხვედრითი წილი სწორედ მასზე მოდის. შპს-ზე, გარდა გამონაკლისისა, არ ვრცელდება ევროდირექტივათა იმპლემენტაციის ვალდებულება, მაგრამ პრაქტიკულ პრობლემათა ანალიზიდან



საქართველოში, ტრადიციულად, შპს-ის სამართლებრივი ფორმა დომინანტია ყველა დანარჩენ ბიზნეს სუბიექტთა შორის,

და სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ კანონპროექტის შემუშავებისას გადანყდა, იგი შეძლებისდაგვარად ნოყიერად ყოფილიყო უზრუნველყოფილი საკანონმდებლო ნორმებით. პირველი რიგის ამოცანას აქაც კანონპროექტის შემუშავებელი ჯგუფისთვის წარმოადგენდა ორ კაპიტალურ საზოგადოებას – შპს და სს – შორის განმასხვავებელი ნიშნების საკანონმდებლო დონეზე გამოკვეთა. ამის ძირითად გამოვლინებას შპს-ის მიმართ მოქმედი ნორმების უმრავლესობის დისპოზიციური ხასიათი და სრული საწესდებო ავტონომია წარმოადგენს, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასევე მოხდა შპს-ის კაპიტალის სტრუქტურის მიახლოება სს-ისადმი, რამაც მას გზა კაპიტალის ბაზრის მემკვიდრით დაფინანსებისაკენ უნდა გაუხსნას. შეიძლება ითქვას, რომ



*1 რაც დამახასიათებელი იყო განსაკუთრებით 2008 წლის 14 მარტის რეფორმის შემდეგ საკორპორაციო სამართლისათვის. მიუხედავად იმისა, რომ შპს ყველაზე უფრო გავრცელებული იურიდიული ფორმა იყო საქართველოში, მისი მონესრიგება სრულად დერეგულირდა, უფრო სწორედ, გაუქმდა საკანონმდებლო ნორმები, რომელიც მის (შიდა-) კორპორაციულ ურთიერთობას მოაწესრიგებდა. საილუსტრაციოდ მხოლოდ იმის მოყვანაც კმარა, რომ „მენარმეთა შესახებ“ კანონის 2022 წლამდე არსებულ რედაქციაში მას (შპს-ს) ექვსიოდე მუხლი ეძღვნებოდა. ეს კი ამჟამად რეგულატორულ დეფიციტზე მიუთითებს, რაც ბევრ არასასურველ თანმდევ შედეგს იწვევდა.

*2 2022 წლამდე კანონის განსაკუთრებულ ნაწილში მას მხოლოდ ხუთიოდე მუხლი ეძღვნებოდა, რაც, შეიძლება ითქვას, თითქმის რეგულირების გარეშე ტოვებდა ამ ორგანიზაციულ ფორმას.

*3 და ეს დადასტურებულია კიდევ კანონპროექტზე განხორციელებული „სამომავლო კანონის მოქმედების ეკონომიკური შეფასებით“. იხ. „მენარმეთა შესახებ“ კანონის პროექტის განმარტებითი ბარათის დასაბუთების ნაწილი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4962987?fbclid=IwAR3HYFK5dWIF6vpxHx3ZW-Nlx_FqMzC3nBWAKTBKTFY-IlqshLNeMm4agqA&publication=0.



შპს ტრანზიტულ სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს სინერგიული დაფინანსების ეფექტის არმქონე პერსონალური ტიპის საზოგადოებასა და კლასიკური კაპიტალის შემაკავშირებელი ფუნქციის მატარებელ სს-ს შორის. ამან კი თავისი ეკონომიკური ეფექტი უნდა გამოიღოს. ამ მხრივ კანონი ითვალისწინებს წილთა კლასების შემოღებას, მათ წარმოდგენას საზოგადოების კაპიტალში ისე, როგორც ამაზე პარტნიორები საზოგადოების ხელშეკრულებით შეთანხმდებიან (მუხ. 135-ე). შპს-ს⁴ არ მოეთხოვება სავალდებულო მინიმალური საწესდებო კაპიტალის არსებობა, თუმცა მისი გათვალისწინება, პროექტის ზოგად და განსაკუთრებულ ნაწილში (მუხ. 134) მოწესრიგებული განთავსებული კაპიტალის ნორმებით, წესდებით შესაძლებელია. ამავე 134-ე მუხ. მე-2 პუნ. საკანონმდებლო დონეზეა მოცემული ნომინალური და ნომინალურისაგან სრულიად თავისუფალი ღირებულის მქონე წილები, რითაც შპს-ის წილის კონცეფცია დიდწილად უახლოვდება სს-ის აქციისთვის დამკვიდრებულ კონცეფციას. შპს-ს კანონის 136-ე მუხ. შესაბამისად, უფლება აქვს გამოუშვას ახალი წილი, მოახდინოს ქონების მაქსიმიზაცია და უპასუხოს მის წინაშე მდგარ მოწვევებს. პრინციპში, აქვეა მოცემული კაპიტალის ნებადართული და პირობადებული გამზრდის საკანონმდებლო მოწესრიგება. ამავე მუხლით ერთმანეთისაგან იმიჯნება განთავსებული, გამოშვებული და ნებადართული წილები და პრაქტიკულად მისი ლეგალური დეფინიციებია მოცემული (ამავე მუხლის პირველი, მე-2-3 პუნ.). პარტნიორთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის გამოსახატავად და უზრუნველსაყოფად კანონის მომდევნო 137-ე



შპს-ს კანონის 136-ე მუხ. შესაბამისად, უფლება აქვს გამოუშვას ახალი წილი, მოახდინოს ქონების მაქსიმიზაცია

მუხ. ახალი (გამოშვებული) წილის უპირატესი შესყიდვის უფლებას აფუძნებს, რომელიც მხოლოდ გარკვეულ შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს (137-ე მუხ. პირველი, მე-6 პუნ.). ამავე მუხლშია მოცემული აგრეთვე წილის უპირატესი შესყიდვის უფლებასთან დაკავშირებული გარკვეული ორგანიზაციული ღონისძიებები და ამ უფლების შეზღუდვის ან მისი სრულიად გამორიცხვის გადაწყვეტილების მომწესრიგებელი ნორმები (137-ე მუხ. მე-6 პუნ.).

3

შესატანის ვალდებულება

მნიშვნელოვანი ცვლილება შეეხო პარტნიორის მხრიდან შესატანის განხორციელების ვალდებულებას, მის დადგენასა და შესრულებაზე კონტროლს (ზოგადად) და პარტნიორის ამ ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების სანქციების კორპორაციულ და ვალდებულებითსამართლებრივ რეჟიმს.⁵ შპს-ის სამართალში კვლავ ძალაში რჩება შეტანაუნარიანი ობიექტის განსაზღვრის ნეგატიური შინაარსი, თუმცა მისი გამორიცხვა საზოგადოების ხელშეკრულებით შესაძლებელია (138-ე მუხ. პირველი პუნ.).⁶ კანონის ახალი რედაქცია დიდ ყურადღებას ამახვილებს შესატანის ვალდებულების გამო პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის საკითხზე. მიუხედავად მასთან დაკავშირებით არსებული ქართული სასამართლო პრაქტიკისა,⁷ უმჯობესი იყო ეს საკითხები კანონმდებლობით გარკვევით და უფრო დეტალურად მოწესრიგებულიყო. შენატანის განხორციელება კაპიტალურ საზოგადოებაში პარტნიორის ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი ვალდებულებაა. კანონის პა-



თოსით მისი დარღვევა აძლევს საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს უფლებას განახორციელოს წილის ჩამორთმევის პროცედურა დამოუკიდებლად (139-ე მუხ. მე-2 და მე-3 პუნ.), რაც იმას ნიშნავს, რომ ვალდებულების დამრღვევი პარტნიორის სათანადო გაფრთხილებისა და შენატანის განხორციელების მოთხოვნის ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, პარტნიორი კარგავს წილს საზოგადოების სასარგებლოდ და ირიცხება სანარმოდან,^{*8} თუმცა ინფერენტსა და საზოგადოებას შორის შენატანის ხელშეკრულების არასინალაგმატური ხასიათიდან გამომდინარე, შეუტანელ შენატანთან დაკავშირებული მოთხოვნები ძალაში რჩება. ეს ასევე საზოგადოების კრედიტორთა დაცვასაც ემსახურება. ამ მხრივ კანონის პროექტმა გეზი გერმანული კადუციების სამართლისაკენ აიღო, რაც არასასარჩელო წარმოებას აფუძნებს.^{*9} თუმცა საზოგადოების წესდებით სხვაგვარი კომბინაციაც დასაშვებია. 2022 წლამდე რედაქციაში პარტნიორის გარიცხვა დამფუძნებლად პარტნიორთა კრების კომპეტენცია იყო (მე-91 მუხ. მე-6 პუნ. „ბ“ ქვეპუნ.). იგი შესაძლებელი იყო გადასცემოდა ხელმძღვანელ ორგანოს, თუმცა, როგორც წესი, პრაქტიკაში ქართული შპს-ის წესდებები მსგავს დათქმას არ შეიცავს. ამ საფუძვლით პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვას ესაჩიროება პარტნიორთა გადაწყვეტილება, რასაც კანონის 126-ე მუხ. პირველი პუნქტი ითხოვს. გერმანული კაპიტალური საზოგადოების სამართლის მსგავსად „კაპიტალის მიღვევების ფუნქციის“ საკანონმდებლო გამოხატულება იქნება დამატებითი შენატანების სავალდებულო და ნებაყოფლობითი ხასიათი, რაც 140-ე მუხ. არის გათვალისწინებული. მისი წესდებით დადგენა ხელს უწყობს განსაკუთრებით ფინანსურ სიდუხჭირეში ჩავარდნილ კომპანიას, გადაირჩინოს თავი პარტნიორთა დამატებითი შესატანების განხორციელებით, თუმცა აღნიშნული ვალდებულების დარღვევამ შესაძლოა ასევე გამოიწვიოს პირველადი შესატანის განუხორციელებლობის მსგავსი კორპორაციულ-სამართლებრივი სანქცია – პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვა.

- *4 მაგ., გერმანული (MünKommGmbHG/Schwandter, (2016), §5 Rn. 27 ff.) ან ავსტრიული სამართლისაგან განსხვავებით. კრიტიკა ავსტრიულ სამართალში იხ. მაგ.: Andensamer/Kerschbaum, Zur kleinen österreichischen GmbH-Reform im Abgabenänderungsgesetz 2014, NZG 2014, 452-455.
- *5 ამის თაობაზე იხ.: ბურდული/მალრაძე, შემზღვეული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საფუძვლები, სამართლისა და ეკონომიკის ცენტრის წელიწადური 2019, 25-49.
- *6 ეს, გარკვეულწილად, გერმანულ სამართალში 2008 წლის MoMiG-ის რეფორმით დამკვიდრებულ კონცეფციას წაგავს, თუმცა გერმანიაში ამას სხვა იურიდიულ-მატერიალური საფუძველი აქვს. ფიზიკური თუ იურ. პირის მიერ სანიმუშო პროტოკოლის გამოყენებისა და მხოლოდ სრულად განხორციელებადი ფულადი შენატანით შპს-ის სპეციფიკური სუბტიპის დაფუძნების შესახებ იხ. მაგ.: Altmeyen in Altmeyen, GmbHG. Komm., (2021), §5a Rn. 4-15, 19-24; Pfisterer in Saenger/Inhester, GmbHG. Komm., (2020), §5a Rn. 5 ff, 10-14; Servatius in Baumbach/Hueck, GmbH-Gesetz, (2019), §5a Rn. 8, 11 ff. ქართულად რეფორმისა და „შპს-ის ორი სხვადასხვა სამართლებრივი ფორმის“ შესახებ: ბურდული, სანესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, 2009, 216 და მომდ.
- *7 (ზოგიერთ შემთხვევაში არაერთგვაროვანი) პრაქტიკის ანალიზი და სასამართლო გადაწყვეტილებებზე მითითება იხ.: ბურდული/მალრაძე, შემზღვეული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საფუძვლები, სამართლისა და ეკონომიკის ცენტრის წელიწადური 2019, 25-49.
- *8 ამას კადუცირება ჰქვია და საზოგადოებიდან პარტნიორის სხვაგვარი გასვლის/განდევნის შემთხვევისაგან განსხვავდება. უცხოურ იურიდიულ წყაროებზე მით. იხ.: ბურდული/მალრაძე, შემზღვეული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საფუძვლები, სამართლისა და ეკონომიკის ცენტრის წელიწადური 2019, 25-49.
- *9 მსგავსი მიდგომის შესახებ საქართველოში იხ.: ჭანტურია/ნინიძე, შენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 65 და მომდ. შემდგომ წლებში ეს პრაქტიკა შეიცვალა და დადგინდა, რომ შენატანის ვალდებულების დარღვევის, ისევე, როგორც ზიანის მიყენების შედეგად საზოგადოების პარტნიორის განდევნის შემთხვევაში, აუცილებელია სადავო წარმოება. მიუხედავად ამისა, ქართული სასამართლო პრაქტიკა მაინც არ არის ერთგვაროვანი და ზოგიერთ შემთხვევაში უშვებს შენატანთან დაკავშირებით არასასარჩელო წარმოებას. სასამართლო პრაქტიკაზე მითითებით იხ.: ბურდული/მალრაძე, შემზღვეული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საფუძვლები, სამართლისა და ეკონომიკის ცენტრის წელიწადური 2019, 26 და მომდ. ასევე აშშ-ის საკორპორაციო სამართლის მიდგომა იხ. იქვე: 32-33.



4

პარტნიორის გასვლა საზოგადოებიდან

კანონი ასევე ითვალისწინებს ქართულ საწარმოო პრაქტიკაში საკმაოდ გავრცელებული პრობლემის საკანონმდებლო მოგვარებას და 144-ე მუხლით ადგენს საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლის იურიდიულ საფუძვლებს (ამის თაობაზე ქვემოთ კიდევ უფრო ვრცლად იქნება საუბარი). ხშირია საქართველოში შემთხვევა, როდესაც შპს-ის პოზიტიური ბალანსის მიუხედავად, კომპანიაში დივიდენდის გაცემა არ ხდება. მსგავს ვითარებაში (მინორიტარი) პარტნიორი საწარმოში „გაყინულ“ მდგომარეობაში ვარდება: როგორც ცნობილია, უმცირესობაში მყოფი პარტნიორისათვის სამენარშეო საზოგადოებაში მონაწილეობა მხოლოდ კაპიტალდაბანდებას წარმოადგენს და მას ამ ინტერესთან ერთად საწარმოს მართვის არც სურვილი და, პრინციპში, არც რეალური შესაძლებლობა აქვს.*¹⁰ შესაბამისად, საკორპორაციო სამართალმა უნდა უზრუნველყოს მისი გასვლა კომპანიიდან და ამით პარტნიორის ქონებრივი ინტერესი შეძლებისდაგვარად დაიცვას. ეჭვგარეშეა, რომ პროექტის 144-ე მუხ. პირველი პუნ. „ბ“ ქვეპ. ამის შესაძლებლობას იძლევა. ამავე მუხლით გათვალისწინებულია საკითხები, რაც გასვლას პროცედურული დემოკრატიის ჩარჩოში სვამს.



კანონის ახალი რედაქცია დიდ ყურადღებას ამახვილებს შესატანის ვალდებულების გამო პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის საკითხზე.

5

პარტნიორთა კრება და ქონების შენარჩუნების მაგალდებულებელი რეჟიმი

კანონი ცდილობს მოგვცეს დეტალური მონხსარიგება პარტნიორთა კრების, მისი (მათ შორის) თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით ჩატარებისა და მონხვევის, დღის ნხსრიგის განსაზღვრის, უფრო სწორედ, მასში ცვლილების შეტანისა და საკითხის დაყენების ნხსის, უმცირესობის მიერ რიგგარეშე კრების ჩატარების (მუხ. 126 და მომდ.), პარტნიორთა კრებაში მონაწილეობისა და ხმის უფლების გამოყენების შესახებ (მუხ. 130, 131). ყოველივე ეს კი აუცილებელია საზოგადოებაში შიდაორგანიზაციული ნების დემოკრატიული ფორმირების პროცესისთვის, ხოლო გადანხვეტილებათა გასაჩივრების შემთხვევაში დავაზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისა და კანონმდებლობაზე დაფუძნებული მართლმსაჯულების განხორციელებისთვის.

2022 წლამდე მოქმედი კანონი „მენარშეთა შესახებ“ კაპიტალური ტიპის საზოგადოების სამართალში საზოგადოდ დამკვიდრებული ქონების შენარჩუნების მაგალდებულებელ და საზოგადოებაში მოგებისა და მასთან დაკავშირებულ ქონების დისტრიბუციის კონკრეტული შინაარსის მქონე ნორმებს არ შეიცავდა. არადა, ამ ურთიერთობის საკანონმდებლო მონხსარიგება მნიშვნელოვანია შპს-ის და, მით უფრო, სს-ის სამართალში. კანონის ზოგად ნაწილში არსებულ ნორმებთან ერთად ცენტრალური დებულება, რომელიც ამას არეგულირებს შპს-ის სამართლებრივ ფორმაში, არის 145-ე მუხ. მოგების დივიდენდად განაწილება პარტნიორთა კრების ექსკლუზიური უფლება (126-ე მუხ.). წინადადებას საზოგადოების (წლიური ან შუალედური) ფინანსური ანგარიშისა და ქონების მდგომარეობის შესახებ ამზადებს და პარტნიორთა კრებას წარუდგენს ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც, პრინციპში, ვალდებულიც არის, გასანაწილებელი მოგების საკუთარი წინადადება შესთავაზოს კრებას (145-ე მუხ. პირველი პუნ.). ნხსდებით შესაძლოა სხვა



რამ იქნეს დადგენილი (ამავე პუნ. მეორე წინადადება), თუმცა, როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების სანარმოო პრაქტიკა აჩვენებს, ამას სწორედ ხელმძღვანელი პირები აკეთებენ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოგების განაწილება დივიდენდის სახით განსხვავებულ მიდგომას ეფუძნება შპს-ისა და სს-ის სამართალში. შპს-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაში ხელმძღვანელი ვალდებულია, წარადგინოს სანარმოს გადახდისუნარიანობის თაობაზე ანგარიში და დაადასტუროს, რომ დივიდენდის განაწილება არ გამოიწვევს საზოგადოების საქმიანობის შეფერხებასა (უფრო სწორედ, შეუძლებელს გახდის) და მიზნების მიღწევას და დივიდენდის დისტრიბუციის მიუხედავად, მისი გაცემის დღიდან მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში იგი (სანარმო) შეძლებს ვადამოსული ვალდებულების შესრულებას. მოკლედ, სს-ისაგან განსხვავებით (მუხ. 181), შპს-ში მოგების განაწილება არ არის მიბმული წმინდა მოგების ჩვენების კონცეფციაზე და, მითუმეტეს, საზოგადოების სარემზერვო კაპიტალზე (თუკი სს-ს ეს უკანასკნელი გათვალისწინებული აქვს წესდებით: მუხ. 168). პროექტით ასევე წესრიგდება მოგების განაწილების ორგანიზაციული უზრუნველყოფის, პარტნიორს, როგორც კრედიტორსა და, საზოგადოებას, როგორც მოვალეს შორის ურთიერთობის, ასევე, დივიდენდის შესაძლო უკან დაბრუნების საკითხი და მსგავს შიდაკორპორაციულ ურთიერთობას უფრო ნათელს ხდის (145-ე მუხ. მე-4 და მომდ. პუნ.).

6 ხელმძღვანელის „მითითებებზე ბმის ვალდებულება“

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე, რაც საკანონმდებლო დონეზე შემოვიდა, არის ხელმძღვანელი ორგანოს მიერ პარტნიორთა მითითებების შესრულების მოვალეობა, რომელიც ახალი კანონის 124-ე მუხ. მე-2 პუნ. არის გათვალისწინებული. მრავალი დასავლეთევროპული ქვეყნის საკორპორაციო სამართალში ამი-

თაც ხდება შპს-ის, როგორც მაინც უფრო პერსონალური სტრუქტურის მქონე საზოგადოებისა და სს-ის ტიპოლოგიური ბუნების დოგმატური გამიჯვნა. სს-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაში, აქციონერთა (პარტნიორთა) მითითებებზე ბმა უცხოა ხელმძღვანელი ორგანოსათვის, რაც სწორედ, მისი კლასიკური გაგებით, არაპერსონალური აქციონერული სტრუქტურის დამსახურებაა. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ეს საკითხი აქტუალურია და ამასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული ერთიანი, მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკა ჯერ არ არსებობს.^{*11} სს-ში ხელმძღვანელი პირის ქმედების კიდევ მეტი არეალი და საქმიანობის განხორციელებაში მეტი თავისუფლების ფარგლები, შეიძლება ითქვას, ეფუძნება კანონის სპეციალურ ნორმას: 203-ე მუხლის შესაბამისად, ხელმძღვანელი ორგანო სს-ს მართავს საკუთარი პასუხისმგებლობით. მსგავსი ჩანაწერი გერმანული სააქციო სამართლის მიდგომას ამკვიდრებს ამ საკითხთან დაკავშირებით და სრულად გამოსატავს იმ ქვეყნების სამართლებრივ მიდგომას, სადაც კარგად არის განვითარებული სააქციო საზოგადოების სამართალი. აღნიშნული, სწორედ გერმანული საკორპორაციო სამართლის იურიდიულ ტრანსპლანტს წარმოადგენს ქართულ სამართალში.

^{*10} ბურდული, სავალდებულო სატენდერო შეთავაზება, აქციათა სავალდებულო გაყიდვა: აქციით მინიჭებული უფლების ბოროტად გამოყენება თუ კაპიტალის ბაზრის განვითარების სავალდებულო წინაპირობა?!, ჟურ. "მართლმსაჯულება", 2007 #2, 10-39, 37.

^{*11} მაგ., იხ.: სუს-ოს გად. #ას-1219-1139-2017; #ას-291-2019.



ნათია ჩიბაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი; დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი.



მხარეთა ავტონომიის, არსობრივი და პროცედურული სამართლიანობის პრინციები მედიაციაში





მედიაციის პრინციპები უმნიშვნელოვანესია მედიაციის პროცესის არსობრივი მიზნის გააზრებისთვის და აღნიშნული პრინციპები ასევე პირდაპირ განაპირობებს მედიატორის ეთიკურ და კანონისმიერ ვალდებულებათა შინაარსს. მედიაციის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამ ფუნდამენტურ ღირებულებას: პროცედურული და არსობრივი სამართლიანობა, მხარეთა ავტონომია.

სამართლიანობა მედიაციის ფუნდამენტური პრინციპი*¹, უმთავრესად ნორმატიული და ეთიკური სტანდარტია. მედიაციის ეთიკის კოდექსების თანახმად, სამართლიანობა მიემართება მედიაციის პროცესს,^{*2} რომლის ჩატარებაც უნდა უზრუნველყოს პროვაიდერმა ორგანიზაციამ*³, მედიატორმა გულმოდგინების*⁴, სათანადო წინდახედულების*⁵, მიუკერძოებლობის*⁶, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის*⁷, მხარეთა ნებაყოფლობითი,*⁸ გაცნობიერებული*⁹, სამართლიანი*¹⁰ და თანაბარი მონაწილეობის*¹¹, მონაწილეობის შესაძლებლობის*¹² და მათი თვითგამორკვევის უფლების*¹³ რეალიზების პრინციპთა დაცვით.*¹⁴ ცალკეული ქვეყნის სამართალი მედიატორის როლს ხედავს სწორედ მხარეთა დახმარებაში, მიაღწიონ სამართლიან შეთანხმებას.*¹⁵

სამართლიანობა გულისხმობს, რომ მხარეებმა მედიაციის პროცესის ძირითადი პრინციპების ცოდნის,*¹⁶ არსებითად მნიშვნელოვანი გარემოებების გაცნობიერების,*¹⁷ ხელშეკრულების პირობების გააზრებისა*¹⁸ და ინფორმირებული თანხმობის*¹⁹ საფუძველზე, მიიღონ

“
სამართლიანობა მედიაციის ფუნდამენტური პრინციპი, უმთავრესად ნორმატიული და ეთიკური სტანდარტია.

- *1 Steffek F., Unberath H. (eds.), Genn H., Greger R., Menkel-Meadow C., *Regulating Dispute Resolution ADR and Access to Justice at the Crossroads*, Hart Publishing, Oxford and Portland Oregon, 2013, 17.
- *2 Ethical Standards for Mediators, Georgia Commission on Dispute Resolution, § IV.
- *3 Trevor M.B., Palo G., *EU Mediation Law and Practice*, Oxford University Press, 2012, 93.
- *4 Ethical Standards for Mediators, Georgia Commission on Dispute Resolution, § V.
- *5 Hopt K.J., Steffek F., *Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective*, Oxford University Press, Oxford, 2013, 74.
- *6 Draft General Scheme of Mediation Bill 2012, Ireland, Head 2; Austrian Mediation Act, June 6, 2003, Art. 16(2); Bulgaria Mediation Act, (promulgated 2004, amended 2011) Art. 9 (1); Core Standards of Mediation Practice, §III (Oregon Mediation Association, 2005).
- *7 Standards of Conduct for New York State CMTY. Dispute Resolution CTR. Mediators, Office of Alt. Dispute Resolution & Court Improvement Programs, 2009, § III. B.
- *8 Bulgaria Mediation Act, (promulgated 2004, amended 2011) Art. 5, Chinese Civil Procedure Law, Art. 9.
- *9 Family Mediation Canada Members Code of Professional Conduct, Art. 9.2, 9.3.
- *10 German Mediation Act, 21 July, 2012, § 2 (3); Rützel S., Wegen G., Wilske S., *Commercial Dispute Resolution in Germany*, 2nd ed., C.H. Beck, München, 2016, 202.
- *11 Bulgaria Mediation Act, (promulgated 2004, amended 2011) Art. 5.
- *12 Malta Code of Conduct for Mediators, MJCL, Art. 9.
- *13 Georgia Ethical Standards for Mediators, Georgia Commission on Dispute Resolution 2012, Introduction; Rützel S., Wegen G., Wilske S., *Commercial Dispute Resolution in Germany*, 2nd ed., C.H. Beck, München, 2016, 207.
- *14 Shapira O., *Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation*, 54 South Tex. Law Rev., 2012, 285.
- *15 Malta Mediation Act, MJCL, 2004, Art. 26 (1); Royal Decree Law 5/2012, of March 5, on Mediation in Civil and Commercial Matters, Statement of Reasons I.
- *16 German Mediation Act, 21 July, 2012, § 2 (2).
- *17 Bulgaria Mediation Act, (promulgated 2004, amended 2011) Art. 13 (1); Rützel S., Wegen G., Wilske S., *Commercial Dispute Resolution in Germany*, München, 2nd ed., C.H. Beck, 2016, 202.
- *18 Georgia Ethical Standards for Mediators, Georgia Commission on Dispute Resolution 2012, §IV. A; German Mediation Act, 21 July, 2012, § 2 (6); Rützel S., Wegen G., Wilske S., *Commercial Dispute Resolution in Germany*, 2nd ed., C.H. Beck, München, 2016, 202.
- *19 Mediation Council of Illinois (MCI) Professional Standards of Practice for Mediators, 1999, § III. E;



არაიძულებითი*²⁰, ნებაყოფლობითი*²¹ გადანყვეტილება მისი მოსალოდნელი შედეგების*²² გაცნობიერებით*²³ ან, სურვილის შემთხვევაში, ნებისმიერ დროს შეწყვიტონ*²⁴ მედიაცია.*²⁵ პროცესის სამართლიანობა დაცულია ასევე, თუ მასში მონაწილეობა არ ემსახურება უსამართლო უპირატესობის მოპოვებას*²⁶ და არ ეფუძნება მოლაპარაკების მანიპულაციურ და დამაშინებელ მეთოდებს*²⁷.

მორიგების პირობების **არსებითი სამართლიანობა** მხარეთა ინდივიდუალური სამართლიანობის მეტრით იზომება, სამართლიანობა მედიაციაში მხარეებისგან მომდინარეობს და მათ ინდივიდუალურ კანონად იქცევა. სასამართლოს როლია, განსაზღვროს კანონისმიერი სამართლიანობა, რომელიც მოსამართლის მიერ დგინდება და არ ტოვებს სივრცეს მხარეთა მიერ კანონის ავტონომიური „მორალიზებისთვის“. მხარეთა ინდივიდუალური სამართლიანობის დადგენის უფლება არ გამორიცხავს სამართლის როლს მედიაციაში. მედიაციაში მხარეთა მიერ მოპოვებული სამართლიანი შედეგი და ხელშეკრულების (მორიგების) შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება კანონისა და საჯარო წესრიგის უზოგადესი, საყოველთაო იმპერატიული აკრძალვების ფარგლებში დგინდება და აღნიშნულის გარანტიად გვევლინება მედიატორი და მხარეთა იურისტი წარმომადგენლები, ხოლო სამედიაციო მორიგების აღსრულების შემთხვევაში – დამატებით სასამართლოც მო-

რიგების აღსრულებაუნარიანობის შემონების გზით.

მედიაციის პროცესში არსებითი სამართლიანობა მხარეთა ინდივიდუალური ღირებულებათა სისტემით და კანონის იმპერატიული მოთხოვნების გათვალისწინებით დგინდება. „მედიაციის სივრცეში ყველა მონაწილე, მათ შორის მედიატორიც, საკუთარი ეთიკურ-მორალურ ღირებულებათა სისტემით შემოდის“*²⁸ და წარმოუდგენელია სრული დამოუკიდებლობა, იზოლირება იმ ღირებულებითი სამყაროსგან, რწმენისგან, რომელსაც პროცესის თითოეული ინდივიდი თვითმყოფადად საკუთარ თავში ატარებს. მართალია, მედიატორი არ განსჯის მტყუან-მართალს, არ განიკითხავს მხარეთა მოქმედებებს, მათ მოტივებს, მაგრამ თუ მედიატორს აქვს უფლება შეწყვიტოს პროცესი, თუ მხარეებს ის არსებითად უსამართლო, უკანონო და არაეთიკური შეთანხმებისკენ მიჰყავთ, მაშინ მედიატორი მხარეთა არსებითი ინტერესების მხედველობაში მიღებასთან ერთად, გარკვეულწილად, ქცევობიერად ხელმძღვანელობს შინაგანი ღირებულებათა სისტემით, რამეთუ მას უწევს მორიგების არაეთიკურობის, რომელიმე მხარისთვის მისი აშკარა საზიანოობის, მხარეთა ინტერესების არსებითად არათანაბომიერი განხორციელების რისკების შეფასება პროცესის შესაწყვეტად. ამდენად, როდესაც საკითხი სამართლიანი, კანონიერი და ეთიკური შეთანხმების მიღწევის პროცესში მხარეთა მხარდაჭერას ეხება, მედიატორი სრულად განყენებული და ნეიტრალური ვერ იქნება პროცესის შედეგის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ის სრულად პასუხისმგებელი არ არის შეთანხმების არსობრივი სამართლიანობის გარანტირებულ უზრუნველყოფაზე.*²⁹ მას აქვს უფლება, არათუ თავად განსაზღვროს და მოუწოდოს მხარეებს სამართლიანი გადანყვეტის ვერსია, არამედ უშედეგო რეალობის ტესტის შემდეგ მხარეთა ინფორმირებით შეწყვიტოს პროცესი თუ მედიაციის ეთიკური მთლიანობის, ურღვევობის უზრუნველყოფა შეუძლებელია. ეს არის მედიატორის ვალდებულება პროცესის და



მედიატორმა არ უნდა დაუშვას აშკარად საზიანო შედეგი ერთი ან ორივე მხარისთვის.

უპირველესად, მხარეთა წინაშე და ნაკარნახევია მიუკერძოებელი ქცევის მოვალეობიდან.

„მედიაციის პროცესში მხარეებს აქვთ სამართლიანი შედეგის მიღების მოლოდინი, თუმცა სამართლიანობის შინაარსი და გაგება იმ ინდივიდუალური სამართლიანობით განისაზღვრება, რომელსაც თითოეული მხარე შეიწყნარებს და აღიქვამს სამართლიანად. რა არის სამართლიანი? რესურსების თანაბარი განაწილება, საჭიროებების შესაბამისად განაწილება თუ ეკონომიკური ეფექტიანობის მიხედვით განაწილება? რა უნდა იყოს სამართლიანობის განმსაზღვრელი შეუცვლელი კრიტერიუმი? სასიცოცხლო ორგანო უნდა გადავუნერგოთ ყველაზე ავადმყოფს, იმას, ვისაც მეტად გამოადგება (ნაკლებად დაზიანებული ჯანმრთელობით) თუ ადამიანს, რომელსაც სხვა ადამიანებისთვის სოციალური სარგებლიანობის და სიკეთის მოტანა შეუძლია? თუ „საზოგადოებრივი სარგებლიანობა“ კრიტერიუმია, მაშინ როგორ უნდა შეფასდეს სარგებლიანობის შინაარსი, რა უნდა ჩაითვალოს სარგებლიანად?“^{*30} თუ ადამიანებს სწამთ, რომ ფორმალური სამართალი დაშორებულია სამართლიანობის არსს, კანონის ნორმებს ნაკლებად ექნებათ მათთვის მორალური ძალმოსილება და გავლენა მოლაპარაკებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მედიატორს არც ინსტიტუციური, პროფესიული ლეგიტიმაცია აქვს და არც მორალური კომპეტენცია, თავად დაადგინოს მხარეთათვის სახელმძღვანელო სამართლიანობის სტანდარტი.^{*31} ამდენად, მედიატორის მიერ სამართლიანობის კონტროლი გულისხმობს შემდეგს: თუ მედიატორისთვის ცნობილია მხარეთა არსებითი ინტერესები და საჭიროებები, მან არ უნდა დაუშვას ისეთი შეთანხმების მიღ-

- *20 The California Rules of Court, 3.857(b);
- *21 Family Mediation Canada Members Code of Professional Conduct, Art. 9.1.; European Mediation Training for Practitioners of Justice, A Guide to European Mediation, Association of International Arbitration (ed.), Antwerpen, Apeldoorn, Portland, Maklu, 2012, 143.
- *22 Hopt K.J., Steffek F., Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 74.
- *23 Family Mediation Canada Members Code of Professional Conduct, Art. 9.5; Austrian Mediation Act, June 6, 2003, Art. 16(2); Bulgaria Mediation Act, (promulgated 2004, amended 2011) Art. 9 (1);
- *24 German Mediation Act, 21 July, 2012, § 2 (5); Bulgaria Mediation Act, Art. 5; Georgia Ethical Standards for Mediators, Georgia Commission on Dispute Resolution 2012, §V; Steffek F., Unberath H. (eds.), Genn H., Greger R., Menkel-Meadow C., Regulating Dispute Resolution ADR and Access to Justice at the Crossroads, Hart Publishing, Oxford and Portland Oregon, 2013, 284; European Mediation Training for Practitioners of Justice, A Guide to European Mediation, Association of International Arbitration (ed.), Antwerpen, Apeldoorn, Portland, Maklu, 2012, 143.
- *25 Shapira O., Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation, 54 South Tex. Law Rev., 2012, 285.
- *26 Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, § XI. A. 6; Folberg J., Milne A.L., Salem P., Divorce and Family Mediation, Models, Techniques and Applications, The Guilford Press, New York, London, 2004, 540; Waldman E., Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass, A Wiley Imprint, United States of America, 2011, 13.
- *27 Family Mediation Canada Members Code of Professional Conduct, Art. 9.4.
- *28 Waldman E., Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass A Wiley Imprint, San Francisco, 2010, 5.
- *29 Rules of Conduct for Mediators in Court-Connected Mediation Programs for General Civil Cases (California Rules of Court), 2007, Revised January 1, 2013, rule 3.857 (b).
- *30 Waldman E., Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass A Wiley Imprint, San Francisco, 2010, 5.
- *31 Susskind L., Environmental Mediation and the Accountability Problem, 6 Vt. L.Rev. 1, 1981; Stulberg J., The Theory and Practice of Mediation, A Reply to Professor Susskind, 6 Vt. L.Rev. 85, 1981.

წევა, რომელიც მხარეთათვის გაუცნობიერებლად ხელყოფს რომელიმე მხარის/მხარეთა არსებით ინტერესებს, მოლოდინებს. ამდენად, მედიატორმა არ უნდა დაუშვას აშკარად საზიანო შედეგი ერთი ან ორივე მხარისთვის. მედიატორი არ უნდა წარმოდგებოდეს როგორც სამართლიანობის არბიტრი, არამედ ის მხარს უნდა უჭერდეს მხარეებს იმგვარი შეთანხმების მიღწევის გზაზე, რომელიც სამართლიანობისა და თანასწორობის საბაზისო, მინიმალურ

მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს.*³² ამდენად, სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და თანასწორობის არსებითი რღვევა და ფუნდამენტური დისბალანსი მხარეთა ინტერესებს შორის, არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დარღვევის მოსალოდნელი საფრთხე შეიძლება გახდეს მედიატორის მიერ პროცესის შეწყვეტისა და ამგვარი შეთანხმების შეწყნარებლობის მიზეზი. ამ პროცესში ოქროს ეთიკური შუალედის მოძებნა და მორალური იმპერატივების პოვნა მხარეთა ინდივიდუალური საჭიროებების კომპლექსური ანალიზითა და მათი თანაბომიერი განხორციელების ოპტიმალური ხელშეწყობით მიიღწევა.

პროცედურული სამართლიანობა გულისხმობს პროცესში გამოყენებული მეთოდების, სტრატეგიებისა და პროცედურული გადაწყვეტილებების სამართლიანობას, თანაბრობას. მეცნიერებაში აღიარებულია, რომ კონფლიქტის მართვის მიმართ მეთოდოლოგიურად სამართლიანი მიდგომა, ე.წ. პროცედურული სამართლიანობა მყარ ფუნდამენტს, წინაპირობას ქმნის მხარეთა მიერ არსობრივად სამართლი-



სამედიაციო მორიგება დაუშვებელია იყოს მედიატორის მიერ ნაკარნახევი, შეთავაზებული და ბუნებრივია, მიღებულიც.

ანი გადაწყვეტილების მიღებისთვის და ამდენად, დიდი ალბათობით განაპირობებს პროცესის სამართლიან შედეგსაც. თვითგამორკვევის თანაბარი პროცედურული შესაძლებლობა, პარიტეტული პროცესუალური კონტროლის მინიჭება მხარეებისთვის განაპირობებს თანაბარი შინაარსობრივი კონტროლისა და მოლაპარაკების შესაძლებლობებს და ამდენად, პრეზუმირებულად ქმნის არსობრივად ბალანსირებული შეთანხმების მიღწევის პროცესუალურ გარანტიას მხარეებისთვის მედიატორის/მედიაციის მხრიდან.

პროცესი, რომელიც თავისუფალია მედიატორის მხრიდან დავის შედეგის მიმართ დაინტერესებისგან, ასევე რომელიმე მხარის მიმართ მიკერძოებული პირადი თუ პროფესიული კავშირებისგან, მეტი ალბათობით ქმნის მხარეებისთვის სამართლიანი და ორმხრივად სასარგებლო შეთანხმების მიღწევის წინაპირობას. ამასთან, მხარის სამართლიანობის განცდა მედიაციის პროცესში დიდწილად ფორმირდება იმ პირობებში, თუ მას აქვს გამოხატვის, გაგების შესაძლებლობა, სარგებლობს თავისუფალი და უსაფრთხო სამედიაციო გარემოთი საიმისოდ, რომ იყოს მოსმენილი დამოუკიდებელი, ნეიტრალური და რეპუტაციით აღჭურვილი მესამე პირისგან. თუ მედიაციის პროცესში მხარეს უყალიბდება ღირსებისა და პატივისცემით მოპყრობის განცდა, ის მეტად სამართლიანად აღიქვავს და ენდობა მედიაციის პროცესის შედეგს, განსახილველი მორიგების პირობებს.*³³


მედიაციის პროცესში მხარე აღჭურვილია



როგორც დავის შინაარსობრივი, ისე პროცესუალური კონტროლის უფლებამოსილებით.^{*34} აღნიშნული წარმოადგენს მედიაციაში მხარის ავტონომიისა და თვითგამორკვევის უფლების კრიტიკულ ასპექტს.^{*35} ერთი მხრივ, მედიატორი გამოკვეთს მხარეთა საერთო ინტერესებს და დავის გადაწყვეტის შესაძლო პერსპექტივას, თუმცა გადაწყვეტილების მიღების სრული უფლებამოსილება მხოლოდ მხარეთა პრივილეგიად რჩება. სამედიაციო მორიგება დაუშვებელია იყოს მედიატორის მიერ ნაკარნახევი, შეთავაზებული და ბუნებრივია, მიღებულიც. მედიატორის მიერ მორიგების აქტის ხელმოწერა ადასტურებს მედიაციის პროცესში შეთანხმების მიღწევის ფაქტს და არ არის მორიგების მხარედ მედიატორის აღიარების გამომხატველი. მედიატორს აქვს ლეგიტიმაცია მხოლოდ პროცესუალურ გადაწყვეტილებებზე, თუმცა აღნიშნულიც მხარეთა მიმღებლობის/თანხმობის პირობებში არსებითად უნდა იყოს მოტივირებული მათივე ინტერესებით და გამართლებული პროცესის ლეგიტიმურ-ეთიკური მიზნებით.^{*36} ამასთან, მხარეთა ნებაყოფლობითობის პრინციპი გულისხმობს მხარეთათვის არა მხოლოდ თავისუფალი არჩევანის ხელმისაწვდომობას, არამედ ინფორმირებული არჩევანის უფლებას.^{*37} ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა მიემართება როგორც დავის შინაარსობრივ მხარეს, შეთანხმების პირობებს, ისე პროცესუალურ საკითხებს.^{*38}

მხარის ავტონომია გულისხმობს მხარის უფლებას, მიიღოს გადაწყვეტილებები პიროვნული რწმენისა და ღირებულებების გათვალისწინებით, იძულებისა და ზეწოლის გარეშე. პროცედურული სამართლიანობა გულისხმობს სამართლიანი, ორივე მხარისთვის ბალანსირებული პროცედურული მექანიზმების თანაბრად ხელმისაწვდომობას და მათი გამოყენებით სამედიაციო მორიგების მიღწევის შესაძლებლობას ყოველგვარი ზეწოლისა და იძულების გარეშე.^{*39} არსობრივი სამართლიანობა მოიაზრებს სამედიაციო მორიგების ისეთ შინაარსს, რომელიც აკმაყოფილებს სამართლიანობის,

კანონიერების მინიმალურ მოთხოვნებს და გონივრული თანაზომიერებით ასახავს მხარეთა ინტერესებსა და ბალანსირებულად ეხმიანება მათ მოლოდინებს მედიაციის შედეგის მიმართ. აღნიშნული სამი ღირებულება სამედიაციო პრაქტიკაში ხშირად წინააღმდეგობრივია და მათ შორის ჰარმონიული ბალანსის უზრუნველყოფა არსებითად განსაზღვრავს მედიატორის მიერ პროცედურული გადაწყვეტილებების ეთიკურობის ხარისხს.^{*40}



*32 Waldman E., Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass A Wiley Imprint, San Francisco, 2010, 6.
 *33 Waldman E., Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass A Wiley Imprint, San Francisco, 2010, 4-5.
 *34 „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 და მე-3 პუნქტები.
 *35 Brunet E., Craver C. B., Deason E.E., Alternative Dispute Resolution: The Advocate's Perspective, Cases and Materials, 3rd ed., LexisNexis, 2006, 200.
 *36 მაგალითად, მედიაციის პროცესის შეწყვეტა „მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ“ მედიატორის გადაწყვეტილებით, როდესაც მედიაციის გაგრძელება არაგონივრული და გაუმართლებელია. იხ. „მედიაციის შესახებ კანონის“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი. ამ შემთხვევაში მედიატორი მხარის ინფორმირების შემდეგ იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას პროცესის ეთიკურ-ლეგიტიმური საჭიროებიდან გამომდინარე. ინფორმირების ერთ-ერთი მიზანი ისაა, რომ თუ შეწყვეტის მიზეზი მხარისგან მომდინარეობს, მედიატორმა მიაწოდოს ინფორმაცია მოსალოდნელი შეწყვეტის შემდეგ და თუ მხარე შეწყვეტის საფუძველს არ აღმოფხვრის, მედიატორის გადაწყვეტილება პრივილეგირებულია მხარეთა მიერ პროცესის გაგრძელების სურვილთან მიმართებით. პროცესის შეწყვეტამდე მხარეების კონსულტირების, შეტყობინების ნორმატიული მოთხოვნის არსებობა ასევე პროცესუალური მოქმედებების შესახებ მხარეთა ინფორმირების სავალდებულო წესით არის განპირობებული. იხ. ასევე, საქართველოს მედიატორთა ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი.
 *37 Cooks L. M., Hale C. L., The Construction of Ethics in Mediation, Mediation Quarterly, 12(1), 1994, 55-76, 66.
 *38 საქართველოს მედიატორთა ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი.
 *39 Rules of Conduct for Mediators in Court-Connected Mediation Programs for General Civil Cases (California Rules of Court), 2007, Revised January 1, 2013, rule 3.857 (b).
 *40 Waldman E., Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass A Wiley Imprint, San Francisco, 2010, 3.



მედიაციაში სამართლიანობის სტანდარტს განსაზღვრავს მხარეთა პიროვნულ-მორალურ ღირებულებათა სისტემა.

მხარის ავტონომია მედიაციის ეთიკის კოდექსებში ხშირად მოიხსენიება **მხარის თვითგამორკვევის** პრინციპის ტერმინით და გულისხმობს მხარის თვითმმართველობას, თვითკონტროლს. მედიაცია ესწრაფვის, სწორედ მხარეს მიანიჭოს კონტროლისა და არჩევანის უფლება და ნაკლებად მედიატორს, მხარის წარმომადგენელს თუ სახელმწიფოს. განსხვავებით სასამართლო სამართალწარმოებისგან, სადაც ადვოკატები სამართლებრივ ჩარჩოში აქცევენ ურთიერთობის შინაარსს, ხოლო მოსამართლეები იღებენ დავაზე გადაწყვეტილებას, მედიაცია ამკვიდრებს პრინციპს, რომ მხარეები წყვეტენ, როგორ იქნება პროცესში მათი კონფლიქტი წარდგენილი, გაჟღერებული, განხილული და გადაწყვეტილი. გადაწყვეტილების სამართლიანობის არსი სასამართლოში კანონით დგინდება, მედიაციაში სამართლიანობის სტანდარტს განსაზღვრავს მხარეთა პიროვნულ-მორალურ ღირებულებათა სისტემა. სოციალური და სამართლებრივი კატეგორიები მედიაციაში შედარებით უკანა პოზიციაზე გადინაცვლებს.^{*41} ავტონომიური გადაწყვეტილება ასახავს მხარისათვის პრიორიტეტულ და უპირატეს ღირებულებებს და ამდენად მხარის პიროვნულობისა და თვითიდენტობის გამომხატველი ანაბეჭდია.^{*42}

მხარის ავტონომიურ გადაწყვეტილებაზე გავლენას ახდენს ერთი მხრივ, მხარეთა შინაგანი სამართლიანობის განცდა მორიგების შინაარსის მიმართ, მიმღებლობის გაძლიერე-

ბა vis-à-vis მიმართ, რაც კონფლიქტის ტრანსფორმაციითა და ორმხრივი პერსპექტივის გონივრული აღქმის ხელშეწყობით მიიღწევა და, მეორეს მხრივ, სასამართლოში დავის გადაწყვეტის პერსპექტივის, სასამართლო დავის რისკების /შედეგების რაციონალური „განჭვრეტა“ და ანალიზი.

ინფორმირებული გადაწყვეტილების ხელშეწყობის მედიატორისეულ მოვალეობას აქვს გარკვეული ეთიკური საზღვრები. კერძოდ, თუ მხარეს არ ჰყავს ადვოკატი წარმომადგენელი პროცესში ან მისთვის არ არის ხელმისაწვდომი იურიდიული მომსახურების ხარჯი, მედიატორი ამ შემთხვევაშიც ვერ იქნება სამართლებრივი კონსულტაციის გამწვევი, რაც არ უნდა ემსახურებოდეს აღნიშნული ინფორმირებული გადაწყვეტილების ხელშეწყობის მიზანს, რადგან მედიატორს სამართლებრივი რჩევა კლიენტის წარმომადგენლად აქცევს, რაც მეორე მხარის თვალში არის მედიატორის მიუკერძოებლობის პრინციპის საუარესო დარღვევა. ამ შემთხვევაში გამოსავალი შეიძლება იყოს უფასო იურიდიული დახმარების ოფისებში იურიდიული კონსულტაციის მიღების შესაძლებლობის მხარისათვის განმარტება მედიატორის მხრიდან. ინფორმირებული გადაწყვეტილებისა და თვითგამორკვევის პრინციპის ხელშეწყობა შეიძლება მხოლოდ მედიატორის ფუნდამენტურად ნეიტრალური როლის ფარგლებში ხორციელდებოდეს, რადგან მედიატორისა და სხვა



პროფესიის როლის სინთეზი ეთიკური თვალსაზრისით კრიტიკულად პრობლემატურია.

ამდენად, მედიაცია ემყარება მხარეთა კონტროლისა და უფლებამოსილების აღიარებას და მესამე პირის მხრიდან ამ უფლებამოსილებაში ჩაურევლობის ფუნდამენტს. მაშინაც კი, როდესაც პირი პროცესში წარმომადგენლის თანხლებითაა ჩაბმული, მხარე, როგორც წესი, თავად აზიარებს საკუთარ პერსპექტივას, ხედვას მედიატორის მიერ უთანხმოების არსის, კონფლიქტის მიზეზის გამოკვლევის საპასუხოდ.^{*43} ამდენად, თვითგამორკვევის პრინციპის სუბიექტი, მისი სრულყოფილად განმახორციელებელი და მასზე პასუხისმგებელი შეიძლება იყოს უშუალოდ მხარე, რამეთუ თვითგამორკვევა მოიაზრებს არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ მრავალმხრივი ინტერესების (უსაფრთხოების, სოციალური, აღიარების, თვითრეალიზაციის ინტერესები) კომპლექსური ანალიზისა და თვითგანსაზღვრის პროცესს.

მედიაციის კანონზომიერი ბუნება, იდეალურ შემთხვევაში, მხარეთა თვითგამორკვევის კონცეპტუალური, პროცესუალური მიზნის გათვალისწინებით, მოლაპარაკების პროცესში მხარის უშუალო ჩართულობას და მის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას მოითხოვს.

მხარეთა ხელშეკრულების თავისუფლებისა და ნებაყოფლობითობის პრინციპის ფარგლები შეთანხმების მართლზომიერების მოთხოვნით დგინდება სამართლის როლი მედიაციაში, როგორც ფასილიტირებულ მოლაპარაკება-

*41 იქვე, 3-4.

*42 იქვე, 4.

*43 Rogers N., McEwen C., Mediation: Law, Policy, Practice, Clark Boardman Callaghan, 1994, §1.01, 1.

*44 Mnookin R., Kornhauser L., Bargaining in the Shadow of the Law: The Case of Divorce, Yale L.J., Vol.88, No.5, 950-997, 1979.

ში, თუმცა კი არ არის განმსაზღვრელი, მაგრამ აღსრულებადუნარიანი შეთანხმების მიღწევის მოლოდინი და მედიატორის მიერ პროცესის ეთიკური ურღვევობის უზრუნველყოფის ვალდებულება მხარეებს ავალდებულებს, მოლაპარაკება წარმართონ „კანონის ჩრდილ ქვეშ“^{*44}.

მხარის ავტონომიისა და თვითგამორკვევის პრინციპი ასევე გულისხმობს, რომ სამედიაციო მორიგების პირობების მდგენელი უნდა იყვნენ თავად მხარეები, რამეთუ მედიატორი არ არის უფლებამოსილი მოსამართლის მსგავსად გამოიყენოს და შეუფარდოს მხარეთა ფაქტობრივ კონტექსტს სამართლებრივი და სოციალური კონცეფციები. სამედიაციო მორიგების პირობების მედიატორის მიერ დადგენის შეზღუდვა იმთავითვე ემსახურება მედიატორის ნეიტრალურობის უზრუნველყოფის მიზანს, როგორც მედიაციის ღირებულებით და ფუნდამენტურ საფუძველს.



არსებითი

დარღვევა

და მისი შედეგები

მტკიცებით

სამართალში



გიორგი მიქელაძე

ბათუმის იურიდიული
დახმარების ბიუროს ადვოკატი



სამართლებრივი სახელმწიფოს პრიმატს წარმოადგენს, უზრუნველყოს სისხლის სამართლის პროცესში უფლებათა ურთიერთბალანსი. კანონმდებელი ადგენს დღის წესრიგს, რომელშიც პირის კანონიერ ინტერესს აქვს პრიორიტეტი დანაშაულის გახსნისა და დამნაშავის დასჯის საჯარო ინტერესთან.^{*1} ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში გერმანელი იურისტი ლიპმანი აღნიშნავდა, რომ სისხლის სამართლის პროცესის ფუნქციების შესრულება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ის ერთდროულად იცავს, როგორც სახელმწიფოს დანაშაულებრივი ხელყოფისაგან, ისე მოქალაქეს სახელმწიფო ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისაგან.^{*2} ჭეშმარიტების დადგენა არ არის სისხლის სამართლის პროცესის აბსოლუტური მიზანი, იგი განიცდის კა-

ნონისმიერ ბოჭვას.^{*3} საქართველოს კონსტიტუცია ადგენს წესს, რომ „კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს“^{*4}. უზრუნველყოფს, რა კონსტიტუციური უფლებების რეალიზაციას სისხლის სამართლის პროცესში, კანონმდებელი ადგენს, რომ არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და მის საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და მას იურიდიულია ძალა არ გააჩნია.^{*5} მიუხედავად იმის, რომ კონსტიტუციური ნორმა უთითებს კანონის დარღვევაზე და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კანონის არსებით დარღვევაზე, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებიდან გამომდინარეობს აზრი, რომ კანონის დარღვევის კონ-

სტიტუციურ ცნებაში სასამართლო გულისხმობს კანონის არსებით დარღვევას.*⁶ შესაბამისად დღის წესრიგში დგება, განიმარტოს არსებითი დარღვევის ცნება და მისი შედეგები მტკიცებულებების მოპოვებისას სისხლის საპროცესო სამართალში. მოქმედი საპროცესო კოდექსი არ განმარტავს, თუ რა იგულისხმება მტკიცებულების მოპოვებისას არსებითი ხასიათის დარღვევაში. მტკიცებულების მოპოვების დროს კანონის არსებითი დარღვევის განმარტებას არ ითვალისწინებდა 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც. კანონმდებელი მხოლოდ ჩამოთვლიდა იმ დარღვევებს, რომელთა საფუძველზეც მტკიცებულება ითვლებოდა დაუშვებლად.*⁷ განსხვავებით წინამორბედისაგან, სისხლის სამართლის მოქმედი საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის საფუძველების ამომწურავ ჩამონათვალს. მოპოვების წესებთან დაკავშირებით კანონმდებელი ადგენს მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის ზოგად ნორმას.*⁸ არსებითი დარღვევის არსი მტკიცებულებათა მოპოვების კონტექსტში იურიდიულ ლიტერატურაშიც არაერთგვაროვნად არის გაგებული. მე-20 საუკუნის ქართველი იურისტი, ბეჟან ხარაზიშვილი, კანონის დანაწესის ნებისმიერ დარღვევას მიიჩნევდა მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველად.*⁹ გიორგი თუმანიშვილი ავითარებს მოსაზრებას, რომ „არსებითი დარღვევის საკითხის გადაწყვეტისას მოსამართლემ სხვა გარემოებებთან ერთად (ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მოპოვებული მტკიცებულების მნიშვნელობა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოების დასადგენად, პირის მიერ დანაშაულის ჩადენის მაღალი ალბათობა, მტკიცებულების მოპოვების ხერხები, განხორციელებული საგამოძიებო ღონისძიების მიზანშეწონილობა და ა.შ.) უნდა გაითვალისწინოს, რამდენად მნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეს იცავს დარღვეული ნორმა, ემსახურება თუ არა იგი პროცესის მონაწილის კონსტიტუციით მინიჭებული ფუნდამენტური უფლებების ან მნიშვნელოვანი პროცესუალური უფლებების დაცვას“*¹⁰. მოცემულ მსჯელობაში არის მნიშ-



მოქმედი საპროცესო კოდექსი არ განმარტავს, თუ რა იგულისხმება მტკიცებულების მოპოვებისას არსებითი ხასიათის დარღვევაში.

ვნელოვანი კონტურები დარღვევის არსებითი ხასიათის დადგენისათვის, თუმცა ვერ ამოწურავს საკითხს სრულად. ნაწილი ავტორებისა კი გვთავაზობენ არსებითი დარღვევის ზოგად განმარტებას, რომ „არსებითი ხასიათისაა დარღვევები, რომლებიც ხელს უშლის სწრაფი და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას, არღვევს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს და საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ პრინციპებს,“ რომ „საპროცესო ფორმის დაცვაზე უარის თქმა, კანონიერების პრინციპზე უარის თქმას ნიშნავს“*¹¹. კანონის დარღვევა თავისთავად არ ნიშნავს არსებით დარღვევას. მოლოდინი, რომ არსებით დარღვევად შეფასდება ყველაფერი, რაც სიტყვასიტყვით არ ემთხვევა სამართლის ნორმას,



- *1 იხ: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მე-12 მუხლი, ნაწილი მე-4
- *2 იხ: ი. ჩხეიძე, „მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2010 გვ 43
- *3 იხ: გ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ. 2014, გვ 248
- *4 იხ: საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31, პუნქტი 10
- *5 იხ: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 72-ე მუხლი, ნაწილი პირველი
- *6 იხ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის N 2/2/579 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II. მე-20 პუნქტი.
- *7 იხ: 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 111, ნაწილი პირველი
- *8 იხ: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, რედ. გიორგაძე გ. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2015, გვ 244
- *9 იხ: ხარაზიშვილი ბ. „მტკიცებითი სამართალი“ თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 1982, გვ 102-103
- *10 იხ: გიორგაძე გ. დასახელებული კომენტარი გვ 249
- *11 იხ. ჩხეიძე ი. დასახელებული ნაშრომი გვ 40, 48

მცდარია. სამართლის ნორმა იქმნება განსაზღვრული მიზნით და ფორმალიზმი იქნებოდა, არსებითად განგვესაზღვრა ყველა შეუსაბამობა ნორმასთან, თუ არ დარღვეულა ნორმის მიზნები. დარღვევა არსებითი ხასიათის იქნება, როდესაც დარღვეულია საპროცესო ქმედების კანონიერების კრიტერიუმები (საპროცესო ქმედების: საფუძველი, ვადები, კანონის მოთხოვნა სუბიექტზე, რომელსაც აქვს ქმედების ჩატარების უფლება, მოთხოვნა კონკრეტულ პირთა სავალდებულო მონაწილეობაზე), ასევე თუ დარღვეულია საპროცესო/საგამოძიებო ქმედების განხორციელების ფორმა (ზოგადი ან სპეციალური წესი), როდესაც ფორმის დარღვევა აჩენს მტკიცებულების უტყუარობაზე დაუძლეველ ეჭვს ან ირღვევა პროცესის მონაწილის ან სხვა პირის უფლებები.^{*12} მოცემული კრიტერიუმები კანონმდებელს არა აქვს რომელიმე ნორმაში ცალკე ჩამოთვლილი. ისინი „გაბნეულია“ საპროცესო კოდექსის სხვადასხვა მუხლებში. მათი ბუნება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენად იმპერატიულად განიხილავს მათ კანონმდებელი საპროცესო ქმედების ჩატარებისას.

ქმედების კანონიერად შეფასებისათვის ვამოწმებთ, რამდენად არსებობდა მისი განხორციელებისათვის კანონით გათვალისწინებული

“

მოლოდინი, რომ არსებით დარღვევად შეფასდება ყველაფერი, რაც სიტყვასიტყვით არ ემთხვევა სამართლის ნორმას, მცდარია.



საფუძველი. შესაბამისი საფუძველის არარსებობისას, ყველა ქმედება ითვლება არსებით დარღვევად. თუ არ არსებობს საპროცესო ქმედების საფუძველი, არ არსებობს მისი კანონიერებაც. არა აქვს მნიშვნელობა, რა ღირებულების მქონეა უსაფუძველოდ განხორციელებული საპროცესო ქმედება. როგორი მიზნებიც არ უნდა მიიღწეოდეს კონკრეტული ქმედებით, რა მტკიცებულებაც არ უნდა იქნას აღმოჩენილი ჩხრეკითა თუ სხვა საპროცესო ქმედებით, ის ყოველთვის უკანონოა, თუ არ არსებობს კანონით განსაზღვრული დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის მტკიცებულებითი საფუძველი. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სსსკის 119-ე მუხლის პირველი, მე-4 და 121-ე მუხლის პირველი ნაწილების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ჩხრეკის შედეგს განიხილავდა ჩხრეკისათვის აუცილებელი დასაბუთებული ვარაუდის შექმნის ერთ-ერთ საფუძველად.^{*13}

დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ჩატარებული საპროცესო ქმედება ბათილია. ვადების დაუცველობა ყოველთვის იწვევს განხორციელებული ქმედების უკანონობას, გარდა მოსამართლის მიერ საპატიო მიზეზით გაცდენილი ვადის აღდგენისა. მაგალითად: მოსამართლის მიერ განჩინებაში განსაზღვრული ვადის შემდგომ საგამოძიებო მოქმედების ჩატარება წარმოადგენს კანონის არსებით დარღვევას. ვადებთან დაკავშირებით კოდექსში გვხვდება შეფასებითი ცნებებიც: გონივრული ვადა, პირველი შესაძლებლობისთანავე, დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს, მანამდე ობიექტური შეუძლებლობა. ასეთი ვადები ინდივიდუალურია ყველა საპროცესო ქმედებისათვის. ერთი საპროცესო ქმედებისათვის გონივრული ვადა, შესაძლოა არაგონივრული იყოს სხვა საპროცესო ქმედებისათვის. შეფასებითი ცნებები ყოველთვის იწვევს ინტერპრეტაციის აუცილებლობას. კანონიერების შემოწმებისას არ უნდა ვეცადოთ ასეთ ცნებებთან მიმართებაში ვიხელმძღვანელოთ რაიმე ზოგადი ფორმულით.

ქმედების კანონიერება განისაზღვრება ასევე მისი განმახორციელებელი სუბიექტის უფ-

ლებამოსილებით. ამ კრიტერიუმის გარშემო მოწმდება, რამდენად იყო ქმედების განმახორციელებელი პირი უფლებამოსილი მოცემული ქმედებისათვის. არაუფლებამოსილი პირის მიერ ქმედების განხორციელება ყოველთვის განიხილება არსებით დარღვევად, თუ თავად კანონმდებელი არ ადგენს საგამონაკლისო წესს. მაგალითად: სსსკის 120-ე მუხლის მე-8 და 121-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში არასრულწლოვანის ჩხრეკა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არასპეციალიზირებული პირის მიერ არ ჩაითვლება კანონის დარღვევად.^{*14} საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ კრძალავს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებას და წარდგენას მხარის პროცესუალური სტატუსის არმქონე საკუთარი ინიციატივით მოქმედი სხვა პირის მიერ“^{*15}. აღნიშნულში არ იგულისხმება ის საპროცესო აქტივობები, რომლებშიც კანონმდებელი განსაზღვრავს უფლებამოსილ სუბიექტებს.

მტკიცებულების მოპოვებისას კანონის არსებით დარღვევას ექნება ადგილი, თუ მის განხორციელებაში არ იქნება უზრუნველყოფილი კანონით განსაზღვრული პირების მონაწილეობა. როდესაც გამოსაკითხი პირი არ ფლობს სათანადოდ სამართალწარმოების ენას, თარჯიმნის გარეშე ჩატარებული გამოკითხვა არის უკანონო. არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად სრულყოფილად ფლობს გამომძიებელი გამოსაკითხ პირთან კომუნიკაციის ენას. ცალკეული სუბიექტების მონაწილეობა საპროცესო ქმედების განხორციელებაში შეიძლება იყოს სავალდებულო ან ნებაყოფლობითი. მაგალითად: სავალდებულოა ექსპერტის მონაწილეობა ექსპერტიზისა და გვამის გარეგნულ დათვალიერებაში, თუმცა ნებაყოფლობითია საგამომძიებო ექსპერიმენტში. შესაბამისად, მხოლოდ პირველ შემთხვევაში ექნება ადგილი არსებით დარღვევას. დარღვევა რომ არსებითად შეფასდეს ობიექტურად, შესაძლებელი უნდა იყოს კონკრეტული სუბიექტის ჩართვა საპრო-



ერთი საპროცესო ქმედებისათვის გონივრული ვადა, შესაძლოა არაგონივრული იყოს სხვა საპროცესო ქმედებისათვის.

ცესო ქმედებაში. თუ პირს აკავებენ განჩინების საფუძველზე და წინასწარ ცნობილია მისი ენობრივი ბარიერის შესახებ, მაშინ თარჯიმნის წინასწარ არ მოწვევა იქნება არსებითი დარღვევა, რაც გამოიწვევს, როგორც დაკავების უკანონობას, ისე დაკავებული პირისაგან პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული ინფორმაციის დაუშვებლობას^{*16}. საგამომძიებო მოქმედების ჩატარებისას კანონით განსაზღვრული პირის მოწვევის ვალდებულების დარღვევას არსებით დარღვევად განიხილავს ლალი ფაფიაშვილიც თუ შესაძლებელი (შეუძლებლად განიხილავს შემთხვევას, როდესაც ჩხრეკისას ვერ დაუკავშირდნენ იურიდიული პირის წარმომადგენელს ან ვერ დაუცადეს გადაუდებელი აუცილებლობის გამო) იყო მისი მოწვევა.^{*17} ამრიგად დარღვევები ვადებზე, საფუძველზე, უფლებამოსილ და მონაწილე პირებზე ყოველთვის არსებით დარღვევად მიიჩნევა, რამდენადაც ისინი განიხილებიან საპროცესო ქმედების კანონიერების თვითმყოფად და დამოუკიდებელ ნევრებად. მეორის მხრივ, დასახელებული კრიტერიუმები ვერ ამოწურავს ყველა რეგულაციას. საპროცე-



*12 საპროცესო ქმედების კანონიერების კრიტერიუმებზე იხ: მიქელაძე გ. დასახელებული ნაშრომი, გვ 47-87

*13 იხ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. III. პირველი პუნქტი.

*14 იხ: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 16, ნაწილი პირველი

*15 იხ: შია რობაქიძის კონსტიტუციურ სარჩელზე დასახელებული გადაწყვეტილება, შია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II. გვ 25-29

*16 იხ: ტრეფსელი შ. „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“ ქართული თარგმანი, რედ. ფაფიაშვილი ლ. ვარძელაშვილი ვ.ნარინდოშვილი მ. მჭედლიძე ნ. მელაძე გ. თბ. 2010, გვ 510, გიორგაძე გ. დასახელებული კომენტარი გვ 227

*17 იხ: ფაფიაშვილი ლ. წიგნში: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ. 2017, გვ 468-469



სო კანონმდებლობაში რჩება სხვა ნორმებიც, რომლებიც განსაზღვრავენ ქმედებების განხორციელების პროცედურას. ისინი წარმოადგენენ საპროცესო ქმედების განხორციელების ზოგად და სპეციალურ წესებს*¹⁸ (იგულისხმება წესები, რომლებიც განსაზღვრავენ მტკიცებულებების მოპოვების ფორმებს). მტკიცებულებების შეკრების ორი განსხვავებული მიდგომა არსებობს. ერთის მიხედვით მტკიცებულების მოპოვების პროცესი თავისუფალი უნდა იყოს და აქცენტი კეთდება მტკიცებულების შინაარსზე, მეორე მიდგომა კი მხარს უჭერს მტკიცებულებების მოპოვების ფორმის მკაცრ რეგლამენტაციას.*¹⁹ ქართული საპროცესო კანონმდებლობა მიმართავს მტკიცების ფორმის რეგლამენტაციას, განსაზღვრულია საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებისა და ფიქსაციის წესები. თუმცა საპროცესო ქმედებების ფორმის განმსაზღვრელი ნორმების დარღვევა, თავისთავად არსებით დარღვევად არ უნდა შევაფასოთ. ასეთი დარღვევები შესაძლებელია ატარებდეს უმნიშვნელო ხასიათს. მაგალითად, კანონმდებლის დათქმა, რომ ექსპერტის დროს დათვალეფრების ან ამოცნობის ჩატარებისას ცალკე ოქმი არ დგება და ამ საგამოძიებო მოქმედების შინაარსი აღინიშნება ექსპერტის ოქმში, თუ დაირღვა ეს ნორმა, განა ეს არსებითი დარღ-

ვევაა და დაუშვებლად უნდა ვცნოთ მიღებული ინფორმაცია? რა თქმა უნდა არა. ამით საექვო არ გამხდარა შედეგების უტყუარობა. თუ ყველა დანაწესიდან გადახვევა არსებითი დარღვევაა, მაშინ არაარსებითი რაღაა? ფორმის დაუცველობა არსებითი დარღვევა მხოლოდ მაშინ იქნება, თუ ის იწვევს სხვისი უფლებების დარღვევას ან/და დარღვევის გამო ჩნდება დაუძლეველი ეჭვი მოპოვებული ინფორმაციის უტყუარობაზე. მაგალითად, დაუშვებელია საგამოძიებო მოქმედების დამით ჩატარება, თუ არ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა.*²⁰ თუ გამოკითხვა ათი საათის შემდგომ ჩატარდა გამოსაკითხი პირის ინფორმირებული თანხმობით, მიუხედავად კანონთან შეუსაბამობისა, ადგილი არ აქვს არსებით დარღვევას. ამით არც გამოსაკითხი პირის უფლებები ირღვევა და არც გამოკითხვის შედეგები ხდება საექვო. ერთ-ერთ საქმეზე, ბინიდან ამოღებული ხელყუმბარის დამაგრებისას ჩხრეკის ოქმში არ მიუთითებიათ ამოღებული ხელყუმბარის მონაცემები, ოქმი შედგენილი იქნა მოგვიანებით, პოლიციის განყოფილებაში, მაგრამ ხელყუმბარა დაილუქა დაუყოვნებლივ, ამოღებისთანავე და ლუქზე ხელს აწერდა ბრალდებულის.*²¹ აღნიშნულ განჩინებასთან დაკავშირებით სამართლიანად შენიშნავს ლალი ფაფიაშვილი, რომ დარღვევა ზოგჯერ შეიძლება არ შეფასდეს არსებით დარღვევად.*²² ფორმას განსაზღვრავს კანონმდებელი 134-ე მუხლის მე-4 ნაწილში, როდესაც ადგენს გამოსახულებისა და კვალის ანაბეჭდების დალუქვას. ოქმი და საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში დამზადებული მასალები უნდა აქარწყლებდნენ უტყუარობაზე იმ კითხვებს, რომლებიც გამონწვეულია ცალკეული დარღვევით. სხვაგვარად დარღვევა შეფასდება არსებითად. დავუშვათ, გამომძიებელმა ამოღებული ტელეფონის დათვალეფრებისას ამობეჭდილი „სქრინები“ არ დალუქა და დალუქა მხოლოდ ტელეფონი, დარღვევა არ არის არსებითი. კითხვის ნიშნებს დაულუქავ მასალაზე გააქარწყლებს დალუქული ტელეფონი. თუ ადვოკატმა დაათვალეფრა ბრალდებულის ტელეფონი და ამობეჭდილი „სქრინები“



როდესაც გამოსაკითხი პირი არ ფლობს სათანადოდ სამართალწარმოების ენას, თარჯიმნის გარეშე ჩატარებული გამოკითხვა არის უკანონო.

არ დალუქა, ტელეფონი კი დაუბრუნდა ბრალდებულს, დარღვევა არსებითად შეფასდება.*²³

არსებითი დარღვევის შედეგად მტკიცებულების მოპოვება იწვევს მის დაუშვებლად ცნობას მიუხედავად იმისა, ვინ მოიპოვა ის. მოცემულ წესთან დაკავშირებით მიზანშეწონილია შემდგომი საკანონმდებლო მოწესრიგება იმ თვალსაზრისით, რომ მტკიცებულება არსებითი დარღვევით მოპოვების შემთხვევაშიც იყოს დასაშვები, თუ კანონი დაარღვია ბრალდების მხარემ და მტკიცებულება კი არის გამამართლებელი. იმ პირობით, რომ შეუძლებელი უნდა იყოს დაცვის მხარისათვის საგამოძიებო მოქმედების განმეორებით ჩატარება, თუ სამართლებრივად დაცვის მხარეს დამოუკიდებლად ან სასამართლოში შუამდგომლობით გააჩნდა მისი მოპოვების ფიზიკური და სამართლებრივი შესაძლებლობა. არსებითი დარღვევის შედეგია ამ გზით მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულების დაუშვებლობაც, როდესაც ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას. ასეთი მოწესრიგება იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილია „მონამღვლი ხის“ თეორიის სახელწოდებით.*²⁴ ამ თეორიასთან დაკავშირებით არსებობს გამონაკლისები, როდესაც შეიძლება ნაწარმოები მტკიცებულების დასაშვებად ცნობა, იმის მიუხედავად, რომ აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას.*²⁵ იგულისხმება დამოუკიდებელი წყაროს გამონაკლისი. ამ დროს პირველად და ნაწარმოებ მტკიცებულებას შორის არის ალტერნატიული მიზეზობრიობა, რამდენადაც ნაწარმოები მტკიცებულების მოპოვებას განაპირობებს სხვა კანონიერი მტკიცებულებაც, მეორისაგან დამოუკიდებლად. მაგალითად, ქურდობის ფაქტზე უკანონოდ მიღებული ჩვენებისა და სხვა წყაროს მეშვეობით კანონიერად მოპოვებული ვიდეო ჩანაწერების საფუძველზე განხორციელდა ჩხრეკა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენება იყო არაკანონიერი, ჩხრეკის შედეგები მაინც დასაშვებია, რადგან მხოლოდ ვიდეო მტკიცებულების საფუძველზეც შეიძლებოდა ჩხრეკის ჩატარება. არსებობს ასევე მტკიცებულების



დაუშვებელია საგამოძიებო მოქმედების ღამით ჩატარება, თუ არ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა

გარდაუვლად აღმოჩენის, გამოსწორებული ნაკლისა და კეთილსინდისიერების გამონაკლისები. მათი გამოყენება 72-ე მუხლის პირველი ნაწილის მოქმედი რედაქციის პირობებში შეუძლებელია. როდესაც ინფორმაციის წყარო (მონმე) არის ერთი და იგივე პირი, მის მიერ გამოძიების სტადიაზე და სასამართლოში მიცემული ჩვენებები არ განიხილება პირველად და ნაწარმოებ მტკიცებულებებად. მათ შორის არ აქვს ადგილი უკანონოდ მოპოვებული და მის საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულების ურთიერთმიმართებას. თუ არსებითი განხილვის ეტაპზე მონმის დაკითხვისას გამოვლინდა, რომ გამოძიების სტადიაზე მისი გამოკითხვა მოხდა არსებითი დარღვევით, სასამართლოში მიცემული მისი ჩვენება განიხილება იურიდიული ძალის არმქონედ, როგორც კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და არა როგორც უკანონო გზით მიღებული მტკიცებულების საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულება. ვერცერთი ინსტანციის სასამართლო სასამართლოში მიცემულ ჩვენებას ვერ განიხილავს გამოძიების სტადიაზე უკანონოდ მოპოვებული ჩვენების საფუძველზე მოპოვებულად.



*18 იხ: მიქელაძე გ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 74

*19 იხ. ჩხვიძე ი. დასახელებული ნაშრომი გვ. 23-25

*20 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 111

*21 იხ: თბილისის სააპელაციო სასამართლოს N1/ბ-555-12 07/11/2012 წლის განჩინება

*22 იხ: ფაფიაშვილი ლ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 476-477

*23 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 134, ნაწილი მე-2

*24 იხ. ჩხვიძე ი. დასახელებული ნაშრომი გვ. 69-70

*25 იხ: თუმანიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 302-314



თამარ სიმონია

იურიდიული დახმარების სამსახურის
ფსიქოლოგ-კონსულტანტი



ქეთევან ჯაყელი

იურიდიული დახმარების სამსახურის
ფსიქოლოგ-კონსულტანტი

ფსიქოლოგთა თვადით დანახუდი მშობედი

ბავშვის უფლებათა კოდექსის მიხედვით მშობელი არის ბავშვის დედა ან/და მამა; ხოლო ოჯახი – საზოგადოების ძირითადი ჯგუფი და ბავშვის აღზრდისთვის, კეთილდღეობისა და დაცვისთვის ბუნებრივი გარემო, რომელიც ტრადიციულად შედგება ბავშვისგან, მისი მშობლისგან, მეურვისგან, მზრუნველისგან, დისგან, ძმისგან ან /და ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი სხვა პირისგან. მშობლის მოვალეობაა ბავშვს შეუქმნას უსაფრთხო, დაცული, მის საჭიროებებსა და კეთილდღეობაზე მორგებული, განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემო.





ბავშვის სრულფასოვან განვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ მშობლები.

მოცემულ სტატიაში ვისაუბრებთ, თუ რა როლი აქვთ ბავშვის სრულფასოვან განვითარებაში მათ მშობლებს, საოჯახო დავების დროს ბავშვის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას. შევეხებით ფსიქოლოგთა როლის მნიშვნელობის და საჭიროების საკითხებს.

რას გულისხმობს ბავშვის სრულფასოვანი განვითარება?

ბავშვი დაბადებიდან გადის განვითარების სხვადასხვა ეტაპს, რომლის წარმატებით გადალახვაც დაკავშირებულია კეთილდღეობასა და უსაფრთხოების განცდასთან. ყოველივე ეს მოიცავს სხვადასხვა ფაქტორს, მაგალითად – რამდენად ჯანსაღ გარემოში იზრდება ბავშვი, დაკმაყოფილებულია თუ არა მისი ფიზიკური, ემოციური, ბიოლოგიური და სოციალური საჭიროებები. ყველა ეს ფაქტორი უნდა ქმნიდეს ერთიან ჯაჭვს. ბავშვის სრულფასოვან განვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ მშობლები.

რა მნიშვნელობა აქვს მშობელსა და შვილებს შორის პოზიტიურ ურთიერთობას?

მნიშვნელოვანია, ბავშვი იზრდებოდეს მოსიყვარულე, მზრუნველ გარემოში, სადაც დაცულია მისი ინტერესები და საჭიროებები. ინდივიდი დაბადებისთანავე იწყებს სამყაროს შეცნობას და უყალიბდება ნდობა გარემოსადმი, უსაფრთხოების განცდა კი ამის ერთ-ერთი წინაპირობაა, რაზეც გარკვეულწილად პასუხისმგებლობა მათ აღმზრდელებს ეკისრებათ. შვილმა უნდა იგრძნოს, რომ მშობლები ჩართულნი არიან და ინტერესს გამოხატავენ მის მი-



მართ. ყურადღება უნდა გამახვილდეს ბავშვის გრძნობებზე, ემოციებზე, აზრებსა თუ აღქმაზე. დღევანდელ რეალობაში გადატვირთული გრაფიკის გამო მშობლები ვერ ახერხებენ დიდი დრო დაუთმონ შვილებს, მაგრამ არ უნდა დაგვავინწყდეს, რომ მნიშვნელოვანია არა ბავშვთან გატარებული დროის ხანგრძლივობა, არამედ მისი ხარისხი. მშობელი უნდა აცნობიერებდეს, თუ რაოდენ დიდი პასუხისმგებლობაა, მოირგო მშობლის როლი. ნდობისა და პატივისცემის ჩამოყალიბება ადრეული ასაკიდან მიმდინარეობს. მშობელი უნდა იყოს ხელმისაწვდომი, როდესაც შვილს მისი, როგორც ემოციური, ასევე ფიზიკური მხარდაჭერა სჭირდება. უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვები იმახსოვრებენ დანაპირებს და ელოდებიან მათ რეალიზებას. ამიტომ თავი უნდა ავარიდოთ ისეთი დაპირების მიცემას, რაც ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება და იმედგაცრუებულს დატოვებს ბავშვს, რადგან ეს ყოველივე საზიანოდ მოქმედებს ბავშვისა და მშობლის ურთიერთობაზე.



მშობელი უნდა იყოს ხელმისაწვდომი, როდესაც შვილს მისი, როგორც ემოციური, ასევე ფიზიკური მხარდაჭერა სჭირდება.



როგორ ზემოქმედებს განქორწინება ბავშვის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე?

ისეთი ცხოვრებისეული მოვლენები, როგორც არის, ადამიანის გარდაცვალება, განშორება, განქორწინება, სამსახურის დაკარგვა, ფინანსური პრობლემები შესაძლოა გახდეს სტრესის მაპროვოცირებელი. აღსანიშნავია, რომ ადამიანისათვის თითოეული სტრესული მოვლენა უარყოფით გამოცდილებასთან ასოცირდება, თუმცა ბავშვები იმ მოწვევლად ჯგუფს მიეკუთვნებიან, რომლებიც უფრო სენსიტიურად აღიქვამენ სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციას. ბავშვისათვის სტრესული შეიძლება აღმოჩნდეს მშობელთან არაჯანსაღი ურთიერთობა, მათი ინტერესების უგულებელყოფა, ფიზიკური და ემოციური მხარდაჭერის ნაკლებობა; გარდა ამისა, ისეთი ცხოვრებისეული მოვლენები, როგორც არის მშობლებს შორის

დაძაბული, კონფლიქტური ურთიერთობა, რასაც მოჰყვება განქორწინება.

განქორწინების პირას მყოფი ადამიანები ხშირად დაბნეულები არიან, მათ უამრავი აზრი, ემოცია, კითხვა აქვთ, რომელზე პასუხსაც საკუთარ თავში ეძებენ. ხშირად მშობლები სვამენ კითხვას, თუ რა იქნება ბავშვისთვის უკეთესი: „უნდა დავრჩეთ თუ არა ერთად ბავშვის მომავლისათვის, როგორ აისახება განქორწინება ბავშვის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე?...“ ზოგიერთ წყვილს მიაჩნია, რომ პრობლემის გადაჭრის ერთადერთი გამოსავალი განქორწინებაა. განქორწინების შემდგომ იწყება ეტაპი, რომლის გადალახვაც ორი გზით არის შესაძლებელი. პირველი ეს არის მშობლებს შორის ურთიერთშეთანხმება ბავშვთან დაკავშირებულ საკითხებზე, ხოლო როდესაც სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზით შეთანხმებას

ვერ აღწევენ, ამ შემთხვევაში მიმართავენ სასამართლოს. საოჯახო დაგების დროს დაპირისპირებული მხარეები ხშირად უარს ამბობენ მედიაციაზე.

მედიაციაზე უარის თქმა შესაძლებელია გამონაკლისი იყოს გამარჯვების დაუოკებელი სურვილით. ბავშვი ხდება მანიპულაციის ობიექტი, რა დროსაც მშობლების მხრიდან უკუღმართული იქნება მისი ინტერესები.

მიუხედავად იმისა, რომ განქორწინება ყველა ბავშვისათვის სტრესულია, ზოგიერთი მათგანი მარტივად ადაპტირდება არსებულ რეალობასთან, ხოლო ნაწილს შესაძლოა გაუჭირდეს ამ ყველაფერთან შეგუება. განქორწინების შედეგად ირღვევა ოჯახის წევრთა ემოციური სტაბილურობა, ბავშვებისთვის სიტუაცია შეიძლება იყოს საკმაოდ საშიშელი, დამაბნეველი და იმედგამაცრუებელი. ისინი განიცდიან ბრახს, შფოთვას, დისტრესს... მცირეწლოვან ბავშვებს ხშირად უჭირთ იმის გაგება, თუ რატომ უნდა უწევდეთ უპირატესობის მინიჭება ერთი მშობლის მიმართ. ბავშვებს ხშირად უყალიბდებათ თვითდანაშაულის განცდა. ფიქრობენ, რომ ერთ დღეს მშობლები შეწყვეტენ მათ სიყვარულს ისევე, როგორც შეწყვიტეს ერთმანეთის სიყვარული. მცირეწლოვან ბავშვებს მიაჩნიათ, რომ მათმა არასწორმა ქმედებებმა განაპირობეს მშობლების განქორწინება, თინეიჯერებს კი ხშირად ბრახის განცდა ეუფლებათ შექმნილი ვითარების გამო, შესაძლებელია დაადანაშაულონ ერთ-ერთი ან ორივე მშობელი და მათ მიმართ გაუჩნდეთ აგრესია. როგორც წესი, განქორწინება ასოცირდება ბავშვის ერთ-ერთ მშობელთან ყოველდღიური კონტაქტის შემცირებასთან, ის ასევე გავლენას ახდენს შვილსა



მცირეწლოვან ბავშვებს მიაჩნიათ, რომ მათმა არასწორმა ქმედებებმა განაპირობეს მშობლების განქორწინება

და მზრუნველ მშობელს შორის სრულფასოვან ურთიერთობაზე. პირველად მომვლელებს ხშირად უფიქსირდებათ სტრესის მაღალი დონე, რაც მართლაც მშობლობასთანაა დაკავშირებული. განქორწინებამ შეიძლება გაზარდოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების რისკი ბავშვებსა და მობარდებში. ასაკის, სქესის და კულტურის მიუხედავად, განქორწინებული მშობლების შვილები შესაძლოა განიცდიდნენ სტრესს და აღენიშნებოდეთ ისეთი ფსიქოლოგიური პრობლემები, როგორც არის დეპრესია, შფოთვა, ქცევითი აშლილობები, ადაპტაციის დარღვევები და სხვა. კვლევებმა ცხადყო, რომ გარდა ფსიქოლოგიური პრობლემებისა, ბავშვებს აღენიშნებათ დარღვევები ფიზიოლოგიურ დონეზე, როგორც არის თავის ტკივილი, უენერგიობა, ძილის დარღვევები, ენურეზია და სხვა. ასევე თვალსაჩინოა პრობლემები სოციალურ სფეროში, ურთიერთობების დამყარების სირთულე და აკადემიური ჩამორჩენა. მსგავს სიტუაციებში, იმისათვის რომ გართულებების გარეშე მოხდეს სტრესულ მოვლენასთან გამკლავება, მნიშვნელოვანია, ბავშვს ადეკვატურად მიენოდოს ინფორმაცია და არ მოხდეს მისი დამატებითი ტრავმატიზაცია, სწორედ ამ ეტაპზე სასურველია ფსიქოლოგთან კონსულტირება და შესაბამისი ზომების მიღება, რათა თავიდან აცილებული იქნას შესაძლო გართულებები.



როდესაც განქორწინებისას დგება ბავშვების საცხოვრებელი ადგილისა და მშობლების ნახვის საათების განსაზღვრის საკითხი, ცხადია, სასამართლომ სხვა გარემოებებთან ერთად უნდა გაითვალისწინოს ბავშვის დამოკიდებულება თითოეული მშობლის მიმართ.


მშობლებს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მათი აქტიური ჩართულობა ბავშვის ცხოვრებაში, თუმცა არც თუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც რომელიმე მათგანი მიზანმიმართულად ცდილობს ბავშვი მეორე მხარის წინააღმდეგ განაწყოს. ფსიქოლოგმა ასეთ დროს ერთმანეთისგან უნდა განასხვავოს ის შემთხვევები, როდესაც ბავშვს მართლაც არ სურს ამა თუ იმ ობიექტური მიზეზით მეორე მშობელთან ურთიერთობა იმ შემთხვევებისგან, როდესაც ბავშვის უარყოფითი დამოკიდებულება ერთი მშობლის მიმართ მეორის ზეგავლენითაა გამოწვეული.

წლების განმავლობაში დამკვიდრებული იყო მოსაზრება, რომ განქორწინების შემთხვევაში არასრულწლოვანი შვილები უნდა დარჩენილიყვნენ დედასთან საცხოვრებლად და ის უნდა ყოფილიყო მათზე ძირითადი მზრუნველი პირი. დღეისათვის საქართველოში არც ერთი

საკანონმდებლო აქტი თუ უფლებების შესახებ დოკუმენტი არ ანიჭებს დედას აღნიშნულ უპირატესობას მამასთან შედარებით. განქორწინების შემდგომ დედაც და მამაც თანაბარი უფლება-მოვალეობებით უნდა სარგებლობდნენ. ცხადია, თუ არ იკვეთება რაიმე ისეთი დამატებითი გარემოება, რაც შეიძლება გახდეს რომელიმე მხარისთვის უპირატესობის მინიჭების საფუძველი. სწორედ ამ გარემოებათა შესასწავლად არის მნიშვნელოვანი მულტიდისციპლინური მიდგომა. ბავშვთან დაკავშირებული საოჯახო დავის შემთხვევაში კვალიფიციური ფსიქოლოგის მონაწილეობა ხელს უწყობს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორების გამოკვეთას, რომელიც შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს საქმეში ჩართული სხვა სპეციალისტების მხრიდან. შესაბამისად, დამატებითი ფსიქოლოგიური ექსპერტიზის გამოყენება მეტად უზრუნველყოფს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას.

რა თქმა უნდა, ყველა სიტუაცია არის უნიკალური, შესაძლოა საოჯახო დავები ბავშვისთვის ასოცირდეს ნაკლებ სტრესსა და კონფლიქტურ სიტუაციასთან, რის გამოც მარტივად განხორციელდეს ბავშვის ადაპტირების პროცესი შეცვლილ რეალობაში.


2020 წლის 1 სექტემბრიდან, ანუ საქართველოში „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ ამოქმედების შემდგომ, ბავშვთა (არასრულწლოვანთა) უფლებების დაცვის საქმეში, განსაკუთრებით, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ჩართული უწყებებისათვის, უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა ფსიქოლოგების ჩართულობამ. ჩვენ, როგორც იურიდიული დახმარების სამსახურის ფსიქოლოგებმა, რამდენიმე კონკრეტულ საქმეში მივიღეთ მონაწილეობა და უწყვეტ რეჟიმში ვახორციელებთ დაკვირვებებსა და კვლევებს სხვადასხვა მიმართულებით, რამაც საბოლოო ჯამში უნდა გამოკვეთოს ფსიქოლოგთა როლი „ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის“ ეფექტური განხორციელებისთვის. ფსიქოლოგიის დარგი, რომელიც ბავშვის საუკეთესო ინტერესს გამოკვეთს სამართალ-



წარმოების პროცესში, არის სასამართლო ფსიქოლოგია. სასამართლო ფსიქოლოგს უნდა ჰქონდეს ცოდნა ბავშვთა ფსიქოლოგიის ან/და კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულებით, რათა ეფექტურად განახორციელოს საქმიანობა. საქართველოში აღნიშნული დარგი ვითარდება და იკვთება საჭიროება, რომ ბავშვების საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისთვის განხორციელდეს ფსიქოლოგის ჩართულობა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვის დაბადებისთანავე წარმოიშობა მშობლების უფლება-მოვალეობები, რომელთა ჯეროვან განხორციელებაზე დამოკიდებულია ბავშვის ფსიქიკის ჯანსაღი ფორმირება. ნებისმიერი კონფლიქტური სიტუაციის დროს მოვლენების შესაძლო განვითარებაზე ინფორმაცია ადეკვატურად და განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა იქნეს ბავშვისათვის მიწოდებული.

რეკომენდაციები მშობლებსა და შვილებს შორის ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად:



- 1 დაუთმეთ დრო შვილებთან ეფექტურ კომუნიკაციას
- 2 გამოიჩინეთ ინტერესი მათთვის საინტერესო საკითხებზე
- 3 იყავით შვილისადმი ხელმისაწვდომი საჭირო დროს
- 4 აგრძნობინეთ, რომ მას მხარს უჭერთ სხვადასხვა პრობლემურ სიტუაციაში
- 5 მოარიდეთ სტრესულ და მატრამვირებელ სიტუაციებს
- 6 მოახდინეთ სტრესული სიტუაციის იდენტიფიცირება და მიიღეთ შესაბამისი ზომები, საჭიროების შემთხვევაში მიმართეთ ფსიქოლოგს
- 7 ოჯახური კონფლიქტის დროს მნიშვნელოვანია ბავშვს მისთვის გასაგებ ენაზე აუხსნათ მიმდინარე პროცესები და შესაძლო შედეგები
- 8 გაითვალისწინეთ, რომ ბავშვისათვის მნიშვნელოვანია ორივე მშობლის თანაბარი ჩართულობა მის ცხოვრებაში



განქორწინების შემდგომ დედაც და მამაც თანაბარი უფლება-მოვალეობებით უნდა სარგებლობდნენ

P.S. გამოყენებული წყაროები:

„ფსიქოლოგიური შეფასება ბავშვთან დაკავშირებული საოჯახო დავების სამართალწარმოების დროს“, 2019 წ. (APR გამოყენებითი ფსიქოლოგიისა და კვლევის ცენტრი)

შესაბამის თემატიკის ინტერნეტ-რესურსები





ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების ვადლებულება საერთაშორისო სამართალში



გიორგი ბალაშვაშვილი

საერთაშორისო საჯარო სამართლის მაგისტრი (Queen Mary University of London); საერთაშორისო სამართლის დოქტორანტი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

შესავალი:

2008 წლის ომი საქართველოში გარდამტეხი აღმოჩნდა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო წესრიგის კუთხითაც. ძალიან მალე, 2014 წელს ამას შედეგად მოჰყვა ყირიმის ანექსიაც და 2022 წელს რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრა უკრაინაში. ამგვარ ვითარებაში დიდ მნიშვნელობას იძენს არაღიარების ანუ *ex injuria jus non oritur* პრინციპის თანამედროვე გააზრება, რომელიც გულისხმობს საერთაშორისო თანამეგობრობის დავალდებულებას, რათა გატარდეს პოზიტიური ღონისძიებები საერთაშორისო სამართლის დარღვევით წარმოქმნილი სიტუაციის არაღიარების და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის კუთხით.

არალიარების დოქტრინის წარმოშობის ისტორია და ასახვა საერთაშორისო სამართალში

სამართლის ნორმების დარღვევით შექმნილი მდგომარეობის არალიარების ვალდებულება სათავეს იღებს სამართლის ზოგადი პრინციპიდან - *ex injuria jus non oritur* - რომლის თანახმადაც, უფლება არ შეიძლება გამომდინარეობდეს უკანონო ქმედებიდან.*1 აღნიშნული ვალდებულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმგვარი შემთხვევებისას, როდესაც, სახეზე გვაქვს ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის ანექსია.*2

არალიარების დოქტრინის წარმოშობა უკავშირდება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის, ჰენრი სტიმსონის მიერ 1932 წლის 7 იანვარს იაპონიის იმპერიისა და ჩინეთის რესპუბლიკისთვის გაგზავნილ დიპლომატიურ ნოტას, რომელიც ეხებოდა იაპონიის იმპერიის მიერ მანჯურიის რაიონის ოკუპაციას. ნოტაში აღნიშნული იყო, რომ „დე ფაქტო მდგომარეობის მიუხედავად, აშშ არ აღიარებდა სიტუაციას, ხელშეკრულებას თუ შეთანხმებას, რომელიც წინააღმდეგობაში მოვიდოდა პარიზის 1928 წლის 27 აგვისტოს [კვლოგ-ბრაიანის] პაქტთან“.*3

1932 წლის 11 მარტს, ერთა ლიგის ასამბლეამ დაადგინა, რომ „ერთა ლიგის წევრებს დაკისრებული აქვთ ვალდებულება, არ აღიარონ იმგვარი სიტუაცია, ხელშეკრულება თუ შეთანხმება, რომელიც ეწინააღმდეგება ერთა ლიგისა და პარიზის პაქტებს“.*4

აღსანიშნავია, რომ გაერთიანებული ერების შექმნის შემდეგ, არალიარების ვალდებულებამ საერთაშორისო სამართლებრივი ასახვა პოვა ცალკეულ რეზოლუციებში, დოკუმენტებსა თუ ICJ-ის საკონსულტაციო დასკვნებში. მეტიც, ხსენებული დოქტრინა საკმაოდ აქტუალურია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაშიც.

გაეროს პირველი დოკუმენტი, რომელიც ეხება არალიარების ვალდებულებას, არის 1949 წლის სახელმწიფოთა უფლებებისა და

“კვლოგ-ბრაიანის პაქტი იყო პირველი საერთაშორისო ხასიათის ინსტრუმენტი, რომელმაც ომი კანონგარეშედ გამოაცხადა.

ვალდებულებების შესახებ დეკლარაციის პროექტი, რომლის მე-11 მუხლში აღინიშნა, რომ ყველა სახელმწიფო ვალდებულია, თავი შეიკავოს ძალის გამოყენებით ან მისი მუქარით მოპოვებული ტერიტორიის აღიარებისგან.*5 მსგავსი შინაარსის ჩანაწერი გაკეთდა 1964 წელს კაიროში სახელმწიფოთა მეთაურების სამიტზე მიღებულ დეკლარაციაში.*6

არალიარების პრინციპმა განსაკუთრებული აღიარება მოიპოვა, როცა ის განმტკიცდა გაეროს 1970 წლის საერთაშორისო სამართლის



*1 Crawford J. et al. (eds.) (2010) The Law of International Responsibility, Oxford University Press, p. 677.
*2 იქვე, 678.
*3 McNair, A. The Stimson Doctrine of Non-recognition. British Year Book of International Law, vol.14, 1933, pp. 65-74. კვლოგ-ბრაიანის პაქტი იყო პირველი საერთაშორისო ხასიათის ინსტრუმენტი, რომელმაც ომი კანონგარეშედ გამოაცხადა. აღსანიშნავია, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ტოკიოსა და ნიურნბერგის სამხედრო ტრიბუნალები აქტიურად უთითებდნენ ხსენებულ ინსტრუმენტზე მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესახებ *opinion juris* არსებობის დასადასტურებლად. ამ მხრივ იხ.: Cryer R, et al. (2007) An Introduction to International Criminal Law and Procedure, Cambridge University Press, 2007, p. 263; შედარებისთვის იხ. ასევე Harriman, E. A. The Legal Effect of the Kellogg-Briand Treaty, Boston University Law Review, vol.9, 1929, pp. 239-252.
*4 Talmon S. The Duty Not to 'Recognize as Lawful' a Situation Created by the Illegal Use of Force or Other Serious Breaches of a Jus Cogens Obligation: An Obligation without Real Substance?, Tomuschat C., Thouvenin J (eds.) (2005) The Fundamental Rules of the International Legal Order: Jus Cogens and Obligations Erga Omnes, Martinus Nijhoff, p. 101 (შემდგომში Talmon).
*5 Draft Declaration on the Rights and Duties of States, General Assembly resolution 375 (IV) of 6 December 1949 ხელმისაწვდომია: http://legal.un.org/ilc/texts/instruments/english/commentaries/2_1_1949.pdf (ყველა ინტერნეტწყარო ბოლოს ნანახია 2018 წლის 20 ოქტომბერს)
*6 Talmon, ზემოთ, სქოლიო 4, p. 102.



ყველა სახელმწიფო ვალდებულია, თავი შეიკავოს ძალის გამოყენებით ან მისი მუქარით მოპოვებული ტერიტორიის აღიარებისგან.

პრინციპების, სახელმწიფოებს შორის მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის შესახებ 2625 დეკლარაციით, რომელშიც არალიარების ვალდებულება დაზუსტებით ფორმულირდა და ნახსენები იქნა ოკუპაციის კონტექსტში. კერძოდ, დეკლარაციის 1-ლი პუნქტის თანახმად, „სახელმწიფოს ტერიტორია არ შეიძლება დაეჭვდებაროს სამხედრო ოკუპაციას, რომელიც წარმოადგენს ძალის გამოყენების შედეგს და ეწინააღმდეგება გაეროს ქარტიას. სახელმწიფოს ტერიტორია არ შეიძლება მეორე სახელმწიფოს მიერ მოპოვებული იქნეს ძალის გამოყენების ან მისი მუქარის შედეგად. ტერიტორიის არც ერთი ამგვარი მოპოვება, რომელიც არის ძალის გამოყენების ან მისი მუქარის შედეგი, არ უნდა იქნეს აღიარებული კანონიერად“.*⁷ აღნიშნული დოკუმენტის განსაკუთრებული მნიშვნელობა გამომდინარეობს მისი ჩვეულებითი სამართლის ბუნებიდან, რომელიც აღიარებულია ICJ-ის მიერ ნიკარაგუას საქმეში და კოსოვოს საკონსულტაციო დასკვნაში.*⁸

არალიარების ვალდებულება განმარტებულია ასევე გაეროს 1970 წლის საერთაშორის-

სო უსაფრთხოების განმტკიცების შესახებ*⁹ და 1974 წლის აგრესიის შესახებ დეფინიციის დეკლარაციებში.*¹⁰ ანალოგიური სულისკვეთების მატარებელია ეუთოს ჰელსინკის 1975 წლის საბოლოო აქტიც*¹¹ და გაეროს 1987 წლის დეკლარაცია ძალის გამოყენებისა და მისი მუქარისგან თავის შეკავების პრინციპის ეფექტიანობის ამაღლების შესახებ.*¹²

არალიარების დოქტრინის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ICJ-ს. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ICJ-ის 1971 წლის საკონსულტაციო დასკვნა *სამხრეთ აფრიკის მიერ ნამიბიის (სამხრეთ-დასავლეთ აფრიკა) ტერიტორიის განგრძობადი დაკავების სამართლებრივი შედეგები უშიშროების საბჭოს 276(1970) რეზოლუციის მიუხედავად*.*¹³ ხსენებულ საკონსულტაციო დასკვნაში სასამართლომ ჩამოთვალა კონკრეტული მაგალითები, თუ რაში უნდა გამოიხატებოდეს სახელმწიფოების მხრიდან არალიარების ვალდებულების შესრულება.*¹⁴ ხოლო რაც შეეხება ნაგულისხმევ ვალდებულებებს, აღნიშნული გამოიხატებოდა გაეროს წევრი სახელმწიფოების მხრიდან სამხრეთ აფრიკასთან იმგვარი ეკონომიკური თუ სხვა სახის ურთიერთობებში შესვლისგან თავის შეკავებაში, რომელიც ხელს შეუწყობდა ნამიბიის ტერიტორიაზე სამხრეთ აფრიკის ადმინისტრაციის ყოფნის გახანგრძლივებას.*¹⁵ გარდა ზემოთაღნიშნულისა, სასამართლომ, *ნამიბიის საკონსულტაციო დასკვნაში* ორი მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა: პირველი ცნობილია, როგორც „*ნამიბიის გამო-ნაკლისი*“ და გულისხმობს, რომ არალიარების ვალდებულებამ არ უნდა წაართვას ადგილობრივ მოსახლეობას შესაძლებლობა, ისარგებლონ საერთაშორისო თანამშრომლობისგან მიღებული სიკეთეებით;*¹⁶ რაც შეეხება მეორე მნიშვნელოვან განმარტებას, იგი ეხებოდა გაეროს არაწევრ ქვეყნებს, რომლებთან დაკავშირებითაც, სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში, სახეზე იყო არალიარების *erga omnes* ვალდებულება და შესაბამისად, ნებისმიერი სახელმწიფო ხდებოდა ვალდებული, შეესრულებინა უშიშროების საბჭოს 276(1970) რეზოლუცია.*¹⁷

არალიარების ვალდებულების შესახებ გან-



საკუთრებული მნიშვნელობის მქონე ICJ-ის საკონსულტაციო დასკვნა *ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიაზე კედლის მშენებლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ*.^{*18} ნამიბიის შემთხვევისგან განსხვავებით, კედლის შესახებ შეკითხვა საკონსულტაციო დასკვნისთვის სასამართლოს გადაეცა გენერალური ასამბლეისგან. ამასთან აღსანიშნავია, რომ მოცემულ დასკვნაში სასამართლომ უშიშროების საბჭოს რეზოლუციების ანალიზის ნაცვლად მეტი ყურადღება დაუთმო პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის უფლების დარღვევას. რაც შეეხება მესამე სახელმწიფოებისთვის დაკისრებულ ვალდებულებებს, სასამართლომ გაიმეორა არალიარების ვალდებულების არსებობის შესახებ და მოუწოდა გენერალურ ასამბლეასა და უშიშროების საბჭოს, რომ განეხორციელებინათ ყველა საჭირო ზომა, რათა კედლის უკანონო მშენებლობა დასრულებულიყო.^{*19}

არალიარების კონტექსტში, ასევე, მნიშვნელოვანია გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიის ორი დოკუმენტი: „საერთაშორისო მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისთვის სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლები“^{**20} და „საერთაშორისო ორგანიზაციების პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების“ პროექტი,^{*21} რომელთა თანახმადაც, „არც ერთმა სახელმწიფომ არ უნდა აღიაროს კანონიერად ვითარება, რომელიც გამოწვეულია მძიმე დარღვევით, როგორც ეს განსაზღვრულია მე-40 მუხლში, ასევე [სახელმწიფოებმა] არ უნდა შეწყონ ხელი ამგვარი ვითარების შენარჩუნებას“.

2

რა შემთხვევაში იქნას არალიარების ვალდებულება ERGA OMNES ხასიათს?

საერთაშორისო სამართლის დარღვევა წარმოიშობა იმ მომენტიდან, როდესაც საერთაშორისო სამართლის პირი არღვევს საერთაშორისო სამართლით ნაკისრ ვალდებულებას. საკუთრივ დარღვევის ცნება მოიცავს როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულების შეუსრულებლობას, ასევე, მძიმე დარღვევებსაც, რომლებსაც შეიძლება



არც ერთმა სახელმწიფომ არ უნდა აღიაროს კანონიერად ვითარება, რომელიც გამოწვეულია მძიმე დარღვევით



- *7 Declaration on Principles of International Law concerning Friendly Relations and Co-operation among States in accordance with the Charter of the United Nations, A/RES/25/2625, Resolution adopted by the General Assembly on 24 October 1970, General Assembly – Twenty-fifth Session, p. 122, ხელმისაწვდომია: <http://www.un-documents.net/a25r2625.htm>.
- *8 Accordance with International Law of the Unilateral Declaration of Independence in Respect of Kosovo, Advisory Opinion, ICJ, 22 July 2010, para. 80.
- *9 Declaration on the Strengthening of International Security, Resolution adopted by the General Assembly, A/RES/25/2734, 16 December 1970, para. 5 ხელმისაწვდომია: <http://www.un-documents.net/a25r2734.htm>.
- *10 Definition of Aggression, United Nations General Assembly Resolution 3314 (XXIX), 14 December 1974, Article 5, para. 3, ხელმისაწვდომია: [http://www.un.org/ga/search/view_doc.asp?symbol=A/RES/3314\(XXIX\)](http://www.un.org/ga/search/view_doc.asp?symbol=A/RES/3314(XXIX)).
- *11 Conference on Security and Co-operation in Europe Final Act, OSCE, Helsinki 1975, principle 4, ხელმისაწვდომია: <http://www.osce.org/helsinki-final-act?download=true>.
- *12 Declaration on the Enhancement of the Effectiveness of Principle of Refraining from the Threat or Use of Force in International Relations, A/RES/42/22, Resolution adopted by the General Assembly on 18 November 1970, Article 1, para. 10, ხელმისაწვდომია: http://www.un.org/ga/search/view_doc.asp?symbol=A/RES/42/22.
- *13 Legal Consequences for States of the Continued Presence of South Africa in Namibia (South West Africa) notwithstanding Security Council Resolution 276 (1970), Advisory Opinion, ICJ, 21 June 1971 (შემდგომში Legal Consequences for States of the Continued Presence of South Africa in Namibia).
- *14 Legal Consequences for States of the Continued Presence of South Africa in Namibia, ზემოთ, სქოლიო 14, para. 123.
- *15 იქვე, para. 124.
- *16 იქვე, para. 125.
- *17 იქვე, para. 126.
- *18 Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory, Advisory Opinion, ICJ, 2004 (შემდგომში Wall).
- *19 A/RES/ES-10/14, ზემოთ, სქოლიო 23, para. 159.
- *20 Responsibility of States for Internationally Wrongful Acts, Yearbook of the International Law Commission, 2001, vol. II (Part Two).
- *21 Draft articles on the responsibility of international organizations, with commentaries, Yearbook of the International Law Commission, 2011, vol. II, Part Two.



ჩაითვალოს, მათ შორის, სახელმწიფოს მხრიდან ჩადენილი დანაშაულები, როგორც ეს განმარტებულია საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ 1996 წელს შემუშავებულ სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტში.^{*22} სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა უნდა იქნეს გაგებული, როგორც დამრღვევი სახელმწიფოს ვალდებულება მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის და არა კონკრეტული სახელმწიფოს წინაშე. სახელმწიფოთათვის *erga omnes* ხასიათის ვალდებულების დაკისრების ინსტიტუტი სწორედ ამ ხედვას ადასტურებს.^{*23} თავის მხრივ, *erga omnes* ვალდებულების შინაარსი განმარტებულია ICJ-ის მიერ *Barcelona Traction* საქმეში, სადაც აღინიშნა, რომ „არსებითი განსხვავება უნდა გაკეთდეს სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს წინაშე არსებულ ვალდებულებასა და იმგვარ ვალდებულებას შორის, რომელიც სახელმწიფოს აქვს მთელი საერთაშორისო საზოგადოების წინაშე [...] თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე, ამგვარი ვალდებულება მიემართება ნებისმიერ სახელმწიფოს. ამგვარ ვალდებულებასთან დაკავშირებულ უფლებებთან მიმართებით, უნდა ჩაითვალოს, რომ ყველა სახელმწიფოს აქვს



დარღვევის ცნება მოიცავს როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობას, ასევე, მძიმე დარღვევებსაც

მათი დაცვის სამართლებრივი ინტერესი, რაც წარმოადგენს *erga omnes* ვალდებულებას”.^{*24} სასამართლომ ანალოგიური მიდგომა დააფიქსირა აღმოსავლეთ ტიმორის საქმეში^{*25} და კედლის საკონსულტაციო დასკვნაში.^{*26}

2.1. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების (*jus cogens*) დარღვევა

მიუხედავად იმისა, რომ *jus cogens* და *erga omnes* ვალდებულებებს აქვთ განსხვავებული სამართლებრივი შედეგები, ისინი მაინც ურთიერთდაკავშირებულნი არიან სხვადასხვა ასპექტით, რაც გამოიხატება იმ სამართლებრივ ინტერესში, რომელიც ყველა სახელმწიფოს აქვს და გულისხმობს სწორედ საერთაშორისო სამართალში საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დაცვას. სწორედ ეს მოსაზრებაა მხარდაჭერილი ICJ-ის მიერ *Barcelona Traction* საქმეში, რომლის თანახმადაც: „ამგვარი ვალდებულებები წარმოიშობა, მაგალითად, საერთაშორისო სამართალში ისეთი ქმედებების კანონგარეშედ გამოცხადებისთვის, როგორებიცაა აგრესიის აქტი და გენოციდი, ისევე, როგორც იმგვარ პრინციპებსა და ნორმებზე დაყრდნობით, რომლებიც ეხება ადამიანის ძირითად უფლებებს, როგორიცაა მონობისგან და რასობრივი დისკრიმინაციისგან დაცვა”.^{*27}

ამასთან, აღსანიშნავია, რომ არაღიარების ვალდებულება უნდა იქნეს გაგებული ჰორიზონტალურ ჭრილში, რომლის თანახმადაც, აღნიშნული ვალდებულება ვრცელდება არა მხოლოდ სახელმწიფოებზე, არამედ არასახელმწიფო სუბიექტებზეც, იქნება ეს საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაცია, ევროკავშირი, ნითელი ჯგრის საერთაშორისო კომიტეტი თუ სხვა სუბიექტი.^{*28} მაშასადამე, არაფერი უშლის ხელს იმ მოსაზრებას, რომ არაღიარების ვალდებულება ასევე ვრცელდება კერძო სამართლის სუბიექტებზე, ხოლო სახელმწიფოებს კი ეკისრებათ პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყონ არაღიარების ვალდებულების ეფექტიანად შესრულება.

საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების განმარტება მოცემუ-

ლია ვენის 1969 წლის საერთაშორისო სახელმწიფოებო სამართლის შესახებ კონვენციის^{*29} 53-ე მუხლში, რომლის თანახმადაც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმა არის იმგვარი ნორმა, რაც მიღებული და აღიარებულია საერთაშორისო საზოგადოების მიერ მთლიანობაში, როგორც ნორმა, რომლიდან გადახვევაც არ არის დაშვებული და რომელიც შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ საერთაშორისო სამართლის შემდგომი, იმავე ბუნების მქონე, საყოველთაო ხასიათის ნორმით.

კომენტატორები ხშირად მიუთითებენ *jus cogens* ნორმების დარღვევის შეუძლებლობაზეც, კერძოდ, მათი მტკიცებით, ამგვარი ნორმებიდან გადახვევაც კი შეუძლებელია, რადგან ამ შემთხვევაში ქმედება და მისი სამართლებრივი შედეგები *ab initio* და *in toto* ბათილი იქნება.^{*30} აღნიშნული მიდგომა არათუ არ ეწინააღმდეგება, არამედ კიდევ უფრო ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმიდან გადახვევით (დარღვევით) მიღებული ვითარება სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს, იმთავითვე ბათილია და შედეგად, საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს ეკისრებათ ამგვარი ვითარების არაღიარების *erga omnes* ვალდებულება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო სამართლის სუბიექტი მაინც აღიარებს ასეთ კანონგარეშე ვითარებას, ამგვარი აღიარება იქნება ბათილი. სწორედ ეს მოსაზრებაა მხარდაჭერილი სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ 41-ე მუხლში.

2.2. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ურყევი ნორმის დარღვევა

როგორც წინა ქვეთავში აღინიშნა, იმისათვის, რომ არაღიარების ვალდებულებამ შეიძინოს *erga omnes* ხასიათი, საჭიროა უკანონო ვითარება გამონწვეული იყოს *jus cogens* ნორმის დარღვევით. სხვაგვარი მოსაზრების თანახმად, არაღიარებისა და დაუხმარებლობის ვალდებულებები წარმოიშობა იმგვარი ნორმების დარღვევის შემთხვევაშიც, რომელთაც ჯერ-ჯერობით არ მოუპოვებიათ *jus cogens* ხასიათი.

“**აღსანიშნავია, რომ არაღიარების ვალდებულება უნდა იქნეს გაგებული ჰორიზონტალურ ჭრილში**”

ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსამართლე კოედიანსის განსხვავებული მოსაზრება *კედლის* საკონსულტაციო დასკვნაში. კერძოდ, მოსამართლემ აღნიშნა, რომ დარღვევის შედეგები იდენტურია იმის მიუხედავად, აქვს თუ არა დარღვეულ ნორმას *jus cogens* ხასიათი.^{*31} ამ კონტექსტში ყურადსაღებია საკუთრივ საკონსულტაციო დასკვნაში არსებული ჩანაწერიც, რომლის მიხედვითაც



*22 Draft Articles on State Responsibility with Commentaries Thereto, Adopted by The International Law Commission on First Reading, January 1997, ხელმისაწვდომია: http://legal.un.org/ilc/texts/instruments/english/commentaries/9_6_1996.pdf. აღნიშნულ კონტექსტში აღსანიშნავია ასევე პროფესორ გერი სიმფსონის ანალიზიც, რომლის მიხედვითაც, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების დღევანდელ ვერსიაში აღარ არის მითითება სახელმწიფოთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, მსგავსი ქმედებები პრაქტიკაში მაინც იწვევს ირიბ, პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, აქცევს რა „დამნაშავე“ სახელმწიფოებს კანონგარეშედ გამოცხადებულ სახელმწიფოებად. იხ. Simpson G (2004) *Great Powers and Outlaw States: Unequal Sovereigns in the International Legal Order*, Cambridge University Press, pp. 278-316.

*23 Jennings R., Watts A. (eds.) (2008) *Oppenheim's International Law: Volume 1 Peace* (9th edition), Oxford University Press, pp. 502-503.

*24 *Case Concerning the Barcelona Traction, Light and Power Company, Limited, Belgium v. Spain*, Judgment, ICJ, 5 February 1970, para. 33 (შემდგომში *Barcelona Traction*).

*25 *Case Concerning East Timor, Portugal v. Australia*, Judgment, ICJ, 30 June 1995, para. 29.

*26 Wall, paras. 155-160.

*27 *Barcelona Traction*, ზემოთ, სქოლიო 32, para. 34.

*28 Tams C. J., Sloan J. (eds.) (2013) *The Development of International Law by the International Court of Justice*, Oxford University Press, pp. 83-85.

*29 Vienna Convention on the Law of Treaties, 23 May 1969.

*30 Oliver, C., Pierre, K. (eds.), (2011) *The Vienna Conventions on the Law of Treaties: A Commentary*, Oxford University Press, p. 1231.

*31 *Separate Opinion of Judge Kooijmans*, Wall, ზემოთ, სქოლიო 22, para. 41.



„ადამიანურობის ელემენტარული მოთხოვნები“, *32 ე.ი. „შეიარაღებული კონფლიქტისას გამოსაყენებელი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების უმეტესობა, [...] რომლებიც დაცულია ყველა სახელმწიფოს მიერ, მიუხედავად კონვენციების რატიფიცირებისა, და იმიტომ, რომ ეს ნორმები წარმოადგენენ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ურყევ პრინციპებს, სასამართლოს მოსაზრებით, მოიცავს erga omnes დაცვის ვალდებულებას“.*33

არაერთმა ცნობილმა მეცნიერმა, მაგალითად, ანტონიო კასესემ, ასევე მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეებმა კორომამ, ბედჯოუიმ და ვირამანტრიმ გამოთქვეს მოსაზრება, რომ ამგვარი საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ურყევი პრინციპები, თუ ჯერ არ წარმოადგენენ jus cogens ნორმებს, სულ მცირე, უნდა ჩაითვალოს jus cogens in statu nascendi ე.ი. საერთაშორისო სამართლის საყოველთაო პრინციპად ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ნორმებად.*34 შესაბამისად, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მძიმე დარღვევა*35 უნდა განიხილებოდეს, როგორც ჩვეულებითი სამართლის ურყევი პრინციპების,*36 ე.ი. jus cogens

“
განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსამართლე კოლეგიის განსხვავებული მოსაზრება კედლის საკონსულტაციო დასკვნაში

in statu nascendi ნორმის დარღვევა.*37 ეს კი წარმოშობს ამგვარი დარღვევით შექმნილი ვითარების არალიარების იდენტურ, erga omnes ვალდებულებას.

2.3. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მნიშვნელობა — იმოქმედებს თუ არა „გაერთიანებულნი მშვიდობისთვის“ რეზოლუციის სულისკვეთება mutatis mutandis საქართველოს შემთხვევაზე?

არალიარების erga omnes ვალდებულების წარმოშობაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს უშიშროების საბჭოსაც. გაეროს ქარტიის 39-ე მუხლის თანახმად, უშიშროების საბჭო ექსკლუზიურად განსაზღვრავს იმას, თუ როდის ემუქრება საფრთხე საყოველთაო მშვიდობას. ასევე, სწორედ ეს ორგანო იღებს გადაწყვეტილებებს, თუ რა ზომები უნდა იქნას მიღებული მშვიდობისა და უსაფრთხოების დასაცავად. უშიშროების საბჭოს ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს აწესრიგებს გაეროს ქარტიის VII თავი.*38 ვითარების „მშვიდობისთვის საფრთხის შექმნად“, „მშვიდობის დარღვევად“, თუ „აგრესიის აქტად“ კვალიფიკაციისთვის უშიშროების საბჭოს ენიჭება ფართო დისკრეტია. მიუხედავად ამისა, არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ უშიშროების საბჭოს შეიძლება დაევალოს ქარტიის VII თავის ამოქმედება. აქედან გამომდინარე, 39-ე მუხლის გამოყენება წარმოადგენს უშიშროების საბჭოს უფლებას და არა ვალდებულებას.*39

უშიშროების საბჭოს რეზოლუციის არსებობა, არალიარების ვალდებულების განსამტკიცებლად, არის განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადგან ეფექტურობის კოეფიციენტი ამ შემთხვევაში გაცილებით მაღალია. თუმცა, ეს იმგვარად არ უნდა განიმართოს, თითქოსდა რეზოლუციის არარსებობა აკნინებს თავად არალიარების ვალდებულების არსს. აღნიშნული გამომდინარეობს შემდეგი ორი არგუმენტიდან. პირველ რიგში, არალიარების ვალდებულება წარმოიშობა თავად უკანონო აქტის ჩადენის მომენტიდან,*40 და მეორეც, საერთაშორისო სამართალში არსებულ ეფექტიანობასა და კანონის უზენაესობას შორის არსებული კონფლიქტი*41 ამ უკანასკნელის სასარგებლოდ წყდება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა განგრძობადობა

და თანმიმდევრულობა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს მშვიდობისა და უსაფრთხოების სადარაჯოზე ყოფნის ექსკლუზიური კომპეტენცია მართოდენ უშიშროების საბჭოს არ აქვს უზურპირებული. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაეროს გენერალური ასამბლეის 1950 წლის 3 ნოემბრის 377-ე რეზოლუცია სახელწოდებით „გაერთიანებულნი მშვიდობისთვის“,*⁴² სადაც აღინიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ უშიშროების საბჭო, მუდმივ წევრთა თანმხვედრი ხმების არარსებობის გამო, ვერ უზრუნველყოფს მასზე დაკისრებული საერთაშორისო მშვიდობის დაცვის ვალდებულების შესრულებას, ეს ფუნქცია უნდა გადაიბაროს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ. 1962 წლის 20 ივლისის საკონსულტაციო დასკვნაში გაერთიანებული ერების კონკრეტული ხარჯების შესახებ,*⁴³ ICJ-მ დაადგინა, რომ უშიშროების საბჭოს როლი საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვაში არის *პირველადი*, თუმცა არა *ექსკლუზიური*.*⁴⁴ სხვა სიტყვებით, მართალია, რომ უშიშროების საბჭოს მშვიდობის დაცვის საკითხში აქვს უპირატესი კომპეტენცია, მაგრამ საკუთრივ გაეროს მიზნებიდან და გენერალური ასამბლეის მზარდი როლიდან გამომდინარე, გენერალური ასამბლეაც აღჭურვილია საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის კომპლემენტარული კომპეტენციით.*⁴⁵

ამგვარ მსჯელობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს მაგალითზე, რამდენადაც ოკუპანტი რუსეთის ფედერაცია არის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ 2008 წლის შემდეგ უშიშროების საბჭო ვეღარ იღებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერ დოკუმენტს. მიუხედავად ამისა, გენერალურმა ასამბლეამ არაერთი რეზოლუცია შეიმუშავა, რომელიც აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და იძულებით გადაადგილებული პირების თავიანთ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების უფლებას. ამ შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს, რომ არაღიარების საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულება კომპლემენტარული კომპეტენციის ფარგლებში გადაეცა გაეროს გენერალურ ასამბლეას და

“
**უშიშროების საბჭო
 ექსკლუზიურად
 განსაზღვრავს იმას, თუ
 როდის ემუქრება საფრთხე
 საყოველთაო მშვიდობას**
 ”



*32 Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons, Advisory Opinion, ICJ, 8 July 1996, para. 79.

*33 Wall, ზემოთ, სქოლიო 22, para. 157.

*34 Moerenhout, T., The Consequence of the UN Resolution on Israeli Settlements for the EU: Stop Trade with Settlements, 2017, ხელმისაწვდომია: <https://www.ejiltalk.org/the-consequence-of-the-un-settlements-resolution-for-the-eu-stop-trade-with-settlements/>.

*35 Henckaerts, J. The Grave Breaches Regime as Customary International Law, Journal of International Criminal Justice , vol.7, no.4, 2009, pp. 683-702.

*36 Chandrasaran, N. The Continuing Relevance of Customary International Law in the Development of International Humanitarian Law, Sri Lanka Journal of International Law , vol.21, no.2, 2009, pp. 55-70.

*37 Moerenhout, T., The Obligation to Withhold from Trading in Order Not to Recognize and Assist Settlements and Their Economic Activity in Occupied Territories, Journal of International Humanitarian Legal Studies, vol. 3, no.2, 2012, pp. 344-386.

*38 ალექსიძე ლ. (2010) თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, გვ. 109-110.

*39 Simma B., et al., (eds.) (2012) The Charter of the United Nations: A Commentary, Volume I (3rd Edition), Oxford University Press, p. 1276. იმისთვის, რომ უშიშროების საბჭოს რეზოლუციით დაკისრებულმა ვალდებულებამ erga omnes ხასიათი შეიძინოს, არ არის აუცილებელი, რომ ის მხოლოდ VII თავის რეჟიმში იქნეს მიღებული. ამასთან, 39-ე მუხლის სხენებისგან თავის შეკავება ავტომატურად არ ნიშნავს, რომ რეზოლუცია არ არის VII თავით მიღებული. უშიშროების საბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა, რაც მითითებულია კიდევ ქარტიის 25-ე მუხლში.

*40 Crawford J. et al. (eds.) (2010) The Law of International Responsibility, Oxford University Press, p. 677.

*41 Klabbbers, J. Kadi Justice at the Security Council? International Organizations Law Review, 2003, pp. 293-304.

*42 Uniting For Peace, A/RES/377(V), United Nations General Assembly Resolution of 3 November 1950.

*43 Certain Expenses of the United Nations (Article 17, paragraph 2, of the Charter), Advisory Opinion, ICJ, 20 July 1962.

*44 იქვე, para. 166.

*45 Hossain, K. The Complementary Role of the United Nations General Assembly in Peace Management, Review of International Law and Politics, vol.4, no.13, 2008, pp. 77-94.



შესაბამისად, მის მიერ მიღებული დოკუმენტები საქართველოსთან მიმართებით უნდა ჩაითვალოს *erga omnes* ძალის მქონედ. აღნიშნულს ასევე ადასტურებს გაეროს გენერალური ასამბლეის 2022 წლის 2 მარტის რეზოლუცია უკრაინის შესახებ, რომელიც ეფუძნება სწორედ „გაერთიანებულნი მშვიდობისთვის“ რეზოლუციას და რუსეთს აცხადებს აგრესორად, რითაც გენერალურმა ასამბლეამ უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა თავისი არსებობის ისტორიაში.^{*46}

აღნიშნული შესაძლოა განხილულ იქნეს ასევე, როგორც საერთაშორისო სამართლის ევოლუციის შემდეგი ეტაპი, როდესაც უშიშროების საბჭოს ექსკლუზიურობის თეორია საბოლოოდ ჩანაცვლდა კომპლემენტარული მოდელით.

3

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე განხორციელებული ქმედებების შერაცხვა რუსეთის ფედერაციაზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის კონტაქტში – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება

2021 წლის 21 იანვარს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ გამოიტანა ისტორიული გადაწყვეტილება, რომელიც შეეხებოდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის სამართლებრივ შეფასებას.^{*47} გადაწყვეტილებაში დადასტურდა, რომ საქართველოს ოკუპირებული რეგიონები იმყოფებიან რუსეთის ეფექტური კონტროლის ქვეშ,^{*48} რაც ნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა შელახვა

ავტომატურად აყენებს რუსეთის პასუხისმგებლობას.

ნამება და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა: 160 უკანონოდ დაკავებული ეთნიკურად ქართველი სამოქალაქო პირისადმი განხორციელებული მოპყრობის ნაწილში სასამართლომ დაადგინა რუსეთის ფედერაციის მხრიდან კონვენციის მე-3 და მე-5 მუხლების დარღვევა.^{*49} ხაზი გაესვა, რომ ეთნიკურად ქართველი სამოქალაქო პირები დაექვემდებარნენ არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას, როგორც დაკავების პირობების, ისევე მათ მიმართ განხორციელებული ქმედებების ნიადაგზე. შედეგად, სასამართლომ დაადგინა, რომ არსებობდა ე.წ. „ადმინისტრაციული პრაქტიკა“, რომელიც არღვევს კონვენციის მე-3 მუხლს.^{*50} აქტიური საბრძოლო მოქმედებების შემდგომ პერიოდში სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმის ნაწილში სასამართლომ დაადგინა რუსეთის ფედერაციის მხრიდან კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა.^{*51}

სიცოცხლის უფლება: აღნიშნულთან მიმართებით სასამართლომ გაიმეორა ევროსაბჭოს თანამომხსენებლების პოზიცია, რომლის თანახმადაც ოსური ფორმირებების მხრიდან განხორციელდა ქართველთა ეთნიკური წმენდა.^{*52} სასამართლომ გამოიყენა „ეფექტური კონტროლის“ ტესტი და დაადგინა, რომ საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ, ოსური ფორმირებების მიერ განხორციელებულ ქმედებებზე, როგორც ცხინვალის რეგიონში ასევე ე.წ. „ბუფერულ ზონებში“, პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთს.^{*53} მართალია, სასამართლომ აქტიური საბრძოლო მოქმედებების დროს მიმდინარე მოვლენებზე (8-12 აგვის-

“**უშიშროების საბჭოს როლი საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვაში არის პირველადი, თუმცა არა ექსკლუზიური**”



**ეთნიკურად ქართველი
სამოქალაქო პირები
დაექვემდებარნენ
არაადამიანურ და ღირსების
შემლახველ მოპყრობას**

ტო) არ ცნო იურისდიქცია, რომელიც აუცილებელია კონვენციის დარღვევის დასადგენად, თუმცა ის დაეყრდნო საგამონაკლისო ე.წ. „განსაკუთრებულ გარემოებებს“.*⁵⁴ სტრასბურგის სასამართლო ასევე დაეყრდნო სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს I წინა-სასამართლო პალატის დასკვნას, სადაც საუბარია დაზარალებული ქართველების მხრიდან რუსი სამხედროების მიმართ 575 ბრალდების ეპიზოდზე, რომლებიც ეხება ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის საცხოვრებლიდან იძულებით გამოდევნას, ასევე მკვლელობას და მკვლელობის მცდელობას. აქვე აღინიშნა, რომ რუსული უწყებების მიერ ჩატარებულმა გამოძიებამ ვერ დაადგინა ძარცვის, მკვლელობისა და განურჩეველი თავდასხმის ფაქტები და ამასთან, გამოძიება სრულად არ მოიცავდა სადავო გარემოებებს. სასამართლომ არასაკმარისად მიიჩნია ის ფაქტი, რომ რუსულმა საგამოძიებო უწყებებმა მხოლოდ 1 ჯარისკაცი გაასამართლეს. როგორც აქტიური საბრძოლო მოქმედებების, ასევე ოკუპაციის შემდგომ ჩადენილი დანაშაულების სიმძიმის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ რუსული მხარის მიერ განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებები არ იყო დროული, ეფექტიანი და დამოუკიდებელი. სასამართლომ განმარტა, რომ სავარაუდო ომის დანაშაულების ჩადენის კონტექსტში, რუსეთის ფედერაციას ჰქონდა ვალდებულება გამოეძია აღნიშნული საკითხები საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და შიდა კანონმდებლობის თანახმად მაშინ, როცა ქართული მხარე მოკლებული იყო შესაძლებლობას ეწინააღმდეგებინა ეფექტიანი გამოძიება.*⁵⁵

იძულებით გადაადგილებული პირები: სასამართლომ მიიჩნია, რომ de facto სამხრეთ

ოსეთი, აფხაზეთის შესაბამისი უწყებები და რუსეთის ფედერაცია, რომელიც ახორციელებს ეფექტურ კონტროლს აღნიშნულ რეგიონებზე, ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის დაბრუნება საკუთარ სახლებში, კონვენციით დადგენილი ვალდებულებების შესაბამისად.*⁵⁶

მაშასადამე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს მტკიცებულებას, რომ რუსეთის მხრიდან მართლაც განხორციელდა საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური დარღვევა, რაც თავის მხრივ ააქტიურებს არალიარების *erga omnes* ვალდებულებას.

4

**სახალხოფოთა და საერთაშორისო
ორგანიზაციათა შემდგომი პრაქტიკის
შეფხვანლობა არალიარების ვალდებულების
კონტექსტში**

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართლის დარღვევით მიღებული ვითარების არალიარების მოთხოვნას საერთაშორისო სამართალი ადგენს ვალდებულების სახით, ცალკე მნიშვნელობის მქონეა, არის თუ არა სახელმწიფოთა ან/და საერთაშორისო ორგანიზაციათა შემდგომი პრაქტიკა არალიარების ვალდებულებასთან თანხვედრაში.

ამ მხრივ, საინტერესოა ევროკავშირის პრაქტიკა. მაგალითად, 2006 წელს ევროკავშირმა ხელი მოაწერა მაროკოსთან თევზჭერის შეთანხმებას. თუმცა, შეთანხმება იმგვარად

*46 ხელმისაწვდომია: <https://documents-dds-ny.un.org/doc/UN-DOC/GEN/N22/293/36/PDF/N2229336.pdf?OpenElement>

*47 Georgia v. Russia (II), no. 38263/08, 21/01/2021.

*48 იქვე, §§ 166-174.

*49 იქვე, §§ 252 – 256.

*50 იქვე, § 250.

*51 იქვე, § 222.

*52 იქვე, § 205.

*53 იქვე, § 214.

*54 იქვე, § 330.

*55 იქვე, §§ 334-336.

*56 იქვე, § 298.





სასამართლო მიიჩნევს, რომ რუსული მხარის მიერ განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებები არ იყო დროული, ეფექტიანი და დამოუკიდებელი

იყო ფორმულირებული, რომ ის ფარავდა დასავლეთ საჰარის განსაკუთრებული ეკონომიკურ ზონის იმ ნაწილს, რომლის მიმდებარე სანაპიროს ოკუპაცია მაროკომ უკანონოდ განახორციელა 1975 წელს. სამეცნიერო წრეებში და ასევე ევროპარლამენტშიც აღნიშნული მიდგომა გაიგივდა უკანონო ქმედების ლეგიტიმაციისკენ გადადგმულ ნაბიჯთან, რითაც ევროკავშირმა კონკლუდენტურად აღიარა მაროკოს იურისდიქცია დასავლეთ საჰარის წყლებზე.^{*57} ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირს არ უღიარებია ისრაელის იურისდიქცია ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიებზე, პრაქტიკა აჩვენებს, რომ ევროკავშირსა და ისრაელს შორის გაფორმებული ვაჭრობის ხელშეკრუ-

ლება ფარავს ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიაზე არსებულ დასახლებებსაც, რაც გაკრიტიკებულია სამეცნიერო წრეებში, როგორც ევროკავშირის მხრიდან *erga omnes* და *a fortiori, jus cogens* ნორმების დარღვევა.^{*58}

ამის ფონზე, საქართველოსთან მიმართებით ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ევროკავშირი, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობის აბსოლუტური უმრავლესობა პირდაპირ აფიქსირებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას.^{*59}

რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია არაერთგზის აქვთ დაგმობილი სახელმწიფოებს. მაგალითად: აშშ-ს, ჩეხეთს, დანიას,^{*60} ესტონეთს,^{*61} ლატვიას,^{*62} ლიეტუვას,^{*63} ნიდერლანდების სამეფოს,^{*64} შვედეთს,^{*65} ესპანეთს, კანადას, საფრანგეთს, გერმანიას, იტალიას, იაპონიას, გაერთიანებულ სამეფოს^{*66} და ა.შ. აქვე აღსანიშნავია საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციები, მათ შორის იძულებით გადაადგილებულ პირთა უპირობო დაბრუნების შესახებ.^{*67}

დასკვნა

დასკვნის სახით, მნიშვნელოვანია შემდეგი ეპიზოდების გამოყოფა, კერძოდ:

- 1) არაღიარების საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულება არის განმტკიცებული და წარმოადგენს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილს;
- 2) იმისათვის, რომ არაღიარების ვალდებულებამ შეიძინოს *erga omnes* ძალა, საჭიროა შემდეგი წინაპირობების არსებობა: ა) სახეზე უნდა იყოს *jus cogens* ნორმის დარღვევა; ან ბ) უნდა ირღვეოდეს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ურყევი პრინციპი, ცნობილი, როგორც *jus cogens in statu nascendi*; ან გ) სახეზე უნდა იყოს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, ხოლო თუკი უშიშროების საბჭო ვერ ახერხებს ამგვარი რეზოლუციის მიღებას, ხსენებული კომპეტენციის დელეგირება ხდება გენერალურ ასამბლეაზე;
- 3) რუსეთმა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციით დაარღვია როგორც *jus cogens*



ნორმა ძალის გამოყენების აკრძალვის შესახებ, ასევე, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები, მათ შორის, ეთნიკური წმენდის კონტექსტში, რაც ავტომატურად ანიჭებს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარებას *erga omnes* ძალას.

- 4) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების ვალდებულება განმტკიცებულია სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა შემდგომი პრაქტიკით, რაც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ამ ვალდებულების საქართველოს სასარგებლოდ განმარტებისთვის;



საერთაშორისო
თანამეგობრობის
აბსოლუტური უმრავლესობა
პირდაპირ აფიქსირებს
საქართველოს
ტერიტორიული მთლიანობის
მხარდაჭერას

- 5) ე. წ. „ნამიბიის გამონაკლისი“ ვინროდ უნდა განიმარტოს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით და მხოლოდ იმ მოცულობით, რომ არ დაირღვეს იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები.

*57 Milano, E. The Doctrine(s) of Non-Recognition Theoretical Underpinnings and Policy Implications in Dealing with De Facto Regimes, p. 7, ხელმისაწვდომია <http://esil-sedi.eu/wp-content/uploads/2018/04/Agora-3-Milano.pdf>.

*58 Moerenhout, T., The Consequence of the UN Resolution on Israeli Settlements for the EU: Stop Trade with Settlements, 2017, ხელმისაწვდომია: <https://www.ejiltalk.org/the-consequence-of-the-un-settlements-resolution-for-the-eu-stop-trade-with-settlements/>.

*59 Resolution 1647 (2009) "Implementation of Resolution 1633 (2008) on the consequences of the war between Georgia and Russia" of the Parliamentary Assembly of the Council of Europe (PACE), paragraph 7; "European Parliament Resolution on the Negotiations of the EU-Georgia Association Agreement", 17 November 2011, European Parliament, paragraph F.

*60 AS (2014) CR 32, ხელმისაწვდომია: <http://assembly.coe.int/Documents/Records/2014/E/1410011000E.htm>.

*61 იხ. მაგალითად, ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს 2014 წლის 25 აგვისტოს განცხადება. ხელმისაწვდომია: <http://vm.ee/en/news/estonia-considers-so-called-presidential-elections-abkhazia-illegal>.

*62 იხ. Georgian Allies Condemn South Ossetian Referendum and Elections. ხელმისაწვდომია: <http://georgiatoday.ge/news/6304/Georgia>.

*63 იხ., მაგალითად, ლიეტუვის სეიმის 2010 წლის 1 ივნისის რეზოლუცია საქართველოს სიტუაციის შესახებ. ხელმისაწვდომია <http://www.parliament.ge/en/media/axali-ambebi/resolution-on-the-situation-in-georgia-24496.page>.

*64 Autumn Session: Decision-Making Process concerning Credentials and Voting. ხელმისაწვდომია: <http://website-pace.net/web/apce/plenary-session>.

*65 Committee of Ministers Minutes, Council of Europe, 121st Session, 10-11 May 2011, CM(2011)PV-Add 1. ხელმისაწვდომია: https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805ccc9f.

*66 იხ.: Joint Statement on Georgia by Foreign Ministers of Canada, France, Germany, Italy, Japan, the United States and the United Kingdom, August 27, 2008, ხელმისაწვდომია: <https://2001-2009.state.gov/r/pa/prs/ps/2008/aug/108941.htm>.

*67 Status of internally displaced persons and refugees from Abkhazia, Georgia, A/RES/62/249, UN General Assembly Resolution of 15 May 2008. ხელმისაწვდომია: <https://www.un.org/press/en/2008/ga10708.doc.htm>; Recognizing Right of Internally Displaced, Refugees from Georgia's Abkhazia, Tskhinvali Regions to Return Home, GA/11514, General Assembly Resolution of 5 June 2014. ხელმისაწვდომია: <https://www.un.org/press/en/2014/ga11514.doc.htm>. Resolution Recognizing Right of Return for Refugees, Internally Displaced Persons in Georgia, Regardless of Ethnicity, GA/11785, General Assembly Resolution of 7 June 2016. ხელმისაწვდომია: <https://www.un.org/press/en/2016/ga11785.doc.htm>. Resolution Recognizing Right of Return for Refugees, Internally Displaced Persons in Georgia, No Matter Their Ethnicity, GA/11919, General Assembly Resolution of 1 June 2017. ხელმისაწვდომია: <https://www.un.org/press/en/2017/ga11919.doc.htm>. CoE Parliamentary Assembly Resolution 1647 (2009) on the Implementation of Resolution 1633 (2008) on the consequences of the war between Georgia and Russia. "The consequences of the war between Georgia and Russia", 1633 (2008) Resolution 1647 (2009) "Implementation of Resolution 1633 (2008) on the consequences of the war between Georgia and Russia", Resolution 1648 (2009) "The Humanitarian Consequences of the War between Georgia and Russia" 1801 (2011) "On Honoring of Obligations and Commitments by Georgia" of the Parliamentary Assembly of the Council of Europe (PACE); Resolution 1916 (2013) "Georgia and Russia: the Humanitarian Situation in the Conflict and War-affected Areas", Parliamentary Assembly of the Council of Europe (PACE). Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part; ხელმისაწვდომია: <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/34753/AA.იქვე,preamble.EU%20Local%20Statement%20on%20the%20Secretary%20General's%2015th%20Consolidated%20report%20on%20the%20conflict%20in%20Georgia,%20Strasbourg,%2019/04/2017>. ხელმისაწვდომია: https://eeas.europa.eu/delegations/council-europe/24837/eu-local-statement-secretary-general%E2%80%99s-15th-consolidated-report-conflict-georgia_en. Council of Europe, Committee of Ministers, CM/Del/Dec(2017)1285/2.1, Ministers' Deputies Decision of 3 May 2017, ხელმისაწვდომია: https://search.coe.int/cm/pages/result_details.aspx?objectid=090000168070ec0b.



დამო სირღაძე

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი

სამართლის ტექნოლოგიების გამოყენება დღოდვილთა სამართლებრივი კონსულტაციისთვის

I შესავალი

უკრაინაში მიმდინარე ომის გამო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია იმ პირთა სამართლებრივი დახმარება, რომლებიც ომამდე ცხოვრობდნენ ამ ქვეყნის ტერიტორიაზე და იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ ის. სანამ

ისინი იმყოფებიან სხვა ქვეყანაში და ვერ ახერხებენ უკან დაბრუნებას, მათ გააჩნიათ არაერთი მოთხოვნა ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მიმართ. დახმარების ვალდებულება გათვალისწინებულია, ერთი მხრივ, საერთაშორისო აქტებით, მეორე მხრივ კი შიდა კანონმდებლობით. თუმცა, ამ დახმარების სრულყოფილად მისაღებად, აუცილებელია, საკუთარი მოთხოვნის უფლებების დეტალური ცოდნა. გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეუ-





უკრაინელებს, რომლებიც იმყოფებიან საქართველოსა თუ ევროპის სხვა ქვეყნებში, სტირდებით სამართლებრივი კონსულტაცია

ლი სტატუსის მიღება გამორიცხავს სხვა სერვისის მიღების შესაძლებლობას. ამიტომ, პირი კარგად უნდა იყოს ინფორმირებული, სანამ გადამწყვეტს, თუ რომელი სტატუსი აირჩიოს.

უკრაინელებს, რომლებიც იმყოფებიან საქართველოსა თუ ევროპის სხვა ქვეყნებში, სტირდებით სამართლებრივი კონსულტაცია, რათა სრულყოფილად გაეცნონ კონკრეტულ ქვეყანაში არსებულ სახელმწიფო დახმარების შესაძლებლობებს. გარდა დახმარების საჭიროების მქონე პირთა განსაკუთრებით დიდი რაოდენობისა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ენის ბარიერი და შიდაბიუროკრატიული პროცედურები. უკრაინელებმა ინფორმაცია უნდა მიიღონ მათთვის გასაგებ ენაზე, ხოლო ადმინისტრაციულ ორგანოს ოფიციალური განაცხადი წარუდგინონ მათი ადგილსამყოფელი ქვეყნის სახელმწიფო ენაზე. მონაცემთა დამუშავება და ანალიზი გრძელდება დიდხანს და მოითხოვს მრავალი რგოლის ჩართვას. ეს ყველაფერი მაშინ, როდესაც გადაუდებელი დახმარების განევა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. რა შეიძლება გაკეთდეს ამ პრობლემის გადასაჭრელად?

სამართლის ტექნოლოგიები – ლიგალტეკი – არის კომპლექსური მონაცემების სწრაფად დამუშავების, ანალიზისა და ამის საფუძველზე საჭირო სამართლებრივი პროდუქტების მომზადების ეფექტიანი გზა. ის ეხმარება იურისტს სამუშაოს უფრო სწრაფად, მარტივად და მაღალი ხარისხით შესრულებაში. აღნიშნული ვრცელდება ნებისმიერი სახის სამართლებრივი მომსახურების განევაზე, მათ შორის სამართლებ-

რივ კონსულტაციებზე. ზოგადად, შესაძლებელია ნებისმიერი იმ სერვისის გაციფრულება და (სულ მცირე, ნაწილობრივი) ავტომატიზაცია, რომელიც მრავალჯერადი გამოყენებისთვისაა განკუთვნილი*1. სამართლებრივი კონსულტაციის განევისას ინდივიდუალიზაცია ხდება კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, მაგრამ ყველა იმ შეკითხვას, რომლებიც ერთსა და იმავე ფაქტობრივ გარემოებას ეფუძნება, უნდა გაეცეს ერთი და იგივე პასუხი. შესაბამისად, სამართლის ტექნოლოგიების გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია საკონსულტაციო მომსახურებაზე.

დახმარების საჭიროების მქონე ბევრი უკრაინელის ძირითადი ფაქტობრივი გარემოებები ერთი და იგივეა. თუმცა, რა თქმა უნდა, არსებობს გარკვეული განსხვავებებიც. ასეთ დროს სამართლის ინჟინრის ფუნქციაა, დააჯგუფოს ყველა შესაძლოა შემთხვევა, მიუსადაგოს მათ მათთვის რელევანტური სამართლებრივი ნორმები და მოამზადოს ორი სახის პროდუქტი – ერთი მხრივ, საინფორმაციო დოკუმენტები, მეორე მხრივ კი ის ოფიციალური განაცხადები, რომელთა წარდგენაც დასტირდებათ უკრაინელებს ადმინისტრაციულ ორგანოში.

სამართლის ამ სფეროში ლიგალტეკის გამოყენების გამოცდილება უკვე არსებობს. 2015 წელს კომპანია knowledgeTool-ის pro bono პროექტის ფარგლებში მოხდა ბერლინის ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სააგენტოს – Lageso-ს – სამართლის ტექნოლოგიებით მხარდაჭერა და შედეგად ასობით ათასი ლტოლვილის დახმარება.*2



*1 შტეფან ბრაიდენბახი/ფლორიან ვლატცი, სამართლის დიგიტალიზაცია, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 1/2020, 2.

*2 შტეფან ბრაიდენბახი, გადამწყვეტილებების, პროცესისა და ნორმების გამოყენების ავტომატიზირება: წესების მომავალი კოდია, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 2/2020, 1.



Images from Telegram Channel 'Україна 24'



კითხვებს. პროგრამამ თავად უნდა მოახდინოს მომხმარებლის ნავიგაცია შეკითხვებს შორის – დინამიკურად გაანალიზოს მიღებული პასუხები და დასვას მხოლოდ ის შეკითხვები, რომლებიც გამომდინარეობს უკვე გაცემული პასუხებიდან.

მონაცემთა შეყვანის შემდეგ მომხმარებელმა უნდა მიიღოს კონსულტაციის დოკუმენტი დანართებთან ერთად. კონსულტაციის დოკუმენტი უნდა შედგებოდეს ორი ძირითადი ნაწილისგან. ერთი მხრივ, მომხმარებელმა უნდა მიიღოს ინფორმაცია მის ხელთ არსებული ყველა მოთხოვნის შესახებ. მეორეს მხრივ, თუ ეს მოთხოვნები კონკურირებენ და ერთმანეთს გამორიცხავენ, ამის შესახებაც უნდა შეიცავდეს მითითებას მომზადებული დოკუმენტი.

რაც შეეხება დანართებს, როგორც წესი, კონკრეტული დახმარების მისაღებად საჭიროა შესაბამისი ორგანოსთვის განცხადებით მიმართვა. ამიტომ საჭიროა არა მხოლოდ კონსულტაციის პროცესის დიგიტალიზაცია, არამედ ასევე ყელა საჭირო დოკუმენტაციის ავტომატურ რეჟიმში მომზადება. რადგანაც განცხადება სწორედ იმ მონაცემებს უნდა დაეფუძნოს, რომლებსაც მომხმარებელი კონსულტაციისას მიუთითებს, მათი თავიდან შეყვანა აღარაა საჭირო.

მომხმარებელს უნდა შეეძლოს აირჩიოს მონაცემთა შეყვანის (Input-ის) ენა. რაც შეეხება მიღებულ დოკუმენტებს – Outputs-ს³, აქაც შესაძლებელი უნდა იყოს სხვადასხვა ენის არჩევა. ოფიციალურად წარსადგენი განცხადებები ყველა შემთხვევაში უნდა მომზადდეს ქართულ ენაზე.

II ლიგალტაკით მიღწეული შედეგი

უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, პასუხი გაეცეს შეკითხვას, თუ რა შედეგს მოიტანს ლიგალტეკის გამოყენება. სამართლის ტექნოლოგიების გამოყენებით უნდა მოხდეს ციფრული პლატფორმის შექმნა, სადაც დაინტერესებული პირი სასურველ ენაზე გასცემს პასუხს შე-



მონაცემთა შეყვანის შემდეგ მომხმარებელმა უნდა მიიღოს კონსულტაციის დოკუმენტი დანართებთან ერთად.

III დიგიტალიზაციისა და ავტომატიზაციის პროცესი

აღნიშნული დარგის დიგიტალიზაცია და ავტომატიზაციის პროცესი არ არის მარტივი. პირველ რიგში, სამართლის ინჟინერმა უნდა შეისწავლოს ყველა ის სამართლებრივი შედეგი და წინაპირობა, რომლებიც გათვალისწინებულია საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ნორმათა ორი ჯგუფი – პირველი მოიცავს ლტოლვილის სტატუსიდან გამომდინარე უფლებებს, მეორე კი იმ უფლებებს, რომლებიც უცხო ქვეყნის მოქალაქეს ლტოლვილის სტატუსის გარეშე გააჩნია ქვეყანაში ყოფნისას. სწორედ ამიტომ, პროგრამა ისე უნდა იქნეს აწყობილი, რომ, პირველ რიგში, მოხდეს იმ წინაპირობების გამოკვლევა, რომლებიც საჭიროა სხვადასხვა სტატუსის მისაღებად. ამით მომხმარებელს ეცოდინება, აქვს თუ არა რაიმე სერვისის მიღების უფლება ლტოლვილის სტატუსის გარეშე. მაგალითად, უკრაინის მოქალაქეს, რომელიც ომის გამო ვერ ახერხებს სამშობლოში დაბრუნებას, თუმცა საქართველოში სწავლობს ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, შეუძლია მიიღოს სასწავლო ბინადრობის ნებართვა და მას უნდა განემართოს ამის უპირატესობები.

შემდეგი მნიშვნელოვანი ფილტრი, რომელიც უნდა გამოიყენოს პროგრამამ ინფორმაციის მიღებისას, ეს არის პირის მოქალაქეობა. განსხვავება უნდა გაკეთდეს უკრაინის მოქალა-



მომხმარებელს ეცოდინება, აქვს თუ არა რაიმე სერვისის მიღების უფლება ლტოლვილის სტატუსის გარეშე.

ქვებსა და მესამე სახელმწიფოს მოქალაქეებს შორის, რომლებიც ომის დასაწყისში ცხოვრობდნენ უკრაინაში. ორივე მათგანს დეტალურად უნდა განემართოს საკუთარი უფლებები.

მას შემდეგ, რაც მოხდება ყველა წინაპირობისა და შედეგის იდენტიფიცირება, სამართლის ინჟინერმა უნდა დაუკავშიროს ისინი შესაბამის დოკუმენტებს/ტექსტებს/ტექსტობრივ სტრუქტურულ ელემენტებს*⁴. შედეგად, მომხმარებლის მიერ შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ მომზადდება ის დოკუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებს საჭირო წინაპირობებს.

პროგრამაში ჩაშენებული უნდა იყოს ასევე ის ინფორმაცია, თუ სად უნდა წარადგინოს მომხმარებელმა განცხადება შესაბამისი სერვისის მისაღებად. მომხმარებლის სურვილის შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს ასევე განცხადების წარდგენა ამავე პლატფორმის მეშვეობით. თუ ადმინისტრაციული ორგანოსაც ექნება წვდომა ამ პლატფორმაზე, მაშინ მისი მხრიდან მონაცემთა დამუშავებაც გაცილებით ნაკლებ დროში მოხდება, რადგანაც ყველა საჭირო მონაცემი და მათი დამუშავებისთვის საჭირო წესები*⁵ უკვე შეტანილი იქნება სისტემაში.



*3 ლიგალტექვის ფარგლებში Input-თან და Output-თან დაკავშირებით იხ. Tilo Wend, Legal Tech für Massenkla- gen – eine digitale Fertigungsstraße, in Breidenbach/Glatz (Hrsg.), Rechtshandbuch Legal Tech, 2. Auflage, München 2020, Kap. 2.4

*4 შტეფან ბრაიდენბახი, გადაწყვეტილებების, პროცესისა და ნორმების გამოყენების ავტომატიზირება: წესების მომავალი კოდი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 2/2020, 2.

*5 ლიგალტექსში გამოსაყენებელ წესებთან დაკავშირებით იხ. შტეფან ბრაიდენბახი, გადაწყვეტილებების, პროცესისა და ნორმების გამოყენების ავტომატიზირება: წესების მომავალი კოდი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 2/2020, 3.

IV გამოყენების სფერო – კერძო და საჯარო კონსულტაციები

სამართლებრივი ტექნოლოგიების დანერგვა ერთნაირად წარმატებულადაა შესაძლებელი როგორც კერძო, ისე საჯარო უწყებების მიერ კონსულტაციების განწესებას. კერძო კონსულტაციების შემთხვევაში განსაკუთრებით აღსანიშნავია *pro bono* იურისტებისთვის მხარდაჭერის განწესება. მათ შეეძლება ლიგალტეკის გამოყენებით შექმნილი ერთიანი პლატფორმით სარგებლობა და მცირე დროში მრავალი პირის დახმარება. გარდა ამისა, ლიგალტეკის გამოყენება შესაძლებელს გახდის, კვალიფიციური კონსულტაცია განიოს ნებისმიერმა იურისტმა, მათ შორის ისეთმაც, რომელსაც მანამდე არ ჰქონდა სამართლის ამ სფეროში გამოცდილება. პროგრამა თავად განსაზღვრავს, თუ რა ინფორმაციის შეტანაა საჭირო. შედეგად, მომხმარებელს აღარ სჭირდება, ამ მხრივ, კანონების დეტალური გამორკვევა და შესაძლებელია ყველა სპეციალობის იურისტი ჩაერთოს *pro bono* საქმიანობის ფარგლებში.

რაც შეეხება საჯარო დაწესებულებებს, აქ ლიგალტეკის დანერგვა შესაძლებელია როგორც სპეციალურად სამართლებრივი დახმარებისთვის არსებულ ორგანოებში (როგორცაა, უპირველეს ყოვლისა, იურიდიული დახმარების სამსახური⁶), ისე უშუალოდ იმ უწყებებში, რომელთაც აკისრიათ ლტოლვილებისთვის სერვისების მიწოდების ვალდებულება.

საჯარო უწყებაში ლიგალტეკი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შემდეგი ორი მიმარ-



ლიგალტეკის გამოყენება შესაძლებელს გახდის, კვალიფიციური კონსულტაცია განიოს ნებისმიერმა იურისტმა,



თულებით: პირველი, სახელმწიფოს აკისრია ზოგადი ვალდებულება, არ გამოიყენოს კონკრეტული ფუნქციის შესასრულებლად იმაზე მეტი რესურსი (მათ შორის, ფინანსური), ვიდრე ეს საჭიროა. ლიგალტეკის გამოყენებით, მნიშვნელოვნად მცირდება კონსულტაციების განწესის ხარჯი. შესაბამისად, სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება, დანერგოს სამართლის ტექნოლოგიები და ამით შეამციროს ის დანახარჯები, რომლებიც არაა აუცილებელი⁷. მეორე მხრივ, სახელმწიფო ვალდებულია, სრულყოფილი დახმარება გაუწიოს მის ტერიტორიაზე მყოფ ლტოლვილებს. ეს მოიცავს ასევე სამართლებრივი კონსულტაციის ამომწურავად და მარტივ ფორმით განწესებას. ეს ყველაფერი კი სამართლის ტექნოლოგიების გამოყენებით ადვილად მიიღწევა.

V ინტერნაციონალიზაცია

რადგანაც კონსულტაციის გაციფრულებისას გამოყენებული იქნება კონკრეტული რაოდენობის ველები და შესაძლოა შეკითხვებზე არსებული სავარაუდო პასუხების დადგენა (კი/არა; უკრაინის მოქალაქე/სხვა ქვეყნის მოქალაქე), მთლიანი სისტემა შეიძლება წინასწარ ითარგმნოს ნებისმიერ ენაზე.

გარდა ამისა, ყველა ის საერთაშორისო ნორმა, რომელიც გამოიყენება საქართველოში, გამოიყენება ასევე ევროპის სხვა ქვეყნებშიც. ამიტომ, ერთ ქვეყანაში შექმნილი პროგრამა



ციფრული პლატფორმების რამდენიმე ქვეყანაში დანერგვის შემდეგ შესაძლებელია მათი ერთმანეთთან დაკავშირება.

შეიძლება გადატანილ იქნეს სხვა ქვეყანაშიც. შესაბამისი შიდა რეგულაციების გათვალისწინებით შესაძლებელია პროგრამის გავრცობა და მარტივი მოდიფიცირება.

ციფრული პლატფორმების რამდენიმე ქვეყანაში დანერგვის შემდეგ შესაძლებელია მათი ერთმანეთთან დაკავშირება. შედეგად, მაგალითად, პოლონეთში არსებულ პირს შეეძლება ადგილზე მიიღოს ინფორმაცია, თუ რა უფლებებით სარგებლობა შეეძლება მას სხვა ქვეყანაში. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგანაც უკრაინის მოქალაქეები არ არიან შეზღუდულები, რომ თავშესაფრისთვის მიმართონ ევროკავშირის იმ ქვეყანას, რომლის საზღვარიც მათ გადაკვეთეს. მათ შეუძლიათ გაემგზავრონ სხვა ქვეყანაში და იქ მიიღონ დახმარება. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ყველა ქვეყნის ციფრული პლატფორმა დაუკავშირდეს ერთმანეთს და მომხმარებელზე გაიცეს ასევე ის ინფორმაცია, თუ რა სერვისების მიღებაა შესაძლებელი სხვა ქვეყანაში.

VI დასკვნა

ლიგალტექვის გამოყენებით მნიშვნელოვნად შეიძლება სამართლებრივი კონსულტაციის ხარისხის გაუმჯობესება. განსაკუთრებით ომის პირობებშია აუცილებელი შესაბამისი დახმარების დროულად განევა. სამართლის დიგიტალიზაციისა და ავტომატიზაციის გზით შესაძლებელია დაინტერესებულმა პირებმა მარტივად უპასუხონ შეკითხვებს და შემდეგ პროგრამამ რამდენიმე წამში მოამზადოს, ერთი მხრივ, კონსულტაციის დოკუმენტი, მეორე მხრივ კი ის განცხადება, რომელიც უნდა წარადგინოს მომხმარებელმა ადმინისტრაციულ ორგანოში. აღნიშნული დაზოგავს დროს და შესაძლებელს გახდის კონსულტაციის, რაც შეიძლება, მეტი პირისთვის განეგვას.



*6 იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროებში ისედაც დანერგულია კონსულტაციების გასაწევად ხელოვნური ინტელექტისა და ლიგალტექვის დანერგვა.

*7 ამ მხრივ, მაგალითისათვის იხ. საქართველოს პარლამენტში ლიგალტექვის დანერგვის დადებითი მხარეები: ლადო სირდაძე/გიორგი უორჟოლიანი, საკანონმდებლო პროცესის დიგიტალიზაციისა და ავტომატიზაციის პერსპექტივები საქართველოს პარლამენტში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 4/2020, 9.





პაატა
ზაქარაიშვილი


რა ებუქრება პუტინს?

აღმონდება თუ არა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი განსასჯელის სკამზე? დღეს ეს კითხვა ყველაზე აქტუალურია პლანეტის ხუთივე კონტინენტზე. პრეზიდენტ პუტინს უკრაინელი ხალხის გენოციდში ადანაშაულებენ. მართალია, პუტინის წინააღმდეგ საქმე ჯერ არცერთ სასამართლოს არ აღუძრავს, მაგრამ პაატაში გაეროს საერთაშორისო სასამართლომ უკრაინაზე რუსეთის თავდასხმის საქმეზე გადაწყვეტილება უკვე მიიღო. სასამართლოს დადგენილებით, რუსეთმა დაუყოვნებლივ უნდა შეაჩეროს სამხედრო ოპერაციები. მიუხედავად ამ დადგენილებისა, რუსეთს არ შეუჩერებია უკრაინაში სამხედრო ოპერაციები. რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო ხშირად ვიგებთ ამბებს მასობრივი დახვრეტის, სამშობიაროების, საბავშვო ბაღების და სკოლების დაბომბვის ფაქტებზე. უკრაინულ ბუჩასა და ირპენში გადაღებულმა კადრებმა კი მსოფლიო აუშვიცისა და ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკებთან მიაბრუნა. ის, რაც დავიწყებას იყო მიცემული და ნიურნბერგის პროცესით გვეგონა დამთავრებული, ისევ გაცოცხლდა. დაიჭერენ თუ არა პუტინს? „საზოგადოებრივმა ადვოკატ-

მაც“ ამ კითხვით მიმართა სამხედრო ექსპერტს და **შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის ყოფილ სახელმწიფო მინისტრს პაატა ზაქარაიშვილს.**

გამორიცხვა არაფრის შეიძლება, თუმცა პუტინის მსგავსი მმართველები, როგორც წესი, საკუთარ კაბინეტებში კვდებიან. ამიტომ, ჩვენ რომ ავიღოთ მაგალითები სადამ ჰუსეინის, მილოშევიჩის, იგივე ჰიტლერის, ამ დიქტატორების ხელისუფლებიდან ჩამოშორებას ან დაკავებას, ყოველთვის წინ უსწრებდა მონინა-აღმდეგის ჯარების შესვლა დამარცხებულის ტერიტორიაზე. ვფიქრობ, რომ რუსეთის შემთხვევაში უფრო სერბული ვარიანტი ამოქმედდება, მაგრამ მაინც არ მგონია, პუტინი ვინმემ დაიჭიროს, შიდა სახელისუფლო გადატრიალების გზით, მას უბრალოდ პენსიაზე გაუშვებენ.

საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები, საქართველოს, მოლდოვის, უკრაინის და სხვა მსგავსი პოლიტიკური გავლენის ქვეყნებისთვის უკანასკნელი იმედია სამართლისა და სამართლიანობის ძიებაში. თუ ამ მექანიზმებით დამნაშავის დასჯა მიუღწეველია, მაშინ სხვა რა გზა არსებობს სამართლიანობის აღსადგენად?



განსკს“, განაცხადა პუტინმა ომის დაწყებამდე თავის სატელევიზიო მიმართვისას. ფაქტობრივად, უკრაინაში ომის დაწყებაც ამ არგუმენტით გაამართლა.

ეს არის პროპაგანდისტული ხრიკი შიდა მოხმარებისთვისაა; „8 წელია ბომბავდნენ დონბასს“ – ეს არ გაიყიდება, რადგან მინსკის შეთანხმებით, იქ იდგნენ უთოს დამკვირვებლები, დადიოდნენ და ამოწმებდნენ იქაურობას. პრეზიდენტ პოროშენკოს დროს ხშირად მინვევდნენ კიევში უთოს ანგარიშების მოსასმენად. მე არ მახსოვს უთოსგან მსგავსი ფაქტი. პუტინი დღეს ისეთ ფაქტებზე ლაპარაკობს, რომელსაც ვერ დამალავ, თუ ასე ყოველდღე ბომბავდნენ დონეცკს და ლუგანსკს უთო იქ არ იდგა?! რატომ არ წერია არსად, არცერთ ანგარიშში დაბომბვის ფაქტები? რუსეთი ხომ თანამშრომლობდა უთოსთან? რატომ ერთხელ მაინც არ გააპროტესტა რუსეთმა უკრაინელთა ქმედება და რატომ არ მიმართა უთოს – უკრაინა არღვევს მინსკის შეთანხმებას და მიიღეთ ზომებიო? არ არსებობს ასეთი განცხადება, იმიტომ, რომ არ ყოფილა ასეთი ფაქტი. იმ პროტოკოლებში არის ლაპარაკი სროლებზე. ისროლეს ამა და ამ სოფლის მიმართულებით, მოკვდა ამდენი ადამიანი, უკრაინის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება და ჩერდება საქმე. ანუ ყველა ასეთ ფაქტზე უთოს ჰქონდა რეაგირება. რუსეთის მხარეს ასეთი ფაქტები არ არსებობს, ამიტომ აბსურდულია ამ 8 წლის გამოყენება რომელიმე სასამართლოში. კიდევ კიდევ უფრო აბსურდულია ომის დაწყება არ არსებული ფაქტების გამო.

ერთი საკითხია წაყენებული ბრალის დამტკიცება და სასჯელის გამოტანა, ხოლო მეორე – როგორ უნდა მოხდეს სასამართლოს გადანევრეტილების აღსრულება. ჩვენ გვაქვს მაგალითი ჰოლანდიური ბონგის ჩამოგდებისა. დამტკიცებულია, რომ სამგზავრო თვითმფრინავი ჩამოაგდეს რუსეთის კონტროლირებადი ტერიტორიიდან, დადგენილია კონკრეტული პირები, სახელებით და გვარებით, ჰოლანდიურმა სასამართლომ ფანტასტიკური სამუშაო ჩაატარა. შედეგი ჯერ-ჯერობით არ არის, არ არიან დაკავებულები, რუსეთი არ აღიარებს ჰოლანდიური სასამართლოს გადანევრეტილებას და არ გადასცემს დამნაშავეებს. იგივე შეიძლება ითქვას სკრიპალების მოწამვლაზეც. დადგენილია დამნაშავეების სახელები, გვარები, ბრიტანეთი მოითხოვს დამნაშავეების გადაცემას, მაგრამ რუსეთი უარს ამბობს და საერთოდ არ ცნობს ბრიტანული სასამართლოს გადანევრეტილებას. დარწმუნებული ვარ, პუტინის პენსიაზე გაშვების შემდეგ რუსეთს მაინც მოუწევს ამ ბრალდებულების ჰააგის სასამართლოსთვის გადაცემა. დღეს თუ არა ხვალ, ხვალ თუ არა ზევ, სამართალი აუცილებლად იზიგებებს.

როცა სამშობიაროებისა, საბავშვო ბაღების და სკოლების დაბომბვის გამო უკრაინამ რუსეთს ჰააგაში უჩივლა, პრეზიდენტმა პუტინმა უკრაინას საპირისპირო ბრალდება წაუყენა. „8 წლის მანძილზე უკრაინაც ბომბავდა დონბასს და ლუ-

ბუჩას მაგალითზე მსოფლიომ გამოგნებელი კადრები ნახა. როგორ უნდა დაუმტკიცდეს ეს დანაშაულები რუს სამხედროებს?

რაც შეეხება დანაშაულის ფაქტებს, აფხაზეთის და ცხინვალის მაგალითებით ვიტყვი. რა თქმა უნდა, იქ ადგილი ჰქონდა სამხედრო დანაშაულს, მაგრამ ეს იყო ცალკეული ფაქტები და ამ ფაქტებს არ ჰქონდა მასობრივი ხასიათი. ეს დანაშაული არ იყო ჩადენილი ბრძანებით, არ ჩანდა ჯაჭვი დავალების მიმცემსა და შემსრულებელს შორის, როგორც ეს ხდებოდა, მაგალითად, ყოფილ იუგოსლავიაში ბალკანეთის ომის დროს, როცა მასობრივი გაუპატიურებები

“**გამორიცხვა არაფრის შეიძლება, თუმცა პუტინის მსგავსი მიმართვლები, როგორც წესი, საკუთარ კაბინეტებში კვდებიან.**”



Images from Telegram Channel ' Україна 24'

“

ის სისასტიკე, რაც უკრაინაში ხდება, სამეთაურო შტაბებიდან წამოსული ბრძანებების შედეგია,

და მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა მესრულებული დავალებების შედეგი იყო.

სწორედ ასეთი ჯაჭვი იკვეთება უკრაინაში. ის სისასტიკე, რაც უკრაინაში ხდება, სამეთაურო შტაბებიდან წამოსული ბრძანებების შედეგია, შეიძლება კიდევ უფრო მაღლიდანაც. კრამატორსკის რკინიგზის ვაგზლის დაბომბვა, მარიუპოლსა და ბუჩაში გაჩაღებული მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი ხოცვა სწორედ ასეთი დავალებათა ჯაჭვის შედეგია. ალბათ ნახეთ კადრები, როცა ველოსიპედით მიმავალ ადამიანს რუსი სამხედროები კლავენ. ბუჩას კადრებიდანაც ჩანს, რომ მოკლულ ადამიანებს არ აქვთ იარაღი, წინააღმდეგობას არ უწევენ, ხელები აქვთ შეკრული, რა თქმა უნდა, ეს ფაქტები ჰააგის სასამართლომდე მივა და რუსეთს მოუწევს პასუხისგება. უკვე მოხდა ბუჩაში მოკლულთა იდენტიფიცირება. ყველა ადგილობრივია, ამიტომ რუსული მხარის მტკიცება, რომ

ეს მათ არ ჩაუდენიათ და ეს ყველაფერი უკრაინელთა დადგმული სპექტაკლია, შინაარსს მოკლებულია. რუსეთს აუცილებლად მოუწევს პასუხისგება, რადგან ამ პერიოდში სწორედ რუსეთის სამხედრო ნაწილები აკონტროლებდნენ ბუჩას. ახლა მთავარია, გამოძიებამ დაადგინოს, კონკრეტულად ვინ არის ამ მასიურ ხოცვაზე პასუხისმგებელი.

რომელი სამართლებრივი ნორმებით შეიძლება გასამართლდნენ რუსი სამხედროები?

ომის მსხვერპლთა უფლებებს შენევის კონვენცია აწესრიგებს. შენევის კონვენცია აწესრიგებს ასევე სამხედროთა უფლებებსაც. ომში მონაწილე სამხედროს არ აქვს ჩადენილი დანაშაული, თუ, მაგალითად, არ ჰყავს დახოცილი ქალები, ბავშვები. ამ კატეგორიის დანაშაულში შედის საავადმყოფოების, სკოლების, სამშობიაროების, საცხოვრებელი სახლების დაბომბვა. თუ ასეთი ფაქტები არ უმტკიცდე-

ბა სამხედროს, მას ვერ დასჯი. დასჯადია, მაგალითად, მშვიდობიანი მოქალაქეების მძევლად აყვანა მათი შემდგომი ტყვეებში გადაცვლის მიზნით.

ახლა გადამწყვეტი სიტყვა უკრაინის პროკურატურაზეა, მან უნდა აღძრას თითოეულ ასეთ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე და გამოიძიოს. ამასთან უკრაინის პროკურატურას უფლება აქვს მოიწვიოს საერთაშორისო წარმომადგენლები, თუ უკრაინის პროკურატურამ არ მოინდომა და ოფიციალურად მოთხოვნები არ დააგზავნა ამ ორგანიზაციებში, ისე ვერავინ ჩავა ვერც ბუჩაში, ვერც ირპენში და ვერც სხვაგან. უკრაინის პროკურატურის თანხმობის გარეშე ვერავინ ჩაატარებს დამოუკიდებელ გამოძიებას ან ვერ დაესწრება რაიმე მოკვლევას, რადგან ეს არის უკრაინის ტერიტორია და იქ ვრცელდება უკრაინის სუვერენიტეტი. უკრაინამ უკვე მოიწვია საერთაშორისო წარმომადგენლები, ჟურნალისტები, მათ მიერ გადაღებულ ყველა კადრს უკვე დოკუმენტის ძალა აქვს.

ომი და სამართალი ერთი შეხედვით ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია, თუმცა აღმოჩნდა, რომ ეს უძველესი საქმიანობაც გარკვეულ კანონმდებლობას ეფუძნება. როგორი ომი ითვლება კანონიერად?

ომის სამართალი ორ საერთაშორისო კონვენციას ეფუძნება, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მიიღეს. ესენია ჰააგის კონვენცია და ჟენევის კონვენცია. ჰააგის კონვენცია აწესრიგებს ომში მონაწილე მხარეების უფლებებს, ანუ არეგულირებს ომის წესებს. მაგალითად, როგორი იარაღის გამოყენება შეიძლება, რა ფორმით, ასევე ომში მონაწილე მხარეთა ქცევებს. ომი აღიარებულია, როგორც ურთიერთობების ფორმა. სამხუხარო, არასასურველი, მაგრამ მაინც ფორმა. ომი თავისთავად დანაშაულად არ ითვლება. აქედან გამომდინარე, ის თემა, რაზეც დღემდე კამათობენ ჩვენთან – ვინ დაიწყო 2008 წელს აგვისტოში ომი და მიდის დაბრალება მაშინდელ ხელისუფლებამ, აბსოლუტურად მოკლებულია ყოველგვარ შინაარსს. ომი, აუცილებლობიდან გამომდინარე, შეიძლება დაიწყო და ვინც დაიწყებს ომს, უნდა ჰქონდეს ამის საფუძველი. ეს არ არის ჰააგის კონვენციის დარღვევა.

რაკი ომს აქვს თავისი წესები, ჰააგის კონვენ-

ციიდან გამომდინარე, სამხედრო ზოგადად ვერ იქნება დამნაშავე, თუ მან არ ჩაიდინა სხვა დანაშაული, რომელიც რეგულირდება სხვა საერთაშორისო სამართლით. ანუ თუ ადამიანი უბრალოდ მონაწილეობდა ომში, ეცვა სამხედრო ფორმა, ეჭირა იარაღი და ის აიყვანეს ტყვედ, ის სამხედრო დამნაშავე არაა და ვერ გაასამართლებ მხოლოდ იმის გამო, რომ ფორმა ეცვა, იარაღი ეჭირა და მოკლა მონაწილედ მხარის მეომარი. ეს არ არის დანაშაული.

ამიტომ ჟენევის კონვენცია აწესრიგებს ომის მსხვერპლთა უფლებებს. როგორც მშვიდობიანი მოსახლეობის, ასევე სამხედროთა უფლებებს, თუ მათ არ აქვთ ჩადენილი დანაშაული კაცობრიობის წინაშე.

გარდა ამისა, არის რომის სტატუტი და არა სტატუსი, ეს არის ჰააგის სასამართლო, რომელიც იკვლევს ომის დანაშაულებს. ეს არის ომის დროს ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულები მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. ეს აფრიკული ქვეყნების შემთხვევებზე იყო გამოყენებული. შემდეგ ევროპაზეც გავრცელდა და ჩვენ ვიყავით ერთ-ერთი პირველი მაგალითი, როცა ჰააგამ განიხილა 2008 წლის ომის დროს სამხედროების მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულები. ბუნებრივია, ჩვენ ცხინვალის რეჟიმს ვერ ვუჩივლებდით, ამიტომ ვუჩივლეთ რუსეთს. ჰააგის სასამართლომ ახლახან გამოიტანა გადაწყვეტილება ჩვენ სარჩელთან დაკავშირებით. მართალია, ცოტა უცნაური, რადგან რუსეთის მხრიდან მხოლოდ ერთი ადამიანი იპოვეს სამხედრო დამნაშავე, ისიც მკვდარი გენერალი და ცხინვალის რეჟიმის კიდევ 3 წარმომადგენელი.

როცა ომში მონაწილე მეორე მხარე არ არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტი და მას ბუნებრივია, ვერც სასამართლოში უჩივლებ, ეს ქმნის პრობლემებს. ამიტომ ჩვენი და მათ შორის, ჩემი ურთიერთობებიც აფხაზურ და ოსურ მხარესთან ყოველთვის ეფუძნებოდა პირად ურთიერთობას, კაცურ სიტყვას, კავკასიურ გაგებას. ამ მხრივ, უკრაინა გაცილებით მომგებიან პოზიციაშია. დღეს ცალსახაა, რუსეთია პირდაპირი აგრესორი. რუსეთი საერთაშორისო სამართლის სუბიექტია და ომის დანაშაულებზე პასუხისგებაც საერთაშორისო სამართალით მოუწევს.



დარღვეული პირობა

როგორ დათმო უკრაინამ ბირთვული შეიარაღება 1994 წელს

24 თებერვლის შემდეგ მსოფლიო ახალი დღის წესრიგით ცხოვრობს. უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ აღმოსავლეთ ევროპა და პოსტსაბჭოთა სივრცე ყოფნა არ ყოფნის წინაშე დააყენა. ომი და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური პროცესები მსოფლიო მედიის მთავარ სიახლედ იქცა. სწორედ ამ საინფორმაციო ორომტრიალში დაფიქსირდა არა მარტო დღის, არამედ წლის მთავარი სენსაცია. რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი უკრაინას ბირთვული დაბომბვით დაემუქრა.


ბოლო 60 წლის მანძილზე მსოფლიო უკვე მეორედ აღმოჩნდა ბირთვული კატასტროფის პირისპირ. პირველად ეს 1962 წლის შემოდგომაზე მოხდა, როცა კარიბის კრიზისის დროს საბჭოთა კავშირის მაშინდელი მეთაური ნიკიტა ხრუშჩოვი პრეზიდენტ პუტინის მსგავსად ამერიკას ბირთვული ომით დაემუქრა. რუსეთის ბირთვულ მუქარას უკრაინა საპასუხო მუქარით გამოეხმაურა. პრეზიდენტმა ზელენსკიმ მსოფლიოს 1994 წლის ბუდაპეშტის მემორანდუმში შეახსენა და ბირთვული არსენალის უკან დაბ-



მარცხნიდან: რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი, აშშ-ს პრეზიდენტი ბილ კლინტონი, უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა და ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჯონ მეიჯორი ხელს აწერენ ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას 1994 წელს. „ესლომეტდ პრესი“



საბჭოთა კავშირის
ოფიციალურად გაუქმების შემდეგ
საბჭოთა ბირთვული მარაგები
ერთდროულად 4 დამოუკიდებელ
სახელმწიფოში აღმოჩნდა.



პრეზიდენტი გორბაჩოვი,
1991 წლის 25 დეკემბერი,
სადამოს 9 საათი

რუნება მოითხოვა. რატომ გაიხსენა პრეზიდენტმა ზელენსკიმ ბუდაპეშტის მემორანდუმი და რა მოხდა 30 წლის წინ ბუდაპეშტში?

ყველაფერი 1991 წლის 25 დეკემბერს, სადამოს 9 საათზე, პრეზიდენტ გორბაჩოვის სატელევიზიო მიმართვით დაიწყო. ამ სატელევიზიო მიმართვის შემდეგ კრემლის თავზე წითელი საბჭოთა დროშა რუსულმა სამფეროვანმა, ეგრეთწოდებულმა „ტრიკოლორმა“ ჩაანაცვლა. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა წარსულში გადაინაცვლა. უკრაინის ბირთვული თავისტიკვილიც ამ დღიდან იწყება. ძნელი სათქმელია, ფიქრობდა თუ არა უკრაინის მაშინდელი პრეზიდენტი ლეონიდ კრავჩუკი ბირთვულ მემკვიდრეობაზე, როცა ბელოვეჟში საბჭოთა კავშირის გაუქმებას აწერდა ხელს. ფაქტია, რომ ამ ხელმოწერიდან, სულ რაღაც

ორ კვირაში უკრაინა მსოფლიოს ბირთვული ქვეყნების სამეულში აღმოჩნდა.

1991 წლის 26 დეკემბერს საბჭოთა კავშირის ოფიციალურად გაუქმების შემდეგ საბჭოთა ბირთვული მარაგები ერთდროულად 4 დამოუკიდებელ სახელმწიფოში აღმოჩნდა. მსოფლიოს ერთდროულად 4 ბირთვული ქვეყანა უკრაინა, ყაზახეთი, ბელორუსი და რუსეთი შეემატა. რუსეთის შემდეგ ყველაზე მეტი ბირთვული იარაღი სწორედ უკრაინაში აღმოჩნდა. იმ დროისთვის თავისი ბირთვული პოტენციალით უკრაინა მხოლოდ შეერთებულ შტატებს და რუსეთს ჩამორჩებოდა. მისი ბირთვული



არსენალი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ჩინეთის ერთად აღებული. უკრაინა ფლობდა 130 ერთეულ „CC-18“ ტიპის საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტას და 46 ერთეულ „CC-24-ის“ ამავე ტიპის რაკეტას. ასევე 25 ერთეულ სტრატეგიული ბირთვული რაკეტების გადამზიდ პლატფორმას „TY-95 MC-ს“ და 19 ერთეულ TY-160-ს“. ასევე 2500 ერთეულ სხვადასხვა სახეობის ბირთვული დანიშნულების ჭურვს.

მას შემდეგ რაც ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, ეგრეთწოდებულ დსთ-ში ამოყვეს თავი, მაშინვე დაიწყო საბჭოთა ქონების გადანაწილებაზე ზრუნვა. 1991 წლის 22 დეკემბერს, ალმატაში ახლად შექმნილმა თანამეგობრობამ საბჭოთა სახელმწიფოს საზღვარგარეთული აქტივებისა და პასივების სამართალმემკვიდრედ რუსეთი აღიარა, ხოლო მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების ქონება იმ დროს უკვე დამოუკიდებელ სახელმწიფოებში დაიტოვეს, მათ შორის, სამხედრო არსენალიც, თუმცა ბირთვულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით რუსეთმა, უკრაინამ, ყაზახეთმა და ბელორუსმა დსთ-ს დაფუძნების დროს ცალკე ხელშეკრულება გააფორმეს. ოთხივე ქვეყანა შეთანხმდა, რომ ტაქტიკური ბირთვული შე-

იარაღება მთლიანად რუსეთს გადაეცემოდა. 1992 წლის გაზაფხულზე ყველა ბირთვული ტაქტიკური რაკეტა უკვე რუსეთის ტერიტორიაზე იყო. უკრაინას, ყაზახეთს და ბელორუსს საკონტინენტთაშორისო ბირთვული არსენალი დარჩათ. სწორედ აქედან დაიწყო ახალ ბირთვულ ქვეყნებთან განიარაღებაზე მოლაპარაკებები, თუმცა, მანამდე მსოფლიო ახალი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. დაიწყო რადიოაქტიური ქაოსი.

1991 წელს მარტო მიუნხენის აეროპორტში რადიოაქტიური კონტრაბანდის 41 შემთხვევა დაფიქსირდა. 1992 წელს ეს ციფრი 157-მდე გაიზარდა, ხოლო 1994 წელს 267-ს მიაღწია. ეს სტატისტიკა ნათლად აჩვენებდა, რომ საბჭოთა წარმომავლობის რადიოაქტიური მასალებით არალეგალური ვაჭრობა საშიშ ზღვარს უახლოვდებოდა, მითუმეტეს, რომ ამ მასალების წონაც სულ უფრო იზრდებოდა. იზრდებოდა რისკიც რადიოაქტიური მასალების ავღანელი მოკაპედების ან ფანატიკოსი მუსლიმების ხელში მოხვედრისა. მაგალითად, ამერიკელი ექსპერტების დასკვნით ბომბის დასამზადებლად სამიდან 25 კილოგრამამდე გამდიდრებული ურანი ან ერთიდან 8 კილოგრამამდე პლუტონიუმის საკმარისი იყო იყო. 1993 წელს სტამბოლში ადგილობრივმა სპეცსამსახურებმა 6 კილოგრამამდე გამდიდრებული ურანი აღმოაჩინეს. დადგინდა ურანის მარშრუტიც ტამკენტი-გროზნო-ნახიჩევანი-თურქეთი. აშკარა იყო, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები და უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოები ვერ აკონტროლებდნენ საკუთარ ტერიტორიებზე დატოვებულ რადიოაქტიურ მარაგებს. საჭირო იყო მიმოფანტული ბირთვული შეიარაღების ერთად თავმოყრა და მასზე პასუხისმგებელი სახელმწიფოსთვის, რუსეთისთვის გადაცემა.

“**ეს სტატისტიკა ნათლად აჩვენებდა, რომ საბჭოთა წარმომავლობის რადიოაქტიური მასალებით არალეგალური ვაჭრობა საშიშ ზღვარს უახლოვდებოდა**“

საკონტინენტთაშორისო ბირთვული შეიარაღების ბედი 1992 წელს გადაწყდა. 23 მაისს ლისაბონში უკრაინა, ყაზახეთი და ბელორუსი დათანხმდნენ ამერიკულ მომლაპარაკებლებს, რომ ბირთვულ არსენალს ისინი აუცილებლად გაანადგურებდნენ ან გადასცემდნენ რუსეთს. ეს შეთანხმება „ლისაბონის პროტოკოლის“ სახელითაა ცნობილი. რამდენადაც სწრაფად მოხდა ლისაბონში შეთანხმება, იმდენად ნელა გაგრძელდა ამ დოკუმენტის რატიფიცირება. უკრაინის რადამ „ლისაბონის პროტოკოლის“ რატიფიცირების სანაცვლოდ გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ მოქმედ წევრებს დამატებითი გარანტიები მოსთხოვა. დასავლელმა მომლაპარაკებლებმა 1993 წელი მთლიანად უკრაინის დარწმუნებას მოანდომეს, 1994 წელის 14 იანვარს უკრაინა საბოლოოდ დათანხმდა „ლისაბონის პროტოკოლის“ პირობებს, ხოლო 3 თებერვალს ამ პროტოკოლის რატიფიცირება მოახდინა.

რატიფიცირებული პირობების შესრულებას უკრაინა მაშინვე შეუდგა. საკონტინენტთაშორისო ბირთვული არსენალის ერთი ნაწილი რუსეთში მარტში გადაიგზავნა. ამ პროცესის დაწყებას უკრაინის რადაში დიდი შეხლა-შემოხლა სდევდა თან, რასაც მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების სიმძაფრეც განაპირობებდა. ივლისში უკრაინის პრეზიდენტად ყოფილი პრემიერი ლეონიდ კუჩმა აირჩიეს. მიუხედავად ამისა, ბირთვულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით რადაში დავა არ წყდებოდა.

შემოდგომაზე ხელისუფლებაში მოსულმა პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას პოლიტიკურმა პარტიამ რადაში მიიღო კანონი, რომლითაც თავდაყირა დააყენა წლის დასაწყისში რატიფიცირებული დოკუმენტი. ახალი კანონის თანახმად მართალია, უკრაინა თანახმა იყო არაბირთვული სახელმწიფოს სტატუსზე, თუმცა,



მხოლოდ ერთი დათქმით. კანონი შევიდოდა ძალაში მხოლოდ მაშინ, თუ კი გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები უკრაინასთან გააფორმებდნენ ხელშეკრულებას და გახდებოდნენ ამ ქვეყნის უსაფრთხოების გარანტები. ასეთი გარანტიები უკრაინამ სწორედ ბუდაპეშტში 5 დეკემბერს მიიღო.

ბუდაპეშტის მემორანდუმზე ხელმოწერით გაეროს უშიშროების სამმა ქვეყანამ – აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა და რუსეთმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს უკრაინის სუვერენიტეტი და მისი საზღვრების ურღვეობა, ამასთან დადეს პირობა, რომ უკრაინასთან ურთიერთობებში თავს შეიკავებდნენ სამხედრო ძალის გამოყენებაზე და სხვა სახის ეკონომიკური და პოლიტიკური იძულების ზომებისგან. ამავე მემორანდუმის ფარგლებში უკრაინამ ნანი-ლუგარის პროგრამის ფარგლებში კომპენსაციის სახით 500 მილიონი დოლარი და 160 მილიონი დოლარი უკრაინული ატომური ელექტრო სადგურებისთვის მიიღო.

ბუდაპეშტის მემორანდუმით გათვალისწინებული მუხლების შესრულება უკრაინამ 1996 წლის მაისში დაასრულა, როცა 2 ივნისს საკონტინენტთაშორისო ბირთვული რაკეტების ბოლო პარტიამ დატოვა უკრაინის ტერიტორია. უკვე 1999 წელს რუსეთში გააგზავნა ბირთვული იარაღის გადამზიდი პლატფორმების ნაწილი, ხოლო მეორე ნაწილი, ორი პლატფორმის გარდა, გაანადგურა. ეს ორი პლატფორმა უკრაინის საავიაციო მუზეუმშია გამოფენილი. გამოფენილი იყო, თუმცა რა ბედი ეწია კიევის დაბომბვის შემდეგ ამ პლატფორმებს, არავინ იცის. ომი ისევ გრძელდება და უკრაინა ისევ 1994 წელს მიცემული პირობის შესრულებას ითხოვს, მათ შორის რუსეთისგანაც.

“
აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა
და რუსეთმა კიდევ ერთხელ
დაადასტურეს უკრაინის
სუვერენიტეტი და მისი საზღვრების
ურღვეობა
”

Директору Юрического
отделения
Грану Рахеди
Шукрашвили

თქვენთვის მადლობა
რ. შაველიძე
ნომერი 1164842040
რეკ. 555-57-48-43

გთხოვთ თქვენთვის
და თქვენთვის მადლობა
და თქვენთვის მადლობა

გთხოვთ თქვენთვის
და თქვენთვის მადლობა
და თქვენთვის მადლობა

მიღება-ჩაბარ
აქტი #1

გთხოვთ თქვენთვის
და თქვენთვის მადლობა
და თქვენთვის მადლობა

დამფუძნებელი კომპანია
სადაც მუშაობს
და თქვენთვის მადლობა

Nino
Chutkerashvili

უფასო იურიდიული კონსულტაციის სამსახურის
დირექტორის
ბატონ რაფაელ კუპრაშვილს
ლენტეხის მუნიციპალიტეტის ს. ცანის
ადმინისტრაციული ერთეულში მაცხოვრებელთა

მადლიერების წერილი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ცანის ადმინისტრაციულ ერთეულში
მცხოვრები მოსახლეობა მოგმართავთ მადლიერებით. ზემოთ აღნიშნული სამსახურის
მიერ გაწეული უფასო იურიდიული კონსულტაციებისთვის, დიდ მადლიერებას
გამოთვავებთ ქალბატონ ნინო ურთმელიძის მიმართ, რომელიც უშუალოდ უწყვეტ
უფასო იურიდიულ კონსულტაციას სოფელი ცანის ადმინისტრაციულ ერთეულში
მაცხოვრებლებს.

- გ. ჩარქელაიანი
ლ. ჩარქელაიანი
ო. ჩარქელაიანი
ბ. ჩარქელაიანი

თქვენთვის მადლობა
და თქვენთვის მადლობა
და თქვენთვის მადლობა


გთხოვთ თქვენთვის
და თქვენთვის მადლობა
და თქვენთვის მადლობა

2022 წლის 17 თებერვალს
სადაც მუშაობს
და თქვენთვის მადლობა

ქალბატონი იანა
სადაც მუშაობს
და თქვენთვის მადლობა

გთხოვთ თქვენთვის
და თქვენთვის მადლობა
და თქვენთვის მადლობა

იურიდიული დახმარების საკონსულტაციო ცხელი ხაზი



უფასო სამართლებრივი დახმარების მიღება შესაძლებელია სამუშაო დღეებსა და საათებში, იურიდიული დახმარების სამსახურის ოფისებში:

თბილისი
სულხან კომახიძე / საკონტაქტო პირი
თამარ მეფის გამზ. №14, 0112,
+995 (32) 2954474; 2920055;
+995 (595) 364410
skomakhidze@legalaid.ge

მცხეთა
ალეუდა ბუჩუკური
დ. აღმაშენებლის ქ. №51
ტელეფონი: +995 (32) 2513873
მობილური: +995 (595) 901705
abuchukuri@legalaid.ge

თელავი
ლიანა ჭუნიაშვილი
ვარდოშვილის ქ. №7
+995 (350) 271538
+995 (595) 901707
ltchuniashvili@legalaid.ge

სიღნაღი
თამაზ გურაშვილი
აღმაშენებლის ქ. №7
+995 (355) 231082
+995 (599) 937973
tgurashvili@legalaid.ge

რუსთავი
მია ნოზაძე
ბოსტანქალაქის ქ. №6,
+995 (341) 241425
+995 (595) 901706
mnozadze@legalaid.ge

გორი
გიორგი ჯეირანაშვილი
სამეფოს ქ. №54
+995 (370) 279556
+995 (595) 901704
gjeiranashvili@legalaid.ge

ახალციხე
დავით ზარიძე
თაბუკაშვილის ქ. №17
+995 (362) 220735
+995 (599) 722176
dzaridze@legalaid.ge

გვისთაფონი
გელა ბერაძე
წერეთლის ქ. №11
+995 (492) 253637
+995 (595) 364441
gberadze@legalaid.ge

ქუთაისი
გელა სიორდია
სადგურის მოედანი №3ა
+995 (431) 253411; 253412
+995 (595) 901700
gsiordia@legalaid.ge

გუგული
რომან კეიღია
კოსტავას ქ. №24
+995 (415) 220040
+995 (595) 901702
rkeidia@legalaid.ge

ფოთი
ნათია ბოჯგუა
ვახტანგ გორგასლის ქ. №22
+995 (493) 223234
+995 (595) 901703
nbodjgua@legalaid.ge

ბათუმი
იამზე მანდარაძე
პუშკინის №145
+995 (595) 901701
izandaradze@legalaid.ge

ოფორბეთი
იამზე მემარნიშვილი
ილია ჭავჭავაძის ქ. №12
+995 (496) 275992
+995 (595) 308850
imemarnishvili@legalaid.ge

ამბროლაური
თეა ჩიკვაიძე
აღმაშენებლის ქ. №24
+995 (595) 308847
tchikvaidze@legalaid.ge

მესტია
ავთანდილ ჯაფარიძე
სეტის მოედანი №19
+995 (551) 201947;
+995 (599) 294477
ajaparidze@legalaid.ge

საჩხერე
სალომე გიორგაძე
თავისუფლების ქ. №4
+995 (558) 194637
sgiorgiadze@legalaid.ge

ახალქალაქი
ინგა გვარამაძე
თამარ მეფის №44
+995 (599) 358585
igvaramadze@legalaid.ge

წალკა
დავით გოგიჩაიშვილი
არისტოტელეს №22
+995 (599) 090091
dggochiaishvili@legalaid.ge

მარნეული
ლალი ალუდაური
რუსთაველის №73
+995 (551) 424400
laludauri@legalaid.ge



დუისი
ნუნუ გელდიაშვილი
ახმეტის მუნიციპალიტეტის
სოფელი დუისი
+995 (599) 161076
ngeldiashvili@legalaid.ge

შუახევი
ირინა ცინცაძე
დაბა შუახევი,
ნიმშიაშვილის ქ. №2
+995 (577) 420943
itsintsadze@legalaid.ge

ცაბერი
ნინო ურთმელიძე
რუსთაველის ქუჩა №65
+995 (595) 097660
nurtmelidze@legalaid.ge

ჭიათურა
სალომე გიორგაძე
ნინოშვილის ქუჩა #5
+995 (558) 194637
sgjorgadze@legalaid.ge

ლაგოდეხი
გიორგი ვესტაფიშვილი
მერაბ კოსტავას ქუჩა №1
+995 (557) 750 374
gevstapishvili@legalaid.ge

დუშეთი
ირინა ბარბაქაძე
დავით აღმაშენებლის ქუჩა №27
+995 (595) 337 177
ibarbakadze@legalaid.ge

ღმანისი
ლალი ალუდაური
წმინდა ნინოს ქუჩა №39
+995 (551) 424 400
laludauri@legalaid.ge

ყვარელი
მერი ხაჩიძე
კუდიგორის ქუჩა №2
+995 (595) 901 753
mkhachidze@legalaid.ge

ბაღდათი
მაია ხვადაგიანი
შოთა რუსთველის ქ. №21
+995 (595) 901 722
mkhvadagiani@legalaid.ge

წყალტუბო
მაია ხვადაგიანი
შოთა რუსთველის ქ. №25
+995 595 901 722;
mkhvadagiani@legalaid.ge

ხულო
ირინა ცინცაძე
დავით აღმაშენებლის ქ. №3
+995 555 250 247;
tsintsadze@legalaid.ge

ქედა
ირინა ცინცაძე
26 მაისის ქ. №2
+995 555 253 274;
itsinstadze@legalaid.ge

ქობულეთი
ინგა ყიფიანი
თავისუფლების ქ. №13;
+995 555 253 274;
ikipiani@legalaid.ge

აბაშა
მაია რობაქიძე
უნა კაჭარავას ქ. №1
+995 599 98 42 99;
mrobakidze@legalaid.ge

მარტვილი
მაია რობაქიძე
თავისუფლების ქ. №10
+995 599 98 42 99;
mrobakidze@legalaid.ge

ჩხოროწყე
ნინო მინჯია
დავით აღმაშენებლის ქ. №1
+995 595 901 724;
nminjia@legalaid.ge

წალენჯიხა
ნინო მინჯია
სალიას ქ. №5
+995 595 901 724;
nminjia@legalaid.ge

სენაკი
მაია რობაქიძე
აკაკი წერეთლის ქ. №1
+995 599 98 42 99;
mrobakidze@legalaid.ge

ხობი
სალომე ჯანჯავა
ცოტნე დადიანის ქ. №185
+995 591 911 304;
sjanjgava@legalaid.ge

დედოფლისწყარო
გიორგი ვესტაფიშვილი
მ.კოსტავას ქ. №.44
+995 (557) 750 374
gevstapishvili@legalaid.ge

ახმეტა
ნუნუ გელდიაშვილი
ბ. ჩოლოყაშვილის ქ. №. 50
+995 (599) 161076
ngeldiashvili@legalaid.ge

ლენთეხი
ნინო ურთმელიძე
თამარ მეფის ქ. №. 24
+995 (595) 09 76 60
nurtmelidze@legalaid.ge

ონი
თეა ჩიკვაიძე
სოფ. შუეხანი
+995 595 30 88 47
tchikvaidze@legalaid.ge

ხაშური
მანანა გელაშვილი
9 აპრილის ქ. №.11
+995 598 60 90 34
mgelashvili@legalaid.ge



კოდექსი
უფლებები
და ბარანტიები

ადვოკატი მედიაცია

კანონმდებლობა

მედიატორი

შრომის კოდექსი სიმაართლე

საზოგადოებრივი კანონი კანონი

კოდექსი

კანონი

ადვოკატი

ბავშვის

უფლებები

სიმაართლე კანონმდებლობა

სიმაართლე

მედიაცია

მედიატორი

კოდექსი

სამოქალაქო უფლებები

კანონი

ადვოკატი კანონმდებლობა

შრომის

მედიატორი

კოდექსი

www.legalaid.ge



იურიდიული
დახმარების
სამსახური